დავით ბერიაშვილი

# ექსპერიმენტი № 41

**დავით ბერიაშვილი**

# ექსპერიმენტი № 41

**თბილისი**
**2022**

დამკაბადონებელი:
**ინგა დვალიშვილი**

ISBN 978-9941-503-61-0

***- მიდი, აბა, ალაგ-ალაგ თვალი გადაავლე გაუბედურებულ-ფერფლადქცეულ ქვეყანას და რასაც იხილავ, ერთი ამოსუნთქვით წიგნად დაწერე! - მიბრძანა მან.***

# წინასიტყვაობა

*უკვე წინასწარ ვიცი, ეს წიგნი იმაზე უფრო მეტ მტერს გამიჩენს, ვიდრე აქამდე მყოლია და იმაზე უფრო მეტად დამაშორებს ამქვეყნიური ბედნიერებით აღტყინებულ მცირერიცხოვან საზოგადოებას, ვიდრე აქამდე ვყოფილვარ დაშორებული, მაგრამ რა ვქნა, მე სხვაგვარად ვერ მოვიქცევი, საპირისპირო მხარეს ვერ დავდგები და მლიქვნელურად კუდის (რაც საერთოდ არ მაქვს) ქიცინს ვერ დავუწყებ იმას, ვისაც ქვეყნის მავნებლად და ამომგდებად მივიჩნევ. მიზეზი ძალიან მარტივია: მე არავისგან არ ვითხოვ, ჩემს დაკრულზე ცეკვას და ნურც სხვა დამავალდებულებს, მის დაკრულზე საცეკვავოდ ხელები გავშალო ან კალამი მოვიმარჯვო და ვიღაც მავნებლებს ხოტბა-დიდება ვუძღვნა.*

*არა და არა, ასეთი რამ ჩემში არ ზის. მე ამგვარად არ მიცხოვრია და არც მომავალში ვაპირებ ასეთი გზით ცხოვრების გაიოლებას. ისე, შეიძლება, ზოგიერთებმა ისიც მითხრან, თუ გარკვეული კატეგორიის ხალხზე კარგის თქმა გიჭირს, მაშინ, იქნებ საერთოდ გაჩუმდე, რაღაც საკითხებზე თვალი დახუჭო და ყველაფერს დუმილით შეხვდეო. შეიძლება კი არა, დარწმუნებული ვარ, ბევრი გამომიჩნდება ამგვარად ჭკუის დამრიგებელი და მათაც მინდა წინასწარ იმედები გავუცრუო. ვერა, ბატონებო და ქალბატონებო, ვერც საქმისადმი ამგვარი მიდგომიდან გამოადნობთ თქვენთვის რამე სახეიროს, რამეთუ ყოველთვის მძულდა, როგორც ცოცხალ სამყაროში დანერგილი სასაფლაოს სიჩუმე, ისე ის ადამიანები, რომლებიც ასეთ სიჩუმეში ცოცხლად ჩამარხვას მირჩევდნენ.*

*ვფიქრობ, მარტო არ ვარ და თანამოაზრენიც მყვანან, ისეთი თანამოაზრენი, რომელთათვისაც დუმილი დანაშაულის ტოლფასია და თავის სათქმელს ყოველგვარი მიკიბ-მოკიბვის გარეშე, ყოველთვის პირდაპირ ამბობენ. არადა, ამ ქვეყანაში სათქმელი ბევრია, ნათქვამის გულთან მიმტანი კი ცოტაა, ძალიან ცოტა. მიუხედავად ამისა, თუ გვინდა, ხვალინდელი ან ზეგინდელი დღე მაინც ღირ-*

*სეულ სახელმწიფოში გაგვითენდეს, ნებისმიერმა ჩვენგანმა, პირველ ყოვლისა, ჯერ საკუთარი გულიდან უნდა დაიწყოს სასაფლაოს სიჩუმის აღმოფხვრა და მერე ეცადოს, ეს ქვეყანაც იგივე გზაზე დააყენოს, თორემ ასეთი დუმილითა და გულგრილობით, რომლითაც დღევანდელი ჩვენი საზოგადოების ძალიან დიდი ნაწილი ცხოვრობს, ამ ჩვენს ბედკრულ ქვეყანას სულ მთლად უკაცრიელს გავხდით და მართლა მდუმარე სასაფლაოდ ვაქცევთ.*

*ეს გინდათ?*

*მე არ მინდა. ამიტომ, თქვენ, ჩემო გაფანტულო და უშიშარო ფიქრებო, ჩემგან მოშორებით რომ დაფრინავთ მთებზე, ზღვებზე და ოკეანეებზე, მაგრამ საჭიროების ჟამს, რომ გამოჩნდებით ხოლმე და უდიდესი შთაგონებით მავსებთ, გთხოვთ, კიდევ ერთხელ გამიხსენოთ, მომძებნოთ და გამომყვეთ ჩემი ქვეყნის დახრიოკებულ ტრამალებზე, რათა ჩვენი წილი სიმართლის თქმით, იქნებ ერთი ნერგი მაინც ჩავრგოთ ამ უსამართლობით დამძიმებულ მიწაში. მერე კი, იქნებ ტკბილი ნაყოფიც მივიღოთ, აი, ის ნაყოფი, რომელსაც მხოლოდ სიმართლის ხე ისხამს.*

*ჩემო ფიქრებო, გთხოვთ, კიდევ ერთხელ გამოჩნდეთ და არ მიღალატოთ. მე ხომ თქვენ გარეშე გაძარცვულ ტირიფს ვგავარ, ტირიფს, რომელსაც ფოთლები შემოსცვენია და საცოდავად, თავდახრილი გარინდულა.*

*მოდით ჩემთან, მოდით, არ დამივიწყოთ და ამჯერადაც თქვენებურად შემომერტყით გარშემო. ადრე, სიყმაწვილეში ხშირად მითქვამს თქვენთვის და ახლაც გაგიმეორებთ, რომ, როცა თქვენ ჩემთან ხართ, მე არაფრის მეშინია, ხოლო, როცა არაფრის მეშინია, დარწმუნებული ვარ, ვერანაირი მტერი ვერ მომერევა.*

*მოდით, ჩემო გაფანტულო და უშიშარო ფიქრებო, მოდით ჩემთან და კიდევ ერთხელ გარს შემომეხვიეთ... შემახსენეთ ბევრი რამ, რაც აღარ მახსოვს, თქვენებურად დამანახეთ ის, რასაც ჩემით ვერ ვხედავ და გამახარეთ... გამახარეთ...*

# 1 თავი

ეჭვიანობით ცნობილი მეფე გვირგვინა სასახლის აივანზე იდგა და მის განკარგულებაში მყოფ სამფლობელოს, უფრო ზუსტად კი, ძაღლების სამეფოს კმაყოფილი სახით გადაჰყურებდა. თავად სამეფო, რომელზეც ვსაუბრობთ, თავისი მთებით, ტბებით, ჩანჩქერებით, ტყეებითა და ზღვებით, უზარმაზარი  თუ არა, პატარა ნამდვილად არ იყო. ჰოდა, ამ არც თუ ისე პატარა სამეფოს ცისქვეშეთში, ყველა სულიერი არსება, რომელიც დადიოდა, დაბობღავდა, დაცურავდა თუ დაფრინავდა, მეფე გვირგვინას სრულ საკუთრებას წარმოადგენდა. აქედან გამომდინარე, ბედნიერი, თუმცა ნამეტანი ჭკუამხიარული კაცი იყო მეფე გვირგვინა და აივნიდანაც რაღაც ამოუცნობი ღიმილით გადაჰყურებდა არემარეს, ანუ ადგილს, სადაც მის დაქვემდებარებაში მყოფნი ცხოვრობდნენ. ისე, ცხოვრობდნენო, სიტყვის მასალად ვამბობ, თორემ იქაურთა ყოფას ნამდვილად არ ერქვა ცხოვრება, ეს უფრო გაძაღლებული ყოფა იყო, ყოფა არსებობისთვის და ამიტომაც, სრულიად სამართლიანად  ერქვა მას ძაღლების სამეფო. ალბათ, იკითხავთ, რატომ მაინც და მაინც ძაღლების სამეფო, ნუთუ იქ სხვა ცხოველები არ ცხოვრობდნენო? ცხადია, იმ სამეფოში სხვა ცხოველებს, მაგალითად, კატებს, ვირთხებს, ვირებს, ცხენებს, ღორებსა და ძროხებსაც შეხვდებოდით, მაგრამ ისინი, როგორც დაბალი განვითარების არსებები სამეფოს საზოგადოებრივ ცხოვრებაში ვერანაირ როლს ვერ ასრულებდნენ და მათი უმეტესობა მხოლოდ საკვები პროდუქტების მისაღებად ან გარემოს სანიტრებად თუ გამოიყენებოდნენ. ამის მეტი დანიშნულება მათ არ ჰქონდათ. აი, ძაღლებმა კი, სხვა ცხოველებთან შედარებით საკუთარი მაღალი გონებრივი შესაძლებლობებიდან გამომდინარე თუ ადამიანთან საუკუნეობრივი მეგობრობის წყალობით, იმდენი მოახერხეს, რომ ადამიანებივით ცხოვრება დაიწყეს და მთელი სამეფოს მართვა-გამგეობა ხელთ იგდეს. მოკლედ, ზემოხსენებულ სამეფოში ბატონებიც ძაღლები იყვნენ და ყმებიც, მბრძანებლებიც და მბრძანების შემსრულებლებიც. თუმცა, ამ ბატონებს, ყმებს, მბრძანებლებსა თუ მბრძანების შემსრულებლებს ერთი დიდი, უზენაესი ხელმწიფე ჰყავდათ, სახელად გვირგვინა - ადამიანი მომხვეჭელი, ეჭვიანი და ცოტა არ იყოს ჭკუამხიარული. ამავე დროს, არც ის უნდა დაგვავიწყდეს, რომ იმ აძაღლებული ქვეყნის კონსტიტუციით, კანონთა კრებულით, სამეფო სასახლის დადგენილებითა თუ რაღაც

ამდაგვარით, მეფე გვირგვინამ საკუთარი უფლებები შეიზღუდა და სახელმწიფო ინსტიტუტების სხვადასხვა შტოებს გადაულოცა, იმ შტოებს, რომლებსაც მისივე ყურმოჭრილი მონა ძაღლები განაგებდნენ. გასაგებია, ყოველივე ეს წმინდა წყლის ბლეფი, მაგრამ სამეფოს ყოველდღიურობაში აუცილებლობით ნაკარნახევი ნაბიჯი იყო, რადგან ქვეყანაში თუ რამე დაშავდებოდა (არადა, იმ ქვეყანაში ყველაფერი დაშავებულ-გაშავებული იყო), მეფეს თავისუფლად შეეძლო ყველაფერზე პასუხისმგებლობა მოეხსნა, ხელი სხვისკენ გაეშვირა და ეთქვა, ჩემგან რა გინდათ, მე ქვეყნის მართვაში არ ვერევი და გაფუჭებულ საქმეებზე (ასეთი საქმეების რაოდენობა კი ცაზე ვარსკვლავების რაოდენობას თუ არ აღემატებოდა, დიდად არც ჩამოუვარდებოდა) პასუხი არა მე, არამედ იმას და იმას უნდა მოსთხოვოთო.

როგორც ხედავთ, ძაღლების სამეფოში მეფის მხრიდან ტიპიურ ვირეშმაკობას ჰქონდა ადგილი. არადა, მეფე არც ვირი იყო, არც ძაღლი და არც ძროხა, ის ერთი მდიდარი, ჭკუამხიარული ადამიანი იყო.

და მაინც, რატომ ენდობოდა გვირგვინა ძაღლებს?

ჯერ ერთი, ძაღლი შინაური ცხოველია, მეორეც, ძაღლი სოციალური ცხოველია და მესამეც, ძაღლი ადამიანის მეგობარია, მეფე გვირგვინა კი, როგორც უკვე მოგახსენეთ, ადამიანი იყო, ადამიანად წოდებული მეფე.

ისე, როგორც ყველა ეჭვიანი, ფორმალური თუ არაფორმალური მმართველი, გვირგვინაც საკუთარ სამბრძანებლოში ფარულად ყველას უსმენდა და უთვალთვალებდა, რამეთუ ეშინოდა, სიტუაცია კონტროლიდან არ გამექცეს და სიმწრით მოპოვებული ძალაუფლება შარშანდელი თოვლივით თვალსა და ხელს შუა არ ჩამიდნესო. ამიტომ, ძაღლების იმ მასიდან, რომელსაც ის მართავდა, ყველაზე მსუნაგი, საკუთარ გავლენაში ყველაზე ადვილად მოსაქცევი, თან ძაღლური ელიტისთვის ყველაზე მისაღები არსებები გამოარჩია, აღაზევა და საქმესაც შეუდგა. უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, მაღალ საზოგადოებაში ახლადაღზევებულნი ჯერ საკუთარ თანამოძმეთა მოსმენების, დასმენებისა და შანტაჟის კულტურას აზიარა და სამეფოს მართვა-გამგეობაც მხოლოდ ამის შემდეგ ჩააბარა მათ.

და ვინ იყვნენ ისინი, რომლებმაც ასეთ ამღვრეულ ქვეყანაში მეფე გვირგვინას ყურადღება იმდენად მიიქციეს, რომ ადგილობრივმა მბრძანებელმა მათ მათივე თანამოძმეების, ანუ ძაღლებისავე წინამძღოლობა უბოძა?

ახლავე მოგახსენებთ, ოღონდ, სანამ მათ ჩამოთვლას შევუდგებოდე, იმასაც გეტყვით, რომ ეს ძაღლები მეფე გვირგვინამ ელიტურ წრეში არა რაღაც გამორჩეული პატრიოტიზმის ან მოყვასის სიყვარულის გამო, არამედ უფრო ძაღლური მორჩილებისთვის გააწევრიანა. ჰო, აბა, რა, ძალიან უყვარდა მორჩილი ძაღლუკები მეფეს და ისინიც ცდილობდნენ, მეფის წინაშე სულ მუდამ კუდის საამურად ქიცინში ყოფილიყვნენ. ვის ვის და ძაღლს პატრონისადმი, მით უმეტეს, ყოვლისშემძლე პატრონისადმი მორჩილება არავისგან არ ესწავლება.

რა იდეა, რა ღირსება, ან რა თავმოყვარეობა, გადაუგდე ძაღლს სასუსნავი და ის შენია.

ასე იყო იმ სამეფოშიც, გადაუგდებდა ხოლმე მეფე თავისივე ხელით ხელოვნურად შექმნილ, ეგრეთწოდებულ ელიტას გემრიელ სასუსნავებს და ისინიც ქვეყნის მბრძანებელს თვალებში შესციცინებდნენ, თან საუკუნო ერთგულებას ეფიცებოდნენ.

მაშ ასე, თავის საძაღლეთში პირველ და ყველაზე ერთგულ ქვეშევრდომად, მეფე გვირგვინას სალამურა ჰყავდა დანიშნული - ძაღლი ერთგული, თუმცა მსუნაგი. სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ სალამურა დიდი გონიერებით ნამდვილად არ გამოირჩეოდა, ის კი არა, ლაპარაკის დროს ცოტა გონებაშეზღუდულის შთაბეჭდილებასაც ტოვებდა, მაგრამ ამ ქვეყანაზე, ნეტავ გონიერება ვის რაში სჭირდება, რომ მეფე გვირგვინას დასჭირვებოდა? უიშვიათესი გამონაკლისის გარდა, არც მეფე გვირგვინას სჭირდებოდა მოაზროვნე არსებები, არა. ჰოდა, მაღალ საზოგადოებაში გავლენიანი ახლობლების წყალობით სრულიად შემთხვევით მოხვედრილი და ჭკუანაკლული სალამურაც ყველასათვის მოულოდნელად აღზევდა... აღზევდა უსწრაფესად, ფაქტობრივად, თვალის ერთ დახამხამებაში. მაგრამ, ამ აღზევებამ სალამურას გონებასუსტობა ვერანაირად ვერ გადაფარა, ვერ შეაჩერა, პირიქით, რაც უფრო მაღალ კარიერულ მწვერვალებს იპყრობდა სალამურა, უფრო თვალსაჩინო ხდებოდა მის დაბალ ინტელექტსა და დაკავებულ თანამდებობებს შორის შეუსაბამობა. ხოლო, როცა მეფე გვირგვინას ვინმე ძალიან ახლობელი ან უცხოელი სტუმარი უსაყვედურებდა ხოლმე, რომ ეს რა უვიცი ვინმე გყავს მმართველ ძალაშიო, ის ასე პასუხობდა, სამაგიეროდ, ჩემი სალამურა სალამურს უკრავს ბრწყინვალედო. კაცო, სულელია, სულელი, მაღალი რანგის შეხვედრებზე ქცევის მარტივი წესები არ იცის, ყეფს იქ, სადაც არ არის საჭირო, ხოლო სადაც მართლა უნდა იყეფოს, იქ ყელმოღერებული ზის და შტერივით იღიმისო, ეუბ-

ნებოდნენ მეფეს, ის კი, მაინც თავისას არ იშლიდა და ამბობდა, იყეფოს, სადაც უნდა ან სულაც, ნუ დაიყეფებს ნურასოდეს, ჩემთვის ამას არანაირი მნიშვნელობა არა აქვს, რადგან, მთავარია, რომ სალამურს ისე აკვნესებს, აგატირებთ, და ეგეც რომ არა, ისეთი ვიღაცის შვილია, ოოოოოოოოოოო... მოკლედ, ჩვენი კადრია, ოჯახის ახლობელიაო.

მოდით და ყოველივე ამის შემდეგ მეფე გვირგვინას ეკამათეთ ან რამე შეაგნებინეთ. ვერ შეაგნებინებთ, ვერა, რადგან აზრი არა აქვს კამათს, ქვეყნის მბრძანებლის ერთგული კადრი, თანაც, ეტყობა, ვიღაც ძალიან ისეთის შვილი და ოჯახის ახლობელი იყო სალამურა, მორჩა და გათავდა. მარტო ერთგულება და თუნდაც ძალიან ახლობლობა კი, როცა მას ინტელექტი ან კიდევ უამრავი დადებითი თვისება არ უმაგრებს ზურგს, უკვე ბრმა მონობაში გადადის და ამიტომაც, ზურთუკან სალამურას, გვირგვინა მეფის მონას უფრო ეძახდნენ, ვიდრე ერთგულ არსებას.

სალამურას დახასიათებაზე, სიტყვა რომ არ გამიგრძელდეს, მოკლედ ვიტყვი - თავად მონას, მონების მართვა ჩააბარა მეფე გვირგვინამ.

და არც ის არის გასაკვირი, განგებისგან სალამურადგამოთლილ არსებას, ზედმეტსახელად სალამურას რომ შეარქმევდნენ.

სალამურას შემდეგ კი ზემოხსენებულ სამეფოში ქოჩორა ლიდერობდა - ძაღლი ქვეშქვეშა, ხოლო ნამუსისგან და პატრიოტიზმისგან სრულიად დაცლილი. მაგალითისთვის გეტყვით, რომ, როგორი მტყუანიც არ უნდა ყოფილიყო ქოჩორა, არ შეიმჩნევდა და იყეფებდა მანამ, სანამ ოპონენტს ნერვებზე არ მოშლიდა და სახეში ფურთხებას არ დააწყებინებდა. მერე რაც ხდებოდა, ძნელი მისახვედრი არ უნდა იყოს: საიდანღაც ამოისვეტებოდნენ სამეფო  დაცვის წევრები და მათი საამაყო ქვეყნის ერთ-ერთი დიდი ლიდერის შეურაცხყოფისთვის არა მარტო შემფურთხებელს, არამედ იქ მყოფთაგან, კუდის უბრალოდ დამქიცინებელსაც ვირების აბანოში მიაბრძანებდნენ. ისე, თითქოს შეგნებულადო და ქოჩორას იმგვარად ჰქონდა სახეზე თმები ჩამოშლილი, რომ, როგორც არ უნდა შეგერცხვინათ ან როგორც არ უნდა გეცადათ მისი გაწითლება, მის თმაჩამოშლილ სახეზე ემოცია-სიწითლეს ვერ შეამჩნევდით, სახე არ უჩანდა გაბურძგნულს და იმიტომ.

მეფე გვირგვინას ქვეშევრდომებიდან, რომლებიც თანამოძმეებს მართავდნენ, იყო კიდევ ერთი ძაღლუკა, სახელად დრუნჩა - ძაღლი საკმაოდ კუნთმაგარი, მაგრამ სალამურასი არ იყოს, გონებრივ განვითარებასთან ისიც აშკარად მწყრალად მყოფი. ძალიან უინტელექტო ვინმე იყო ეს ჩვენი დრუნჩა. არადა, სამეფოში საკმაოდ სერიოზული

თანამდებობა ეკავა, კერძოდ, ყველაზე დიდ ქალაქს მართავდა. ბოროტი ხმები ამბობდნენ, მეფე გვირგვინამ დრუნჩას ეს თანამდებობა გაკაჟებული კუნთების გამო უფრო უბოძა, ვიდრე ინტელექტუალური დამსახურებისთვისო. ამ ამბავში წარმოუდგენელი არაფერია, რადგან დედამიწაზე არიან ადამიანები, რომელთათვისაც საკუთარ ძაღლებში ძლიერი მუხლი და კუნთი უფრო ფასობს, ვიდრე გონება. ჰოდა, ზუსტად ასეთი ადამიანი იყო მეფე გვირგვინაც და ასეთი ძაღლი ჰყავდა მას დრუნჩას სახით. რაც შეეხება ასეთ უცნაურ სახელს, დრუნჩას, მისთვის პატარაობაში, უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, ლეკვობაში შეურქმევიათ, როცა ჯერ კიდევ სადღაც, პროვინციაში ცხოვრობდა. ერთხელ, თურმე მშიერი დრუნჩა საკმაოდ მოზრდილ ვირთხას გამოჰკიდებია, იმასაც სოროშო შეუსწრია... ამასაც ცხვირი შეუყვია სოროში, იქნებ გამოვათრიო და შევჭამოო, იმას კი იქიდან გულუბრყვილო დრუნჩასთვის ისეთი უკბენია ორთავე ტუჩზე, რომ დრუნჩას ძაღლურ კივილზე, ლამის ისედაც მორყეული სახლის კედლები ჩამონგრეულა. სასწრაფოდ წაუყვანიათ დრუნჩა ექიმებთან, დასევიან თავს ადგილობრივი მედიკოსები, სისხლდენა შეუჩერებიათ, უწამლიათ, უმკურნალიათ, მაგრამ ნაკბენი ისეთი ღრმა და ვერაგული ყოფილა, რომ გასიებულ-გადიდებული ტუჩები ვეღარ დაუპატარავებიათ. და დარჩა ასე ჩვენი დრუნჩა, დიდი ტუჩებითა და ამ სახელით. საავადმყოფოდან გამოწერის წინ კი ერთ-ერთ მხცოვან ექიმს რჩევა მიუცია დრუნჩასთვის, შვილო, შენ მთელი ცხოვრება წინ გაქვს და დაიხსომე, როგორი მშიერიც არ უნდა იყო, ვირთხების დევნა არ შეგეფერება, ბოლოს და ბოლოს, ძაღლი ხარ, კატა ხომ არაო?! და რაც მთავარია, ვირთხების სოროში და სხვის საქმეში ცხვირის შეყოფა-ჩაყოფა ერთი და იგივეა, ორივე დასაძრახისიაო.

ძირითადად ეს სამი ქვეშევრდომი, ვეზირი თუ ხელქვეითი ჰყავდა გამწესებული მეფე გვირგვინას სამეფოს სამართავად, ხასიათით განსხვავებული, თუმცა, მეფისადმი ერთგულებით გამორჩეული სამი ძაღლი. იყვნენ იქ სხვა ძაღლი მმართველებიც, მაგრამ ისინი სამეფოში ამინდს არ ქმნიდნენ, ანუ მათ ისეთი უზარმაზარი გავლენა არ ჰქონდათ მოპოვებული მეფის კარზე, როგორც ზემოხსენებულ სამეულს.

ასე თუ ისე, დღე დღეს მისდევდა, კვირა კვირას, თვე თვეს, წელიწადი წელიწადს, მაგრამ ძაღლების იმ ბედკრულ სამეფოში მცხოვრებთა მდგომარეობა სულ უფრო და უფრო მძიმდებოდა, გაუსაძლისი ხდებოდა. უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, მეფის გარშემო მოტრიალე მცირერიცხოვანი წრე ბედნიერებისგან ყირაზე გადადიოდა, ყველა სხვა დანარჩენი კი შიმშილითა და უსამართლობით სულს ღაფავდა.

# 2 თავი

გაზაფხულის თბილი საღამო იდგა, მეფე გვირგვინა ძილის წინ სასახლის აივანზე გავიდა, რათა სუფთა ჰაერი ჩაეყლაპა და მის დაქვემდებარებაში მყოფ სამეფოსთვის კიდევ ერთხელ გადაევლო თვალი. ცხადია, ყველა მეფეს საკუთარი სამეფო ყველაზე ლამაზი და ბედნიერი ეჩვენება. ადამიანის ბუნებაა ასეთი და რა გასაკვირია, რომ ჭკუანაკლული გვირგვინა, მით უმეტეს, არ იქნებოდა გამონაკლისი.

მოკლედ, ჩიტების ჭიკჭიკითა და ვარდების სურნელით თავბრუდახვეული მეფე მოოქროვილ სავარძელში ჩაჯდა და გაირინდა...

უცებ, რაღაც არასასიამოვნო წკმუტუნმა დაარღვია მეფის მყუდროება. მანაც იკადრა ჯერ ორივე თვალის გახელა, ხოლო შემდეგ სასწრაფოდ ფეხზე წამოდგომა და სადღაც ღობის იქით დიდი და პატარა ძაღლი დალანდა. ისინი იდგნენ, რაღაცაზე საკმაოდ ემოციურად საუბრობდნენ, კუდებს აქიცინებდნენ და თან, შიგა და შიგ, წინა თათებს სასახლისკენ იშვერდნენ. აშკარად რაღაცას ანიშნებდნენ ერთმანეთს. ცხადია, არ მოეწონა ეს ამბავი ეჭვიან მეფეს და განრისხებული მოაჯირს მიუახლოვდა. მოიმარჯვა ჭოგრიტი და რას ხედავს?

- ეეეეეეეეე, ეს ხომ ბაბუა, ძაღლი, რომელსაც სიბერის გამო ბაბუს ეძახიან, ძაღლი, რომელიც ადრევე მყავდა შემჩნეული რაღაც გამოხტომებში, მაგრამ რას ვიფიქრებდი, რომ ვიღაც შვილიშვილისტოლა ლეკვთან ასე თავხედურად დადგებოდა ჩემი სასახლის სიახლოვეს და თათებს აქეთკენ გამოიშვერდა. ჩემგან რას ითხოვენ ეს ბატისტვინით დაბადებულები, ესენი. რამდენჯერ უნდა ავხსნა საჯაროდ, რომ მე მეფე ვარ, მაგრამ სახელმწიფოს მართვა-გამგეობაში არ ვერევი, არაااااااა. ესენი კიდევ დგანან და ჩემზე ჭორაობენ. ნამდვილად ჩემს დამხობას აპირებენ და ეს ბებერი ძაღლიც, ამ ვიღაც ლეკვს ჩემი დამხობის გეგმას აცნობს. არა, ეს საქმე ასე არ უნდა დავტოვო, უნდა დავიჭირო ორივე და საკუთარი გაჩენის დღე ვაწყევლინო ერთსაც და მეორესაც. თუმცა, სანამ დავიჭერ, ჯერ უნდა მოვუსმინო და ზუსტად ვიცოდე, რას ლაპარაკობენ. ااااა, იქნებ მართლები არიან?! ვახ, ეგ როგორ, კაცო, ეგენი თუ მართლები არიან, მაშინ მე გამოვდივარ მტყუანი?! როგორ, მე ვიღაც ძაღლებთან მტყუანი ვიყო, ეს ხომ გამორიცხულია. ამიტომ, სალამურა, სალამურااااااااა, სადა ხარ? მოდი, არიქა,

შენი თანამოძმენი, მე მგონი, დამხობას გვიპირებენ. - შველას ითხოვდა გვირგვინა.

- უკვე აქ ვარ, თქვენო უდიდებულესობავ და აღმატებულესობავ. - ქოშინით გულამოვარდნილი მოვარდა სალამურა და მბრძანებლის წინ მორჩილად ორ თათზე დადგა.

- იმ ბებერს ხომ იცნობ, ბაბუს რომ ეძახიან? - ჭოგრიტიდან გაახედა გვირგვინამ სალამურა.

- ვიცი ვინც არის, მეფეო.

- იმ ვიღაც ძაღლის ნაშიერ ლეკვსაც იცნობ?

- არა, მეფეო.

- ცუდია! - იმედი გაუცრუვდა მეფეს.

- ჩავალ და გავიცნობ, მეფეო! - უცებ მონახა გამოსავალი სალამურამ.

- არ არის საჭირო! - კოპები შეკრა გვირგვინამ.

- აბა, რა არის საჭირო, მეფეო? - ვერ გაერკვა სალამურა.

- ესენი, მე მგონი, უკმაყოფილონი არიან ძაღლური ცხოვრებით და ჩვენს დამხობას აპირებენ. ამიტომ, უნდა გავბაწროთ, თუმცა, მანამდე კომპრომატები გვჭირდება.

- კომპრომატები რად გვინდა, მეფეო?

- ჩვენ არ გვინდა, მაგრამ ათასი მტერი გვყავს და ამათ დაჭერას რომ გააპროტესტებენ, კომპრომატებს ცხვირწინ ავუფრიალებთ.

- მე ახლა რა ვქნა, მეფეო? - შეწუხდა სალამურა.

- შენ ის უნდა ქნა, რომ სასწრაფოდ უნდა გამოიძახო და აქ გააჩინო მოსასმენი აპარატურა, ისეთი აპარატურა, რომ კილომეტრებზე იღებდეს კადრებს და იწერდეს ხმას, თან ხარისხიანად, ყოველგვარი ხარვეზების გარეშე. ხომ გაიგე? - ცხარობდა მეფე.

- გავიგე, დიდო მეფეო და ახლავე, წამებში ყველაფერი აქ იქნება! - როგორც იქნა გაერკვა საქმის ვითარებაში სალამურა და მოსასმენი აპარატურის მოსატანად კიბეზე დაეშვა.

მართლაც, მოსასმენი თუ გადასაღები აპარატურა წამებში უკვე ადგილზე იყო. გამართეს, დაამონტაჟეს და ჩაუჯდნენ... ჩაუჯდნენ მოსასმენად და საყურებლად:

- ბაბუ, ხორცი რა არის? - იკითხა ლეკვმა, რომელსაც დიკა ერქვა.

- ხორცი?

- ჰო, ხორცი.

- ჯერ ეს მითხარი, შენ ეგ სიტყვა საიდან გაიგე?

- წუხელის, ჩვენი ღობის იქითა მხრიდან ერთი ვიღაცა მეორე ვიღაცას ეძახდა, მეფეს ზვიგენი მოუნდა და რა ვქნა, ამ შუა ღამისას საიდან მივართვაო?

- მერე იმ ვიღაცამ რა უპასუხა?

- ახლადდაკლული კენგურუ მიუტანე, მაინც ვერაფერს მიხვდებაო.

- მერე ამ ვიღაცამ რაო?

- ამ ვიღაცამ უთხრა, მეფე გვირგვინას ვერ მოვატყუებ, რადგან მე მისი ერთგული ძაღლი ვარ, ის კი ჩემგან მადლობის მეტს არაფერს იმსახურებს და საჭირო რომ გახდეს, საკუთარ ხორცსაც დავუთმობო.

- ჰოოოო, ის ერთი ვიღაცა, უეჭველი სალამურა იქნებოდა, მეფის ერთგული კადრი, - დაასკვნა ბაბუმ.

- ხორცი რაღაა? - არ ცხრებოდა დიკა.

- ხორცს რაც შეეხება, დავიჯერო, შენ კიდევ ვერ მიხვდი, ხორცი რა არის? - უკმაყოფილო ჩანდა ბაბუ.

- ვერ მივხვდი, ვერა.

- მაშინ იცოდე, ხორცი ძალიან კარგი რამეა.

- ძალიან კარგი რომ არის, გასაგებია, მაგრამ... მოიცა, მოიცა, ااااا, მე მგონი, ახლა მივხვდი, საჭმელია?

- კი, საჭმელია, თანაც გემრიელი და სასარგებლო, როგორც ძაღლებისთვის, ისე ადამიანებისთვის.

- მერედა, რატომ ჩვენ არ გვაჭმევენ?

- ჩვენამდე აღარ მოდის, არ ემეტებათ და იმიტომ. - გაეღიმა ბაბუს.

- შენ თუ გიჭამია ხორცი? - დაინტერესდა დიკა.

- გამოხრულ ძვალზე აქა-იქ მიკრულ ხორცის თხელ ფენას თუ არ ჩავთვლი, ნამდვილი ხორცი არასოდეს არ მიჭამია, მაგრამ შორიდან დამინახავს, მისი სურნელი მომსვლია, ჩამისუნთქავს და კმაყოფილიც დავრჩენილვარ. – თვალები მინაბა ბაბუმ.

- ეგ როდის იყო?

- ადრე, წლების წინ მეფე გვირგვინა თავის ხელქვეითებთან ერთად, ეზოში, ღია ცის ქვეშ, ზუსტად იმ ღობესთან, რომელიც ძა-

ღლების ტერიტორიას სასახლისგან ჰყოფს, წვეულებებს მართავდა ხოლმე. თუმცა, წვეულებებს ვამბობ, თორემ უფრო ღრეობები იყო, უზომო ჭამით, სმით და ყირაზე გადასვლით. ერთ ღამეში იქ იმდენი ხორცი იწვებოდა და ისანსლებოდა, ჩვენთან მცხოვრებ ძაღლებს, მაგ რაოდენობის ხორცი რომ მოგვცა, მთელი ცხოვრება ვიმყოფინებდით.

- გვირგვინა ჩვენი მეფეა? - იკითხა დიკამ.

- მეფეა, ოღონდ ყველაზე სამარცხვინო მეფე, რომელიც კი ამ სამეფოს ჰყოლია.

- და ყოველთვის რატომ არ გვგავს ჩვენ, ძაღლებს? - ძალიან ცნობისმოყვარე იყო დიკა.

- ადამიანია და ყოველთვის იმიტომ არ გვგავს. ის ორ ფეხზე დგას, ჩვენ ოთხზე, ის ჩვენზე მბრძანებლობს, ჩვენ მხოლოდ უსუსურ ცხოველებზე ვბრძანებლობთ.

- ესე იგი, ადამიანები ხორცსაც ჭამენ?

- ადამიანები ყველაფერს ჭამენ, ხორცს კი განსაკუთრებით ეტანებიან და მისგან ათასნაირ კერძებს ამზადებენ.

დიკას, ბაბუსი არ იყოს, ხორცი არასოდეს გაესინჯა, მაგრამ უკვე კარგად ესმოდა, რომ მისი უფროსი თანამოძმე რაღაც გემრიელ საჭმელზე ელაპარაკებოდა და ნერწყვი მოადგა.

ბაბუ კი განაგრძობდა, - ეჰ, ჩემო დიკა, ხომ გეუბნები, ადამიანები ყველაფერს ჭამენ, მცენარეულ საკვებსაც და ხორცსაც, მიწაზე მოსიარულე ოთხფეხა ცხოველი კი, იშვიათი გამონაკლისის გარდა, ან მხოლოდ მცენარეული საკვების ჭამისთვის არის გაჩენილი, ან მხოლოდ ხორცისთვის.

- მართლა? მაგას არ ვარ დაკვირვებული. მაშინ, მითხარი, რომელი ცხოველია, რომ ყველაფერს ჭამდეს, მცენარეებსაც და ხორცსაც?

- ასეთი ცხოველი, ყველაფერს რომ ჭამდეს, მცენარესაც და ხორცსაც, სულ თითებზე ჩამოსათვლელი უნდა იყოს, მაგალითად, ღორი, დათვი, მაიმუნი, მელია, ვირთხა, მაჩვი...

- რაااااااااა? ღორები, დათვები, მაიმუნები, მელიები, ვირთხები და მაჩვები მცენარეებსაც ჭამენ და ხორცსაც? - გააწყვეტინა დიკამ.

- ღორები, დათვები, მაიმუნები, მელიები, ვირთხები, მაჩვები და ადამიანები.

- გამოდის, რომ ღორს, დათვს, მაიმუნს, მელიას, ვირთხას, მაჩვსა

და ადამიანს შორის რაღაც საერთო ყოფილა.

- ეგრე გამოდის, რადგან ღორები, დათვები, მაიმუნები, მელიები, ვირთხები, მაჩვები და ადამიანები ძალიან წუწკები არიან და სიხარბით ძალიან ჰგვანან ერთმანეთს.

- სიხარბით?! - გაოცებით თვალები გაუფართოვდა დიკას.

- ცოცხალი ორგანიზმი ხარ? ჭამე ან ბალახი, ან ხორცი, უფრო უკეთ მოინელებ და შეგერგება, მაგრამ მუცელში ყველაფერს იყრიდე და ერთნაირად ამუშავებდე მცენარეულ საკვებსაც და ხორცსაც, ეს უკვე სიხარბეა, აბა, რ არის?!

- გეთანხმები!

- მეტსაც გეტყვი, გარდა იმისა, რომ ადამიანი მცენარეულ საკვებსაც მიირთმევს, მას ნათქვამი აქვს, დედამიწაზე ყველაფერი იჭმევა, რაც მოძრაობს, უბრალოდ, მისი მომზადების წესი უნდა იცოდეთო. ახლა გეკითხები, არის თუ არა ეს ღორობაზე, დათვობაზე, მაიმუნობაზე, მელიობაზე, ვირთხობაზე და მაჩვობაზე არანაკლები სიხარბე?

- კარგი, ეგ გავიგე, გეთანხმები, მაგრამ, ამ ასაკში მყოფს, ხორცი საერთოდ რომ არ გიჭამია და მხოლოდ ძვლების გამოხვრით კმაყოფილდები, ამაზე რას იტყვი? ისე, საინტერესოა, მეფე გვირგვინამდე, წლების წინ რომ სხვა პატრონი გვყავდა, მაშინაც ცუდად ცხოვრობდით და არც მაშინ გაჭმევდნენ ხორცს?

- ხორცს არ მაძლევენ და რა ვქნა, მეც წუწკი ადამიანივით უცხო სახლებში შევარდნას და რაღაცების მოპარვას ხომ არ დავიწყებ? რაც შეეხება გვირგვინას მოსვლამდე ჩვენს ცხოვრებას, გულახდილად გეტყვი: ზოგიერთები კი ამბობენ, წლების წინ უკეთ ვცხოვრობდითო, მაგრამ თუ დამიჯერებ, არც მაშინ გვქონდა ბედნიერი ცხოვრება. აი, მაგალითად, ახლა ხომ ძვალს გვაჭმევენ?

დიკა დაფიქრდა და საკუთარი წილი საუზმიდან მეფე გვირგვინას ხელქვეითების მიერ გამოხრული  და გადმოგდებული ერთი ძვლის მეტი, ვერაფერი რომ ვეღარ გაიხსენა, ბაბუს მკვირცხლად თავი დაუკრა და სევდიანი სახით უპასუხა, - დიახ, დღეს მე, მეფის ხელქვეითთა მიერ გამოხრული და გადმოგდებული ერთი ძვლის მეტი არაფერი ჩამიდვია პირში.

- ძილის წინ წვნიან კარტოფილში ან მაკარონში შეზელილ პურს დაგვიყრიან მიწაზე და სულ ეგ იქნება ჩვენი ძაღლური ვახშამიც. ჩვენს ამ დღეში ჩამგდებს მოუკვდა პატრონი, თორემ ძაღლები პურს, მაკარო-

ნსა და კარტოფილს უნდა ვჭამდეთ? რა ჩვენი საქმეა მცენარეებისგან შექმნილი საკვების ღეჭვა, მაგრამ, ხომ ხედავ, სხვა გზა არ დაგვრჩენია და აქეთ ეგეც სახვეწნი გვაქვს. ძვალსა და ხორცს რაც შეეხება, წლების წინ, ძვლებს რომ გვიყრიდნენ, იმაზე პატარა ხორცი მაინც იყო ხოლმე მიკრული და ამით ვიძღობდით თავს. ახლა კი, გვირგვინა და მისი მსუნაგი ხელქვეითები ისე ბოლომდე ხრავენ ძვლებს, ზედ ხორცის ნატამალსაც აღარ ტოვებენ. მოკლედ, როგორც გითხარი, ძვალზე სასწაულად გადარჩენილი ხორცი მიჭამია, თორემ მსუყე, უძვლო ხორცის ნაჭერს, მე ვინ მომაშავებდა?!

- ადრე, წლების წინ, მეფე გვირგვინა თავის ხელქვეითებთან ერთად, ჩვენს ღობესთან წვეულებებს მართავდა ხოლმეო, ასე მითხარი და რატომ ახლა აღარ მართავს მსგავს წვეულებებს? რა, მეფეს და მის ხელქვეითებს აღარ ექეიფებათ?

- ეჰ, დიკა, დიკა, იმათ რომ ექეიფებათ, ნეტავ, ჩვენც სულ ეგრე საქეიფოდ გვქონდეს საქმე.

- აბა, რატომ აღარ ქეიფობენ?

- ქეიფით ქეიფობენ, თანაც თავდავიწყებით და ამაზრზენად, უბრალოდ, ჩვენ ამას უკვე ვეღარ ვხედავთ, რადგან შიგნით, სასახლეში ან ჩვენგან მიუწვდომელ, სხვა ადგილებში ქეიფობენ.

- კი, მაგრამ, რატომ? - ყურები ცქვიტა ცნობისმოყვარე დიკამ.

- ჩვენ რომ აღარ დავინახოთ.

- და თუ დავინახავთ, რამე დაშავდება?

- დაშავებით არაფერიც არ დაშავდება, მაგრამ მეფეს და მის ხელქვეითებს არ აწყობთ მშივრებმა და გაჭირვებულებმა მათ ღრეობებს უყურონ.

- რატოოოოოოოოოოომ? მაინც ვერ მივხვდი.

- იმიტომ, რომ მშიერმა, მაძღარი ბატონი რომ დაინახოს, თავადაც მოინდომებს გაძღომასა და ღრეობას. მაძღარი და ღრეობებსაყოლილი კი მონად არ გამოდგება.

- ესე იგი, გვირგვინა მეფეს და მის გარემოცვას მე მხოლოდ მონად ვჭირდები და იმ დამადლებულ სალაფავსაც მხოლოდ ამიტომ მიყრიან მიწაზე?

- მეტიც, კლოუნად სჭირდები! - დააზუსტა ბაბუმ.

- შემწვარი ხორცის სუნიც ამიტომ აღარ არის, - ჩაილაპარაკა დიკამ.

- აბა, წარმოიდგინე, ღობის იქით ადამიანადწოდებული მეფე გვირგვინა თავის კარ-მიდამოში ამაყად დააბიჯებს, იქვე არიან ჩვენი თანამოძმეებადწოდებული მისი ხელქვეითებიც; სალამურა, ქოჩორა, დრუნჩა და კიდევ სხვები. მიდის ღრეობა, ყველანი ილუკმებიან შემწვარ-მოხარშულ-მოხრაკულ ხორცს, თან მადისაღმძვრელ სუნებს აქეთ უშვებენ და ჩვენ ამ დროს, მშიერი კუჭით რკინის ბადეებს ვაწყდებით, ვიღრინებით, ნერწყვს ვყლაპავთ. გეკითხები, როგორი ასატანია?

- რას ამბობ, ბაბუ, წამებაა. მე ამას ვერ ავიტანდი.

- ჩვენც რომ ვერ ავიტანეთ და პროტესტი გამოვთქვით, ამიტომაცაა, რომ ასეთ ღრეობებს უკვე ჩვენგან მოშორებით აწყობენ. მოკლედ, თუ აქამდე ხორცეულობასა და სხვადასხვა სასუსნავებს ვერ ვჭამდით, მაგრამ ვხედავდით მაინც, ახლა ეგ ყველაფერი მოგვაშორეს და დანახვითაც ვეღარ ვხედავთ. ალბათ იმიტომ, რომ ჭკუიდან არ გადავიდეთ.

- პროტესტი რა არის?

- როცა რაღაცით უკმაყოფილო ხარ და ამას ყეფით გამოხატავ.

- ჩვენც გვქონია მაგ რაღაც პროტესტის უფლება?!

- პროტესტის უფლება გვაქვს და ხანდახან ამ უფლებას ვიყენებთ კიდეც, მაგრამ ჩვენი მდგომარეობა მაინც არ უმჯობესდება.

- რატომ ხარ უკმაყოფილო, ბაბუ? როგორც შენ ამბობ, პროტესტი გამოგითქვამთ და იმათაც ეგ რაღაც ღრეობები და ხორცეულობების ჭამა ჩვენგან მოშორებით გადაუტანიათ. გამოდის, რომ ზრუნავენ ჩვენზე და ჩვენს ჯანმრთელობაზე.

- დიკა, ეგრე არ არის.

- აბა, როგორ არის?

- ჩვენზე ზრუნვა ის იქნებოდა, პროტესტის შემდეგ ჩვენი კვების რაციონშიც ისეთივე ხორცეულობა ჩაემატებინათ, როგორსაც თავად მიირთმევენ, მაგრამ მათ ყველაზე იოლი გზა აირჩიეს და ყველანაირი გემრიელობები ჩვენი თვალთახედვიდან გააქრეს. ჩვენ თანასწორობა გვინდოდა, იმათ კი უთანასწორობა დაამკვიდრეს.

- მართლა რა კარგი იქნებოდა, ჩვენც რომ ისეთივე გემრიელ საჭმელებს გვაჭმევდნენ, როგორსაც თავად ჭამენ. - თვალები მინაბა დიკამ.

- მოგშივდა?

- მომშივდა, აბა, რა, ის ერთი ძვალი რას მეყოფოდა?

- შენ მოზარდი ხარ, ჯერ კბილები გაუმაგრებელი გაქვს და რძე გჭირდება.

- რძეც მინდა და ხორციც... შენ არ გინდა? - დაინტერესდა დიკა.

- ჩვენ მხოლოდ უნდა ვიოცნებოთ, იმათ კი საოცნებო აღარაფერი დარჩენიათ, რადგან უკვე ყველანაირი ოცნება აისრულეს. - ხმაში ბრაზი გაერია ბაბუს და ამ დროს, უცებ ...

- აიტ, თქვე ცოფიანი ძაღლის უკანალიდან დაგდებულებო, აბა, ახლავე თათები ასწიეთ და ხმა არ ამოიღოთ. - ბაბუს და დიკას ზურგიდან ვიღაცების განწირული კივილი და ხვნეშა მოესმათ.

შებრუნდნენ და მათ წინ პირზე დუჟმოერეულ სამართალდამცველთა მთელი ხროვა იდგა. ვერ გაერკვნენ ბაბუ და დიკა რაც ხდებოდა, ამიტომ ბაბუმ გულუბრყვილოდ იკითხა, - ძმებო, თქვენ, მე მგონი, რაღაც შეგეშალათ, არა?

- რაااااااااااა, აქეთ შენ დაგვცინი და შეურაცხყოფას გვაყენებ? - კბილები დაკრიჭა ყველაზე დიდმა და შეუხედავმა ძაღლმა.

- არც მიფიქრია ვინმესთვის შეურაცხყოფის მიყენება! - თავი იმართლა, ბაბუმ.

- გაბაწრეთ! - ბრძანება გასცა ერთ-ერთმა, რომელსაც ჩაცმულობაზევე ეტყობოდა, რომ ამ სპეცოპერაციის ხელმძღვანელი პირი უნდა ყოფილიყო.

- რა ხდება, გამაგებინეთ, ვინ ხართ ან რას გვერჩით? - ბაბუმ უკან დაიხია, მაგრამ ვიღაცამ ზურგში ისე ღრმად ჩაასო კბილები, რომ ნაკბენიდან სისხლმა თქრიალით დაიწყო დენა.

- რა გინდათ, რას გვერჩით, არ იტყვით? - ახლა უკვე სიმწრისგან გაიბრძოლა ბაბუმ.

- შე გამოყრუჩუნებულო, შენა, ამხელა ძაღლი, ამ ვიღაც შვილიშვილისტოლა ლეკვთან რომ დამდგარხარ და სახელმწიფო გადატრიალებაზე ყბედობ, არ გრცხვენია? - უცებ წამოუყენა ბრალდება ხელმძღვანელმა პირმა. სხვები კი ბაბუს და დიკას ბაწრავდნენ, იმ დიკას, რომელიც შეშინებული იდგა და ხმას ვერ იღებდა.

- რა სახელმწიფო გადატრიალება, რის სახელმწიფო გადატრიალება, სად გვაქვს სახელმწიფო, თქვე უღმერთოებო, თქვენა, - პირიდან ცეცხლებს ჰყრიდა ბაბუ.

- აჰა, ახლა მაინც ხომ მიხვდით, ვინ არის ეს კბილებჩაცვენილი ბებერი, ესა. - აყეფდა ვიღაც შავჟილეტიანი.

- რას ელაპარაკებით, ჩაყარეთ მანქანაში! - ცხარობდა ხელმძღვანელი პირი.

ჩაყარეს მანქანაში და წაიყვანეს ჩვენი ბაბუ და დიკა, თუმცა შორს არ წაუყვანიათ, იქვე მეფის სასახლეში მიაბრძანეს, რამეთუ ციხეც და სასამართლოც იქ იყო, ხოლო იმ უკუღმართ ქვეყანაში ყველა ბრალმდებელისა და მოსამართლის უკან სხვა ვინ იდგებოდა თუ არა მეფე გვირგვინა?

დიახ, გვირგვინა იმ ქვეყნის მეფეც იყო, ბრალმდებელიც, მოსამართლეც და კანონმდებელიც, ოღონდ არაფორმალურად.

## 3 თავი

იმ უსამართლობის გადამკიდე, რაც გვირგვინას სამფლობელოში სუფევდა, ადგილობრივთა უკმაყოფილება დღითიდღე მატულობდა. შედეგად, ისე მოხდა, რომ იშვიათი გამონაკლისის გარდა, არ დარჩენილა ფენა, რომელიც მეფის მომხრე იქნებოდა. გვირგვინას სამფლობელოს მკვიდრთაგან, ვისაც შესაძლებლობა ეძლეოდა, ყველანი უკანმოუხედავად გარბოდნენ მეზობელ და არამეზობელ სამეფოებში. - იქ ყველა ბედნიერად ცხოვრობს, იქ უკეთესია, იქ ჯერარნახულ ცხოვრებას დავიწყებთ, იქ ხელმეორედ დავიბადებით და ოცნებებს ავისრულებთ, - ამბობდნენ უცხო სამეფოებისკენ მიმავალნი და არც გაემტყუნებოდათ. განსაკუთრებით ნაგლო-სექსების შთამომავალთა და მათ თანამოძმეთა მიწებისკენ მიილტვოდნენ გვირგვინას სამეფოს მკვიდრნი. ერთხელაც, სადღაც, რომელიღაც ორგანოში, როცა დააჯამეს გვირგვინას სამეფოდან უცხო მიწაზე გადახვეწილთა რაოდენობა, საკმაოდ გულსაკლავი სურათი მიიღეს - დაახლოებით მილიონამდე გაქცეული აღმოჩნდა საკუთარი ქვეყნიდან, უმეტესობა კი, როგორც უკვე გითხარით, ნაგლო-სექსების შთამომავალთა და მათ თანამოძმეთა მიწებისკენ გარბოდა. ალბათ იკითხავთ, რატომ მაინც და მაინც ნაგლო-სექსების შთამომავალთა და მათ  თანამოძმეთა მიწებისკენო? პასუხი ძალიან მარტივია, იქ ზღაპრული, სამართლიანი, ფერადი, ტკბილი ცხოვრება ყოფილა და იმიტომ.

აი, მაგალითად, მოედანზე საჯაროდ გამოდგება ვინმე ლაბრადორი და დაიწყებს წუწუნს, რომ ხორცი და გემრიელობები მაკლია, არ მყოფნისო, საპასუხოდ კი თანამოძმეთა მასიდან თავს გამოყოფს გერმანული ნაგაზი და ეტყვის, წადი, ძამიკო, ნაგლო-სექსებში, იქ ხორციც

თავზესაყრელი გექნება და სხვადასხვა გემრიელობებიცო.

ცოცხალ არსებასაც მეტი რა უნდა? გაყიდის ყველაფერს და საოცნებო სამეფოსკენ მიმავალ გზას დაადგება.

მერე პატარა პუდელი დაიჩივლებს, ამ სამარცხვინო ქვეყანაში სამართალი ვერ მიპოვნია, რახან სუსტი ვარ, მჩაგრავენ. ამასწინათ, ძაღლის პატარა ჯიხურის ჩადგმა მინდოდა ხორცკომბინატის წინ, ვიფიქრე, ამით საკვების პრობლემა მომეხსნებოდა, მაგრამ უფლება არ მომცეს, თქვენი ჯიხური ქალაქის ცენტრალურ ნაწილს დაამახინჯებსო. არადა, რამდენიმე კვირის შემდეგ გავიარე ხორცკომბინატთან და რას ვხედავ, ზუსტად იმ ადგილას, კავკასიურ ნაგაზს ჩაუდგამს ჯიხური, მე კი უარი მითხრეს. ჰოდა, გაგიჟებას ვარ. მირჩიეთ, რა ვქნა, რა წყალში გადავვარდეო? ამჯერად თანამოძმეთა მასიდან გამოძვრება ვინმე ბულტერიერი და ეტყვის, ვისაც აქაური სამართალი არ მოგწონთ, წადით  ნაგლო-სექსების შთამომავალთა მიწებისკენ, იქ, სადაც ჭეშმარიტი სამართალი ზეობს, სადაც  ნაცნობობა, ძმაკაცობა, ახლობლობა არ ჭრის და უცებ ამოისუნთქებთო.

ცოცხალ არსებასაც მეტი რა უნდა? გაყიდის ყველაფერს და საოცნებო სამეფოსკენ მიმავალ გზას დაადგება.

რამდენიმე ხანში უკვე ირლანდიური ტერიერი აღიმაღლებს ხმას და იტყვის, მიმიღეთ, როგორიცა ვარ, სიცოცხლით სავსე და მხიარული, მაგრამ ვისი რა საქმეა, ღამეს ვისთან გავათევ, ვისთან მექნება სექსი და კუდის ძირში ვის ვუსუნებ, მდედრს თუ მამრსო? აქ უკვე, როგორც ამ საქმის ღრმად მცოდნე, ბოქსიორი გამოეყოფა თანამოძმეთა მასას და ეტყვის, ნაგლო-სექსების შთამომავალთა რომელიმე სამეფოსთვის ხარ, ძამიკო, დაბადებული და აქ წანწალით დროს რაღაზე ჰკარგავ?! წადი იმათკენ და დაისვენებ, რადგან იქ არავინ გაგიკონტროლებს, გინდა მდედრს უსუნე კუდის ძირში და გინდა მამრს, გინდა მდედრთან იკოტრიალე ლოგინში და გინდა მამრთან, ყველას ცალ თათზე ეკიდება შენი სექსუალური ცხოვრება და ორიენტაციაო.

ცოცხალ არსებასაც მეტი რა უნდა? გაყიდის ყველაფერს და საოცნებო სამეფოსკენ მიმავალ გზას დაადგება.

ცხადია, არც ინგლისური კოკერ სპანიელი ჩაიგუბებს პირში წყალს და უკმაყოფილო ტონით რიხიანად განაცხადებს, რომ აქ, ამ ქვეყანაში რელიგიურ ნიადაგზე მავიწროვებენ, დამცინიან, შეურაცხყოფას მაყენებენ, ის კი არა, ფიზიკურადაც მისწორდებიან, ამიტომ, ფიქრად ვარ დაცემული და არ ვიცი, რა ვიღონოო? თანამოძმეთა მასიდან

მასაც გამოუჩნდება ჭკუის დამრიგებელი, ვინმე ციმბირული ჰასკი და ძალიან ბრძნული გამომეტყველებით მშვიდად ეტყვის, ნუ დარდობ, ძმობილო, შენისთანა მდგომარეობაში ჩავარდნილებისთვის ნაგლო-სექსების შთამომავალთა ქვეყანაში გადახვეწაა მისწრება. წადი, ჩაბარდი, დამკვიდრდი და დაგამცირებენ კი არა, აქეთ დაგაფასებენ და შეიძლება, მაგ შენი რელიგიური განხრით, რამე სერიოზული თანამდებობაც მოგცენო.

ცოცხალ არსებასაც მეტი რა უნდა? გაყიდის ყველაფერს და საოცნებო სამეფოსკენ მიმავალ გზას დაადგება.

სადაც უკმაყოფილებაა, როგორ შეიძლება იქ, პიტბულმაც არ ჩაჰყოს დრუნჩი და რამე არ დაიჩივლოს? გამორიცხულია. ჰოდა, გამოვარდება ეს ჩვენი პიტბულიც და მოჰყვება თავის საგმირო საქმეებს, ვის ეჩხუბა, ვინ დაგლიჯა, ვის ყური მოაჭამა, ვის ყელი გამოღადრა. თუმცა, მეც მიმიღია ტრავმა, ლოგინადაც ჩავვარდნილვარ, ვეტექიმებთანაც მოვხვედრილვარ, საოპერაციოც გავმხდარვარ, მაგრამ, მტრისას თეთრხალათიანების ხელში ჩავარდნა, იმდენი თანხები ჯდება წამლობა-მკურნალობა, რომ ლამის სახლ-კარი გავყიდო. ეს რაღაც სამედიცინო დაზღვევები კი ბლეფი ყოფილა და სხვა არაფერი. მიშველეთ, რა ვქნა, არადა, ჩხუბის გარეშე ჩემი ყოფნა არ შეიძლება, ხასიათი მაქვს ასეთი, ხოლო აქაური ფასების გადამკიდემ, როგორ ვიმკურნალო ჩხუბის დროს მიღებული ტრავმების შემდეგო? აქ უკვე ტაქსა გამოიდებს თავს და თანამოძმეს იმედის ნაპერწკალს გაუღვივებს. ნუ გეშინია, ძმობილო, გამოუვალი მდგომარეობა არ არსებობს, წადი ნაგლო-სექსების შთამომავალთა რომელიმე ქვეყნისკენ და ამოისუნთქებ, რადგან იქ ხეიბრებისთვის თუ დავრდომილებისთვის ისეთი სოციალური დახმარებებია, ისეთი სამედიცინო დაზღვევებია, რომ შენი დაგლეჯილი სხეულის ხელმეორედ შეკოწიწებასა და წამლობას არავინ დაგამადლისო.

ცოცხალ არსებასაც მეტი რა უნდა? გაყიდის ყველაფერს და საოცნებო სამეფოსკენ მიმავალ გზას დაადგება.

მოკლედ, საზოგადოება თავის გადასარჩენად და სამუდამოდ დასამკვიდრებლად ძირითადად მაინც დასავლეთის მიმართულებას ირჩევდა, იქ, სადაც ნაგლო-სექსების შთამომავალნი ან მათი თანამოძმენი ტკბებიან ცხოვრებით. არადა, ძალიან ძნელი იყო გვირგვინას სამეფოდან ნაგლო-სექსების შთამომავალთა ან მათ თანამოძმეთა თუნდაც ყველაზე უახლოეს სახელმწიფომდე მიღწევა, რამეთუ იქამდე

ჩასვლის მსურველებს ზღვები, ტყეები, მინდვრები, ჭალები, ქალაქები და სახელმწიფო-სამეფოები უნდა გადაელახათ. ეს ჩვენს კონტინენტზე, თორემ იყო კიდევ ერთი ნაგლო-სექსების შთამომავალთა მიერ დაფუძნებული სამეფო, რომელიც კიდევ უფრო შორს მდებარეობდა, ვიდრე სხვა დანარჩენი. იქამდე მისაღწევად კი ზღვებთან, ტყეებთან, მინდვრებთან, ჭალებთან, ქალაქებთან და სახელმწიფო-სამეფოებთან ერთად ოკეანის გადალახვაც იყო აუცილებელი, დიდი, უძირო ოკეანის. მერე ნაგლო-სექსების შთამომავალთა სამეფო საზღვარს რომ მიადგებოდა ვინმე აქედან ლტოლვილობაზე მეოცნებე, ცხადია, იქ, ერთ ვიღაც უპატრონო და ჯიბეგაფხეკილს, თანაც ლტოლვილობაზე მეოცნებეს არავინ შეუშვებდა. ჰოდა, იქვე იწყებოდა თავდავიწყება - საზღვართან რიგებში დგომა, ქვითინი, წივილი, კივილი, გულისწასვლები. შედეგად, ზოგი ახერხებდა ნაგლო-სექსების შთამომავალთა სამეფოში შეღწევას (უფრო შევარდნას), ზოგი - ვერა. მაგრამ ეს ხომ ცხოვრებაა, ზოგს უმართლებს, ზოგს - არა. იყვნენ ისეთებიც, რომლებიც საერთოდ შემოვლით გზებს ირჩევდნენ ან სულაც ნაგლო-სექსების შთამომავალთა სამეფოში სულ სხვა, მესამე სამეფოდან შედიოდნენ. გზად იყო გაჭირვება, შიმშილი, ნერვული სტრესები და მართლაც გაუსაძლისი ყოფა, ყოფა ძაღლური. ძალიან რომ არ გაგვიგრძელდეს და არც გადაგღალოთ, ლტოლვილობაზე მეოცნებენი გვირგვინას აწეწილ სამეფოდან დაწყნარებულ და დამშვიდებულ სამეფობეში გარბოდნენ, გარბოდნენ უკანმოუხედავად, თანაც ისე, რომ გული არავის სწყდებოდა.

## 4 თავი

გახსოვთ დიკა და ბაბუ? არა მგონია, არ გახსოვდეთ. ჰოდა, გვირგვინას აძაღლებულმა სასამართლომ იმსჯელა მათ საქმეზე და შემდეგი გადაწყვეტილება მიიღო: არასრულწლოვან დიკას სრულწლოვანებამდე აეკრძალა რძის პროდუქტების მიღება, ხოლო მარჯვენა ყურზე დაედო ნიშანი, იმის დასტურად, რომ ის ურჩი მოზარდია და სრულწლოვანებამდე სახელმწიფოს მეთვალყურეობის (უფრო მარწუხების) ქვეშ იმყოფება.

რაც შეეხება ბაბუს, მისი საქმე უფრო რთულად იყო.

კერძოდ, პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებით ბაბუს 40 (ორმოცი) წლის მანძილზე აეკრძალა:

ხორცის ჭამა.

ხორცზე ლაპარაკი.

ხორცზე გაფიქრება.

ხორცისკენ გახედება.

როგორც ხედავთ, პირველი ინსტანციის სასამართლოს საფუძვლიანად შეუსწავლია ბაბუს საქმეში არსებული მასალები და ისეთი გადაწყვეტილება მიუღია, როგორსაც მხოლოდ გვირგვინას აძაღლებული სასამართლო თუ მიიღებდა. აბა, როგორი საქმეა, ტურფა სამშობლოს ღალატში და სახელმწიფო გადატრიალებაში ბრალდებულ ძაღლს ორმოცი წლის მანძილზე მენიუდან, ენიდან, გონებიდან და თვალთახედვიდან ხორცი ამოუგდო. ეს ხომ წამებაა, სადიზმია. ეს იგივეა, ადამიანს წყლის დალევა აუკრძალო.

მიუხედავად სასამართოს ასეთი მკაცრი განაჩენისა, ბაბუ მაინც ღირსეულად იჭერდა თავს, ხოლო ადვოკატი ვალე ბედთან და უსამართლობასთან შეგუებას არაფრის დიდებით არ აპირებდა და თქვენ წარმოიდგინეთ, სააპელაციოს, ანუ მეორე ინსტანციის სასამართლოს კარსაც მიადგა, ჩემი დაცვის ქვეშ მყოფ ბაბუს მიჩაგრავენო.

ვალემ ისედაც მშვენივრად იცოდა, რომ ამ საქმიდან არაფერი გამოვიდოდა, მაგრამ პროფესია ჰქონდა ასეთი, სასამართლო დარბაზებში ბრალდებულები უნდა დაეცვა. ბოლოს და ბოლოს, ოჯახს ამით ინახავდა და საჭმელს ამით ჭამდა.

მეორე ინსტანციის სასამართლო, როგორც მოსალოდნელი იყო, შედგა და დამსწრე საზოგადოება იქაც თითქმის იგივე იყო, რაც პირველი ინსტანციის სასამართლოს მიმდინარეობისას.

ბაბუ მეორე ინსტანციის სასამართლოზეც ისევე უიმედოდ, თუმცა უდარდელად შევიდა, როგორც პირველი ინსტანციის სასამართლოზე, რადგან მას ამქვეყნად უკვე აღარაფერი ადარდებდა და აღარაფერი უკვირდა. ის შეგუებული იყო, რომ მთელი თავისი დარჩენილი ცხოვრებაც უხორცოდ უნდა გაეტარებინა, ოღონდ ამჯერად უკვე მახინჯი კანონის ძალით.

ძლიან მკაცრმა მოსამართლემ, სათვალის ზემოდან გადაჰხედა ბაბუს და ომახიანად მიმართა, - მოქალაქევ, შემდგომი 40 (ორმოცი) წელი ხორცის გარეშე ყოფნა მოგესაჯათ და თქვენ კიდევ დამწუხრე-

ბისა არაფერი გეტყობათ, აშკარაა, არ ნანობთ ჩადენილ დანაშაულს და არც იმას, რომ თქვენი დარჩენილი ორმოცი წელი უხორცოდ უნდა გაატაროთ. ის კი არა, როგორც პირველი ინსტანციის სასამართლოს ჩანაწერებიდან ირკვევა, თქვენ საერთოდ ხმა არ ამოგიღიათ, არც სასამართლოს მიმდინარეობისას და არც განაჩენის გამოცხადებას. გეკითხებით, რატომ არაფერს არ ამბობთ?

ბაბუ ისევ ჩუმად იჯდა, ხმას არ იღებდა.

- წამოდექი ფეხზე და თქვი რამე, შე უკბილო ბებერო, წამოდექი, წამოდექიიიიიი! - დარბაზში მსხდომმა სახელმწიფო ელიტამ აქეთ - იქითად ერთხმად შეუტია ბაბუს.

- თქვი რამე, თორემ, მაქვს ინფორმაცია, რომ მოსამართლე სასჯელს კიდევ უფრო გაგიმკაცრებს და წყლის დალევასაც აგიკრძალავს. - ვითომ ჩურჩულით თქმა უნდოდა, მაგრამ საკმაოდ ხმამაღალი ნათქვამი გამოუვიდა ადვოკატ ვალეს.

დარბაზი ისევ აყაყანდა და ბაბუც წელათრევით ძლივს წამოდგა, ეტყობოდა, რაღაცას იტკიებდა, თუმცა, მთავარია, რომ წამოდგა... მაგრამ, რა მოხდა, რატომ გადაწყვიტა ფეხზე წამოდგომა, თავადაც არ იცოდა, ვერ ახსნიდა.

ალბათ, სათქმელი ბურთივით ყელზე მოადგა ან დარჩენილი ცხოვრების უწყლოდ გატარებამ შეაშინა და ამიტომაც გადაწყვიტა ფეხზე წამოდგომით იმის თქმა, რაც გულში ედოო, სასამართლოს შემდეგ ასე ამბობდა ბაბუს ლეკვობის მეგობარი და მისი თანამებრძოლი ბუბუ.

- ეი, თქვენ, იქნებ ექიმს გამოუძახოთ, ნახონ ერთი, ეს ბებერი, ასე ხმისამოუღებლად რომ შეგვრჩა ხელში, ჭკუიდან ხომ არ გადასულა? - დაცვას გასძახა გვირგვინას ოჯახის ახლობელმა, მუდამ დიდმა თამადამ და პროფესიით ექიმმა, დალდომ.

- პატივცემულო დალდო, ექიმი თავად ბრძანდებით და შეგიძლიათ თავადვე უმკურნალოთ ამ ბებერს. - ღიმილით მიმართა დალდოს პოლიტიკოსმა და მხოლოდ ძაღლთა სამეფო კარისთვის ცნობილმა პოეტმა, სახელად ჩარჩილამ.

- მე სამედიცინო ხელსაწყოები და წამლები თან არ წამომიღია, ამიტომ ვერ ავუვალ მაგ საქმეს, - სერიოზული გამომეტყველება მიიღო დალდომ.

- არ გვინდა ექიმი და წამლები, საქმეს მხოლოდ სამართლებრივად მივხედოთ. მაშ ასე, იქნებ გვითხრათ, პირველი ინსტანციის სასა-

მართლოზე რატომ არ იღებდით ხმას, არ იყეფებოდით და არც წკმუტუნებდით? - მოსამართლემ თვალები მოჭუტა და კალამი ბაბუსკენ გაიშვირა, იმის ნიშნად, რომ თქვენ მოგმართავთო.

- სულელებთან მაქვს საქმე და იმიტომ! - როგორც იქნა, ხმა ამოიღო ბაბუმ.

დარბაზში ჩოჩქოლი ატყდა. მოსამართლეს კი მოჭუტული თვალები გაუფართოვდა და სიწითლემ გადაუარა. აშკარად ეტყობოდა, არ ესიამოვნა ბაბუს ნათქვამი, მაგრამ პროფესია ავალდებულებდა, თავი ხელში აეყვანა და მოსამართლის სამართლიანი მუნდირი განრისხების ლაქებით არ დაეთხაპნა.

- ვის გულისხმობთ სულელებში? - იკითხა მოსამართლემ.

- ვინც განაჩენი გამომიტანა და ვინც ამ განაჩენის გამოცხადებას კმაყოფილი ტაშით შეხვდა.

- ფიქრობთ, რომ ტყუილად დაგსაჯეს?

- ვფიქრობ, რომ სულელებმა დამსაჯეს.

- რატომ გვთვლით სულელებად? - დაიღრინა მოსამართლემ, რომელსაც, რატომღაც, თურმე ჯასტიკა ერქვა.

- კარგი, გეტყვით, ოღონდ ჯერ თქვენ გამეცით ერთ შეკითხვაზე პასუხი.

- ბრძანეთ! - სავარძელში აწრიალდა მოსამართლე ჯასტიკა.

- პატივცემულო მოსამართლევ, გთხოვთ, მითხრათ, ძაღლი რამდენ წელიწადს ცოცხლობს?

- მაქსიმუმ თხუთმეტ ან ოც წელიწადს! - სხაპასხუპით უპასუხა ჯასტიკამ.

- თოთხმეტი წლის ძაღლს, რომელსაც სიბერისა და ავადმყოფობის გამო ორიოდე დღის სიცოცხლე  დარჩენია, მაგრამ სასამართლო მას ორმოცი წლით უხორცო ცხოვრებას უსჯის, როგორ ფიქრობთ, ასეთ სასამართლოზე და სამართალზე, რა წარმოდგენა შეიძლება შეექმნას?

მოსამართლემ საკუთარი დაბნეულობის გადასაფარად, ჯერ ყური ჩაიდო პირში, შემდეგ მარცხენა თათით კეფა მოიფხანა, მაგრამ, ცხადია ასეთი ქმედება მას ვერ უშველიდა და პასუხის გაცემა იყო საჭირო. მანაც ზუსტად  ისეთივე კომპეტენტური პასუხი გასცა, როგორიც გვირგვინას სამეფოს და საერთოდ, იქაურ სამართალს შეეფერებოდა.

- სხვათა შორის, რომ იცოდეთ, იმ მსაჯულებმა, რომლებმაც ეგ განაჩენი გამოგიტანეს, თქვენი ასაკი საერთოდ არ იცოდნენ, ხოლო, მაგასაც რომ თავი დავანებოთ, ორმოცი წლის განმავლობაში, თქვენ თუ არა, თქვენი შთამომავლობა ხომ მაინც იქნება ამ ქვეყანაზე?

- ქვეყანაზე თუ ქვეყანაში? - გაეღიმა ბაბუს.

- თქვენმა  შთამომავლებმა, რომელ ქვეყანაშიც არ უნდა გააგრძელონ ცხოვრება, ჩვენი სამეფოს სამართალი მათ ყველგან მისწვდება და იმდენი ხნით მოუწევთ ხორცზე უარის თქმა, რამდენიც სასამართლოს აქვს დადგენილი.

ამის შემდეგ ბაბუს მხოლოდ გაეღიმა, ხოლო დარბაზში ისეთმა ტაშმა იფეთქა, ლამის ყურთასმენა წაიღო, მაგრამ მთელი სამეფოსი არ იყოს, ტაშის დამკვრელებიც ორად იყვნენ გაყოფილნი. მაგალითად, იმ ქვეყნის ელიტა, ანუ გვირგვინას ნასუფრალით გამოკვებილი საზოგადოება იქაური მახინჯი სამართლის სადიდებლად უკრავდა თავის წილ ტაშს, ბაბუს მომხრეთა ტაში კი, იქ დამკვიდრებული მახინჯი სამართლის წინააღმდეგ მხოლოდ  პროტესტის გამოხატულება იყო და მეტი არაფერი.

- მესამე ინსტანციის სასამართლოში უნდა გავასაჩივროთ და, აი, ნახავ, ამათ სულ კუდით ქვას ვასროლინებთ. მესამე, მესამე, მესამე ინსტანციის სასამართლომდე უნდა მივიდეთ, მენდე, დამიჯერე, ასე აჯობებს, არ წააგებ, ბაბუ. - ამშვიდებს ბაბუს ადვოკატი.

ბაბუც მივა მესამე ინსტანციის სასამართლომდე, მივა, აბა, რა, ოღონდ ისეთივე მორყეული მუხლით და უიმედო გულით, როგორც პირველ და მეორე ინსტანციის სასამართლომდე მისულა. მივა, იმიტომ, რომ თავმოყვარეობა გააჩნია და სიმართლე მის მხარეზე დგას, მაგრამ ისიც კარგად იცის ბაბუმ, რომ მის უკუღმართ ქვეყანაში თავმოყვარეობაცა და სიმართლეც შეფურთხებულია, გალანძღულია, დაკნინებულია, დამცირებულია და თითქმის გამქრალ-გაპარულია. დიახ, ბაბუს ქვეყნიდან სიმართლე გამქრალ-გაპარულია.

აღარავის სჭირდება ეგ შენი სიმართლე და იმიტომ, საერთოდ აღარავის, თითო-ოროლას გარდა.

ეს ვიღაცა ადვოკატიც რა გულისგამაწვრილებლად უჩიჩინებს, გინდა თუ არა, მესამე ინსტანციის სასამართლომდე მივიდეთო, მენდეო, მაგრამ ბაბუმ ისიც კარგად იცის, საქმე საქმეზე რომ მიდგეს, მისი თავმოყვარეობა და ცხოვრება ადვოკატ ვალეს სულ უკანა თათებზე ჰკი-

დია. უბრალოდ, პროფესია აქვს ასეთი, ადვოკატის პროფესია. ბოლოს და ბოლოს, მარტო ვალე კი არა, ნებისმიერი ადვოკატი ოჯახს ამ საქმიანობით ინახავს, ანუ საჭმელს ამით ჭამს და რა გასაკვირია, რომ უპერსპექტივო საქმის საბოლოოდ დასრულების ნაცვლად, მაგ საქმის სხვადასხვა ინსტანციებში გასაჩივრებები აწყობდეს.

„ეჰ, ჩემო თავო, დაბერდი, ცალი ფეხი უკვე მიქელ გაბრიელის სამფლობელოში გაქვს ჩადგმული და, ნუთუ კიდევ ვერ მიხვდი, რომ შენს სამშობლოში სამართალს ეძებდე, ისეთივე უაზრობაა, როგორც რიყის ქვას ამარილებდე და მწნილად დებდე," ფიქრობდა უსამართლო სასამართლოს კარებთან მდგარი ბაბუ და უიმედოდ მიწას დაჰყურებდა.

## 5 თავი

ძაღლთა სამეფოს საზოგადოებრივ საქმიანობებში განსაკუთრებით ბობა აქტიურობდა, პროფესიით გაურკვეველი, საქმიანობით კი რეჟისორი და პოლიტიკოსი. ეს ის ბობა იყო, მეფის დავალებით, ძაღლებზე ფილმს რომ იღებდა და შეცდომით, ძაღლების მაგივრად, პინგვინების ცხოვრებაზე რომ გადაიღო საკმაოდ დიდი სერიალი, თუმცა, მაგ ფილმისთვის, მეფემ, მაინც ზღაპრული პრემია რომ გამოუწერა.

კი, მაგრამ, სად პინგვინი და სად ძაღლიო? იკითხავთ თქვენ და სიმართლესთან ძალიან ახლოსაც იქნებით, მაგრამ თქვენ თქვენ ხართ, გვირგვინა კი გვირგვინა იყო, ჭკუამხიარული მეფე, რომელსაც მის სქელ ჯიბეს გამოკერილი ელიტა, ძალიან ხშირად აჯერებდა იმას, რაც მათ ინტერესებში ჯდებოდა. კონკრეტულად ამ შემთხვევას რაც შეეხება, ბობამ და მისმა საახლობლო წრემ, გარკვევით აუხსნა მეფეს, რომ პინგვინი ძაღლის განსაკუთრებული ჯიშია, რომელიც ჩრდილოეთის ყინულოვან სამეფოში ცხოვრობს, იქაურ ადამიანებთან მეგობრობს და დილით ირიჟრაჟებს თუ არა, აისბერგზე შემოჯდება და თვალებდახუჭული გულში მღერისო.

- ვაااااااااااა, მართლა? აისბერგზე შემოჯდება და მღერის? თან გულში მღერის, ანუ ღიღინებს? - გაუკვირდა გვირგვინა მეფეს.

- დიახ, დიდო და პატივცემულო მეფეო, პინგვინი ძაღლია, თან

რაღაც განსაკუთრებული და უნიკალური ჯიშის ძაღლი, - არწმუნებდა ბობა.

- ნამდვილი ასეა, პინგვინი ძაღლია, ჩრდილოეთის ნაგაზი, - ბობას კვერს უკრავდა სალამურა.

ასეა, ჭკუამხიარული მეფის მოსატყუებლად, ჯერ ჭკუასუსტი სალამურას გაცურება იყო საჭირო. ეს საქმე კი გაქნილ ბობას, ცხადია, არ გაუჭირდებოდა და არც გასჭირვებია. მან დაარწმუნა სალამურა, რომ პინგვინი ჩრდილოეთში მცხოვრები განსაკუთრებული ჯიშის ძაღლია, რომელიც თავის მხრივ შევიდა მბრძანებელ გვირგვინასთან და მოახსენა, რომ პინგვინი ძაღლია და ჩრდილოეთში ცხოვრობს, ხოლო ბობას მიერ გადაღებულ ფილმს რაც შეეხება, ნახა და დიდად ნასიამოვნები დარჩა.

ამის შემდეგ, სალამურამ, როგორც საქმის მკეთებელმა საჯარო მოხელემ მეფისგან საკმაოდ მსუყე პრემია-დანამატთან ერთად ბაჯაღლოს სალამური და ერთი ტონა ვირის ტვინი მიიღო ძღვენად.

უყვარდა სალამურას ვირის ტვინი, განსაკუთრებით კვერცხში და მწვანე ხახვში შემწვარი.

მაშ, პინგვინი ძაღლი ყოფილა და აქამდე სად ვიყავიო?! ცხოვრებაში პირველად მწარედ ჩაფიქრდა გვირგვინა. მერე საკუთარ ნაზირ-ვეზირებში ბრძანება გასცა, ვისაც ჩრდილოეთის მხარე გაბარიათ, ახლავე გაიქეცით ყინულოვან სამეფოსკენ და სასწრაფოდ ერთი-ორი კარგი პინგვინი ჩამომიყვანეთ, თორემ ლუკმა ხორცის გარეშე დაგტოვებთ და თქვენი თანამოძმე ქუჩის ძაღლებივით, ჭამეთ მერე ნაგვის ბუნკერებიდანო. ისინიც დაფაცურდნენ და ბელადისგან მიღებული ბრძანების შესრულებას შეუდგნენ, რადგან არავის სურდა მათ სამეფოში მცხოვრები უმრავლესობის მსგავსად გაღატაკება. აშკარაა, რომ ქვეყანაში რაღაც ახალი ინტერესი გაჩნდა, ხოლო მუდამ მეფის კართან ატუზულმა ელიტამ ამ ამბავს მოჰკრა თუ არა ყური, სასწრაფოდ ახალი სლოგანი გამოაცხო და მისი დაზეპირებაც დაიწყო - „პინგვინი ძაღლია," „პინგვინი ძაღლია," „პინგვინი ძაღლია." თავად მეფემ სასწრაფოდ კრება მოიწვია და სამეფო უწყებების ყველა ხელმძღვანელს დაავალა, რომ მათ თავის მხრივ დაევალდებულებინათ საკუთარ დაქვემდებარებაში მყოფნი, ზემოხსენებული სლოგანი, „პინგვინი ძაღლია" მასებში განევრცოთ და გაეძლიერებინათ.

როგორც ხედავთ, სამეფოს ელიტარული ფლანგი დიდი გულმო-

დგინებითა და გატაცებით იმეორებდა, პინგვინი ძაღლიაო, მაგრამ რა გასაკვირია, რომ ყოველივე ეს ადგილობრივ მოსახლეობაში ზიზღის მეტს არაფერს გამოიწვევდა. ცხადია, გვირგვინას წყალწაღებულ სამეფოს მკვიდრთაგან ყველანი მეფის ნასუფრალსდახარბებული ელიტასავით არ ფიქრობდნენ და თვალნათლივ ხედავდნენ, რომ მეფე გაგიჟდა (თუმცა ის არც მანამდე ყოფილა სრულ ჭკუაზე). რაღა გასაკვირია, სამეფოში ამ ამბავმა დიდი წინააღმდეგობა წარმოშვა. კერძოდ, მეფისადმი ისედაც აგრესიულად განწყობილი საზოგადოება მთლად გაცოფდა და თავის დასავლელ პარტნიორებს უკვე კატეგორიული ტონით მიმართავდა, გვიშველეეეეეეეთ, ადგილობრივი ელიტის ხელშეწყობით მეფე გაგვიგიჟდა და იქნებ ამ უკანასკნელის ან გაკოჭვაში დაგვეხმაროთ, ან კიდევ რამე წამალი გამოგვიგზავნოთ, რომ ვუმკურნალოთო.

დასავლეთიდანაც მოკავშირეთა პასუხმა არ დააყოვნა და საკითხის უფრო დაკონკრეტება მოითხოვეს. მაგალითად, ძვირფასო მეგობრებო, ძალიან კარგად გვესმის თქვენი უმძიმესი მდგომარეობა, რომ განუვითარებელ სამეფო-სახელმწიფოში გიწევთ ცხოვრება, მაგრამ, იქნებ უფრო დეტალურად აგვიხსნათ, რატომ თვლით, რომ მეფე გაგიგიჟდათ, რა, ქვებს ისვრის, თავისთვის ლაპარაკობს თუ უადგილოდ იცინისო?

აქედან უფრო დაკონკრეტებულმა და დეტალურად ახსნილმა წერილმაც არ დააყოვნა.

„ძვირფასო მეგობრებო, მოგმართავთ თქვენგან აღმოსავლეთით მდებარე ძაღლთა სამეფოდან.

საქმე იმაშია, რომ ადგილობრივი ელიტის ხელშეწყობით ჩვენმა მეფემ, გვირგვინა მბრძანებელმა რამდენიმე დღეა, რაც აიხირა, პინგვინი ძაღლის განსაკუთრებული ჯიშია და ამიტომ, გინდათ თუ არა, ერთი-ორი კარგი პინგვინი ჩამომიყვანეთო. ჩვენ კი, პროგრესულად მოაზროვნე საზოგადოებას, მიგვაჩნია, რომ პინგვინი ძაღლი არ არის და მისი სამხრეთულ მზეში ყოლა ისეთივე სისულელეა, როგორც ყინულოვანი აისბერგის საჰარის უდაბნოში გადატანა. აქედან გამომდინარე, ვფიქრობთ, ჩვენი მეფე გაგიჟდა, რასაც ძალიან დიდი მწუხარებით გწერთ. ჰოდა, ვინაიდან და რადგანაც, ადგილზე არ გვყავს მაღალკვალიფიციური კადრები, ხოლო ვინც გვყავს, ყველანი ჩვენი ჭკუამხიარული მეფის უძირო ქისაში ჩამძვრალან და ბუნებრივია, არაფრის დიდებით არ აღიარებენ საკუთარი ბელადის ჭკუიდან გადასვლას

(მეტიც, გიჟი და ადვილად მოწველადი მეფის ყოლა მათ ინტერესებში შედის), აქედან გამომდინარე, გვირგვინას სამეფოს მკვიდრნი მოვითხოვთ, სანამ სიტუაცია ჯერ კიდევ კონტროლს ექვემდებარება და ავადმყოფის განკურნების თუნდაც მიზერული შანსები რჩება, ჩვენმა ძვირფასმა დასავლელმა მოკავშირეებმა დაუყოვნებლივ, ყოველ მიზეზგარეშე გამოყოთ მაღალკვალიფიციურ თეთრხალათიანთა რაზმები, რომლებიც ჩამოვლენ ჩვენს მზიურ მხარეში და ჭკუამხიარული მეფის ჯერ გაკოჭვაში, შემდეგ საგიჟეთში გადაყვანაში და მკურნალობაში დაგვეხმარებიან.

კიდევ უფრო კონკრეტულად მოგახსენოთ?

ახლავე:

როგორც  უკვე გაცნობეთ, რამდენიმე დღის წინ მეფე გვირგვინამ აიხირა, გინდათ თუ არა, ერთი-ორი კარგი პინგვინი ჩამომიყვანეთო. მოგეხსენებათ, ჩვენ ძაღლების ქვეყანა გვაქვს და, აბა,  წარმოიდგინეთ, რომ მოხდეს სასწაული და ჩვენ გვერდით დამკვიდრებული პინგვინები სამხრეთულ კლიმატს კარგად შეეგუონ. მათ გამრავლების ტემპებს თუ გავითვალისწინებთ,  რა შეიძლება მოჰყვეს ჩვენი ჭკუამხიარული მეფის მიერ გადადგმულ ამ ნაბიჯს?

რა შეიძლება მოჰყვეს და სრული დემოგრაფიული კატასტროფა, ანუ ათწლეულების შემდეგ, არ არის გამორიცხული, ამ სამეფოში ძაღლების ადგილი პინგვინებმა დაიკავონ. თან ისიც გაითვალისწინეთ, რომ გვირგვინას სამეფოში არსებული უმძიმესი სოციალური მდგომარეობის გამო, ჩვენი თანამოძმეების უდიდესი ნაწილი ისედაც ტოვებს აქაურობას.

არც ის დაგავიწყდეთ, რომ გვირგვინამ ჩვენს სამეფოში ჩრდილოეთიდან წუწკი დათვების  შემოდენა დაიწყო, რომლებიც ჭამენ და ანადგურებენ ყველაფერს, რისი ჭამაც შეიძლება. ახლა ამას დაუმატეთ პინგვინების ჩამოსახლების გეგმაც და ალბთ მიხვდებით, რამხელა კატასტროფის წინაშე ვდგავართ ადგილობრივი, ძირძველი მოსახლეობა. ყველაფერს რომ თავი გავანებოთ, ისედაც გამათხოვრებულ ქვეყანას სად გააჩნია ამდენი დოვლათი, რომ ჩამოსახლებული დათვები და პინგვინები გამოკვებოს? ცხადია, არ გააჩნია და გამოდის, რომ შიმშილისთვის და კიდევ უფრო დიდი კატასტროფისთვის ვართ განწირულნი. თავად პინგვინას და მისი ნასუფრალით გამოკვებილ ელიტას რა უჭირს, ისინი, მშვენივრად გრძნობენ თავს. ჩვენ ვიკითხოთ, ჩვენ, დამშეულებსა და ფერმიხდილებს, უკვე ყეფის, ანუ პროტესტის

გამოხატვის თავიც რომ აღარ შეგვრჩენია.“

მოკლედ, ცივილიზებულ სამყაროში წერილი გაიგზავნა, დასავლეთიც, როგორც მოსალოდნელი იყო აღშფოთდა, შეშფოთდა და გვირგვინას სამეფოს მკვიდრთ დაჰპირდა, წარმომადგენელს გამოვაგზავნით, ადგილზე შევისწავლით სიტუაციას და შეძლებისდაგვარად დაგეხმარებითო.

სულ მალე, მართლა ჩამოვიდა დასავლეთიდან ცივილიზებული სამყაროს წარმომადგენელი. ჩამოვიდა და ხან ღობეს ეცა, ხან ყორეს, შეამოწმა ყველაფერი, ჯერ პროტესტანტებს შეხვდა, შემდეგ მეფე გვირგვინა მოინახულა, რომელსაც, როგორც უგამოცდილესმა დამკვირვებელმა, პულსი გაუსინჯა, თვალებში ჩახედა, მუხლებზე მონაცვლეობით, ერთი-ორჯერ ჩაქუჩიც მიარტყა და უკმაყოფილომ  თავი აქეთ-იქით გადააქნია. მერე გვირგვინას ახლობლებს ჰკითხა, რას აჭმევთ და რას ასმევთო? იმათმაც უპასუხეს, მენიუს ჩამოთვლას აზრი არა აქვსო. ვითომ, რათაო? გაოცებულა სტუმარი. იმიტომ, რომ რაც კარგი საკვები და სასმელია დედამიწაზე ყველაფერს ვაჭმევთ და ვასმევთო, უთქვამთ დამხვდურებს. უყურე შენო?! თავისთვის ჩაულაპარაკია ჩამოსულ სტუმარს.

კიდევ რას იტყვითო? უკითხავთ მასპინძლებს. სტუმარმაც, ასე ნაუცბათევად, ჯერ რა პასუხი გაგცეთ, დაელოდეთ საბოლოო დასკვნის გამოცხადებასო. მანამდე ჩვენ რა ვქნათო? შეწუხებულან მასპინძლები. მანამდე? მანამდე საღამოობით სტაფილოს წვენი ასვით და ათ საათზე უკვე ლოგინში იყოს ხოლმე დასაძინებლადო, უთქვამს დასავლელ მოკავშირეს და მეფის სასახლიდან გაუქუსლავს.

სამდღიანი ვიზიტის შემდეგ ცივილიზებულ სამყაროდან ჩამოსული სტუმარი წავიდა, ოღონდ წასვლის წინ პროტესტანტებს კვლავ შეხვდა და მათაც, თითქმის იგივე დაუბარა, რაც მეფის გარემოცვას: პასუხს ახლავე ვერ გეტყვით, მაგრამ ჩავალ თუ არა დასავლეთში, მაშინვე ჩავუჯდები ამ საქმეს, შესაბამის სამსახურებთან ერთად დასკვნას გავასალაშინებ და რაღა თქმა უნდა, ყველაფერს გაცნობებთო.

აცნობა კიდეც სამშობლოში ჩასულმა და საკუთარი კაბინეტის სავარძელში ჩამჯდარმა დასავლელმა. ესაო, ისაო და ბევრს რომ არ მივედ-მოვედო, პირდაპირ გეტყვით, თქვენი გაფუჭებული საქმე თავადვე უნდა გამოასწოროთო. ჩვენი მაქსიმუმი, რაც შეგვიძლია, ის არის, რომ თქვენი კუჭის ამოსავსებად გიგზავნოთ მაღალხარისხიანი საკვები პროდუქტები (ოღონდ ამ პროდუქტების სამართლიანად გა-

დანაწილება ჩვენს უფლებებს სცილდება, რადგან ის თქვენმა ადგილობრივმა ხელისუფალმა უნდა განახორციელოს), განვავითაროთ თქვენთან ძლიერი ეკონომიკური კავშირები, ხოლო თქვენივე გონების სავარჯიშოდ მოგივლინოთ მაღალკვალიფიციური კინოლოგები, რომლებიც თქვენს სამეფოში დააფუძნებენ არასამთავრობო ცენტრებს (ორგანიზაციებს), რომელთა წყალობითაც სრულიად უანგაროდ შეგასწავლიან დემოკრატიისკენ (ძაღლთა თანასწორობისკენ) როგორ უნდა წახვიდეთ, ამავე დროს, სათანადოდ გაგწვრთნიან და გავარჯიშებენ. ისე, რომ იცოდეთ, ყოველივე ეს, ანუ საზოგადოების გონებრივად გაჯანსაღება და მისთვის მოქალაქეობრივი განათლების მიცემა, ყველა წარმატებულ ქვეყანაში უდიდესი თანხები ჯდება, მაგრამ ვითვალისწინებთ რა, იმას, რომ თქვენ დასავლურ მასშტაბებთან შედარებით, ჯერ კიდევ ჩამორჩენილ, მეტიც, ველურ გარემოში (სამეფოში) გიწევთ ცხოვრობა, ზემოხსენებულ საგანმანათლებლო კურსებს სრულიად უანგაროდ, უფასოდ გიტარებთ, რადგან ჩვენთვის ის უფრო მნიშვნელოვანია, თქვენისთანა ჩამორჩენილი სამეფოები ველური ბუნაგებიდან გამოვიყვანოთ, ვიდრე საკუთარი ანგარიშები დამატებითი ევრო-დოლარებით შევივსოთო.

მეგობრებო, აი, ეს არის ჭეშმარიტად დასავლური თანადგომ-მეგობრობა, და არა ის მათრახის კანონი, რასაც ჩრდილოეთიდან გთავაზობენ. ამიტომაც, გვჯერა, თქვენ სამართლიან არჩევანს გააკეთებთ და მყარად იდგებით იქ, სადაც დემოკრატია, თანასწორობა და განვითარებაა.

ბევრი რომ აღარ გავაგრძელოთ, გეხმარებით ეკონომიკური კავშირების განმტკიცებაში, განათლების მიღებაში, მაგრამ თქვენი გასაკოჭი, თავად თქვენვე უნდა გაკოჭვით და თქვენს გიჟს, თქვენვე უნდა უმკურნალოთო, ასეთი იყო დასავლელი პარტნიორების საქმიანი პასუხი, მაგრამ, სამწუხაროდ, ჭკუიდან გადასული მეფის გამკოჭავი და მკურნალი გვირგვინას გაძაღლებულ ქვეყანაში არავინ ჩანდა.

# 6 თავი

არ გეგონოთ, გვირგვინას სამეფოში მცხოვრებნი გულზე ხელდაკრეფილნი ისხდნენ, მხოლოდ დასავლელ პარტნიორებთან წუწუნებდნენ და თავად არაფერს აკეთებდნენ. ასე ნამდვილად არ იყო. ჰქონდათ მათ, უფრო ზუსტად პროტესტანტთა ლიდერებს საკუთარი უკმაყოფილების გამოხატვის სხვადასხვა ფორმები და მეთოდები. თუმცა, სიმართლე რომ ითქვას, ნებისმიერი მათი შეკრება-გამოხტომა უბრალო გასეირნებას უფრო წააგავდა, ვიდრე რამე სერიოზულ ღონისძიებას. უნდოდათ ომახიანი დაქუხება, მაგრამ ერთი ჩვეულებრივი გასეირნება გამოსდიოდათ, დაახლოებით ისეთი, ძილის წინ პატრონი, თავის ოთხფეხა მეგობარს, ეზოში სასეირნოდ რომ გააგდებს ხოლმე. ისიც დახტის, დარბის, ენერგიას ხარჯავს, ხან რას დასუნავს, ხან რას ჩაავლებს პირს, ხან რას გამოეკიდება, ხან რას დაუღრენს, ხან რას დაუყეფს, ბოლოს დაღლილ-დაქანცული და ენაგადმოგდებული დასასვენებლად მიდის, იმ ნათელი იმედით, რომ ხვალაც იგივე ადგილს დაუბრუნდება. გვირგვინას სამეფოში მცხოვრებ პროტესტანტ ძაღლებსაც (უფრო მათ ლიდერებს, თორემ დაჩაგრული მასა გაცილებით გონიერი იყო და მას პოლიტიზირებული ფერებით გადაღებილი, ასეთი უნაყოფო გასეირნებებისა ნამდვილად არ სჯეროდა) ძალიან უყვარდათ სუფთა ჰაერზე აქეთ-იქით კუნტრუში, ბუჩქებში მოშარდვა და მერე სახლებისკენ ჰერი-ჰერი, იმათაც იმ იმედით, რომ მალე კიდევ შეიკრიბებოდნენ და ირგვლივ ენითაუწერელ ბუღს დააყენებდნენ, მაგრამ, ვაი, რომ ბუღის დაყენების სურვილი სურვილად რჩებოდა, დრო კი საოცარი სისწრაფით გარბოდა და ქვეყანაში სასიკეთოდ არაფერი იცვლებოდა. ისე, რას იზამ, მარტო შეკრება-გასეირნებებიც საქმეა, აბა, სულ მთლად ხომ არ დაბეჩავდებოდნენ და გვირგვინას გასახარად სახლებში ხომ არ შეიკეტებოდნენ?

მოკლედ, იყო პროტესტი, თუმცა უშედეგო, ფაქტობრივად არაფრისმთქმელი. გვირგვინას სამეფოში მცხოვრები და დაბეჩავებული მასა კი უფრო უკეთეს ყოფას იმსახურებდა.

ერთხელაც, წელიწადის იმ დროს, მრისხანებადაკარგული სიცივე, უკან დახევას რომ იწყებს ხოლმე და მიწიდან გაზაფხულის პირველი ყვავილი ამოდის, მეფე გვირგვინასთან შეშინებული სახით სალამურა შევარდა, მეფის წინ, როგორც მას ახასიათებდა ხოლმე ორ თათზე დადგა და ენაგადმოგდებულმა წკმუტუნი მორთო.

- რა გჭირს, სალამურ, რამე ცუდი ამბავია? - თავზე ხელი გადაუსვა მეფემ.

- პატივცემულო მეფეო, დიახაც, ცუდად არის საქმე, ცუდად. - წინა თათები სახეზე აიფარა სალამურამ.

- რა ხდება, ისევ კბილი ხომ არ გტკივა? - დაუყვავა მეფემ.

- კბილი ხომ უკვე ამოვიღე? - სახიდან თათები ჩამოუშვა სალამურამ.

- ყოჩაღ, გმირი ხარ, ნამდვილი გმირი, და არა ისეთი ხელოვნურად შექმნილი გმირი, ჩვენი მტრები რომ ქმნიან ხოლმე.

- თუ გნებავთ, კიდევ ამოვიღებ კბილს. - შექება ძალიან ეამა და თათების ლოკვა დაუწყო გვირგვინას სალამურამ.

- კაი, ახლა, თუ კბილი არ გტკივა, ნუ ამოიღებ. ჯობია დამშვიდდე და მითხრა, რა მოხდა?

- აღარც ენა მტკივა, მეფეო! - თვალები გაუბრწყინდა სალამურას.

- ბოლოს და ბოლოს, აღარ იტყვი, რა მოხდა? - განრისხდა მეფე.

- ის მოხდა, რომ პროტესტანტები შეიკრიბნენ და... - ენა დაება სალამურას.

- შეკრებით აქამდეც ბევრჯერ შეკრებილან და თათები არ მოგჭამონ, შენ რისი გეშინია?!

- საქმე იმაშია, რომ შეიკრიბნენ და ბრეიქ დანსს ცეკვავენ, მეფეო. - თავი დახარა სალამურამ.

- ნამდვილად?

- ჩემი თვალით ვნახე, მეფეო.

- აჰაااااااა, ესე იგი, ბრეიქ დანსს ცეკვავენ? მაშ, კალინკას არ ცეკვავენ და ბრეიქ დანსის ცეკვით იმტვრევენ სხეულს? - სახეზე სიბრაზემ გადაუარა გვირგვინას.

- დიახ!

- კიდევ რას აკეთებენ? - იკითხა მეფემ.

- კიდევ დგანან და კოკა - კოლას სვამენ.

- ბრეიქ დანსი და კოკა - კოლა, მერედა, სად? ჩემს სამეფოში? საშინელებაა. - კბილებიდან გამოსცრა გვირგვინამ.

- ჰო, კიდევ ფერადი ლენტები უჭირავთ და სიყვარულის უფლებასაც ითხოვენ.

- ჰმ, სიყვარულს მივცემ მე მაგათ.

- მაგათმა ჭეშმარიტი სიყვარულისა რა იციან, მეფეო. - თვალები მინაბა სალამურამ.

- კიდევ რას ითხოვენ?

- ხორცს!

- კიდევ?

- სიცოცხლის უფლებას.

- კიდევ?

- ჩრდილოეთის საზღვრის ჩაკეტვას ან იქაურებთან სავიზო რეჟიმის დაწესებას.

- ვითომ, რათაო?

- ჩრდილოეთიდან წუწკი დათვები შემორბიან, რომლებიც ჩვენს საკვებს იტაცებენო.

- რაც ჩამოთვალე, იმის გარდა, კიდევ რას ითხოვენ?

- სამართალს! - დიდო მეფეო.

- მაგ გათახსირებულებს, მეტი რა სამართალი უნდათ, ჩემი ნასუფრალიდან დარჩენილი ძვლებით ვკვებავ და ახლა სახლში მაგათ ვერ შემოვისახლებ და ჩემი სუფრის თავში ვერ დავსვამ.

- სამაგიეროდ, მე მაჭმევთ ხოლმე ხორცის კანფეტებს, მეფეო, და დიდად მადლობელი ვარ. - დააფასა მეფის ამაგი სალამურამ.

- ხომ იცი, სალამურა, ჩემი გარემოცვის, ანუ შინაურების, ანუ ხელისუფლებაში მყოფების გარდა, არავინ არ უნდა იცოდეს, რომ ხორცის კანფეტებს გაჭმევ, თორემ სხვებსაც მოუნდებათ და საიდან დავუხატო მერე მე იმათ ამდენი ხორცის კანფეტი, ბოლოს და ბოლოს, მეფე ვარ, ქარხნის დერექტორი კი არა.

- მე არავის არ ვეუბნები, მაგრამ, ვიღაცებს, მაინც რაღაც ეჭვები აქვთ. - გამოტყდა სალამურა.

- რატომ? საიდან? - თვალები ჭყიტა მეფემ.

- ამასწინათ, მასებთან შეხვედრაზე ვიყავით ერთ-ერთ სკვერში, ღია ცის ქვეშ. ჰოდა, უცებ, ვირთხებმა გადაირბინეს, ისინი ძალიან ბევრნი იყვნენ და ყველა იქ მყოფი იმათ გაეკიდა, არიქა, დავიჭიროთ, შევჭამოთ, გემრიელი იქნებაო. მხოლოდ ჩვენ, ხელისუფალნი რომ არ გავნძრეულვართ ადგილიდან, ერთმა მოგვაძახა, თქვენ რა გიჭირთ, გენაცვალეთ, მეფე გვირგვინა ხორცის კანფეტებთან ერთად, შემწვარ-მოხრაკულსაც არ გაკლებთ, ჩვენ კი, ხომ ხედავთ, ამხელა ძაღლებს

ვირთხებზე მიგვიდგა საქმეო.

- მერე?

- შეხვედრა ჩაიშალა, მეფეო.

- რატომ?

- აღარ მობრუნდნენ, სახლებში წავიდნენ.

- ვირთხები დაიჭირეს?

- კი, დაუჭერიათ, სულ მსუქან-მსუქანი ვირთხები ყოფილანო, მერე გავიგე. მოკლედ, მაგრად უქეიფიათ, მოულხენიათ, გამძღარან.

- სალამურა, გინდა გითხრა, შენი თანამოძმენი, რატომ აღარ მობრუნდნენ?

- მითხარით, მეფეო.

- გაძღნენ და იმიტომ. გამაძღარს კი არაფერი აღარ აინტერესებს.

- ესე იგი, რა გამოდის? - დაინტერესდა სალამურა.

- გამოდის, რომ გამაძღარი ქვეყანა ჩვენ არ გვჭირდება, თორემ ვერავის ვეღარ ვიყიდი და არავინ ყურს აღარ დამიგდებს.

- რატომ ვერ იყიდით, თქვენ ხომ ყველას და ყველაფრის ყიდვა შეგიძლიათ?

- გამაძღრის ყიდვა ძალიან ძვირი დამიჯდება, ღარიბის ყიდვა კი ძალიან იოლია, სულ რაღაც რამდენიმე მათლაფა სალაფავით ან სულაც, ერთი ჩასუქებული ვირთხითაც შეიძლება, ჩემო სალამურა. - გაეცინა მეფეს.

- აი, მე არ მშია, მაძღარი ვარ, მაგრამ ყოველთვის ყურს გიგდებთ, მეფეო. - ისევ ხელების ლოკვა დაუწყო სალამურამ გვირგვინას.

- შენ ხელისუფალი ხარ, ჩემო სალამურა და ვალდებულება გაქვს ყური დამიგდო, თორემ სხვანაირად, ჩემთან ვერ იქნებოდი.

ფეხზე მდგარმა გვირგვინამ, მერე, თითქოს, რაღაც გაიხსენაო, აივნის კარი გააღო და დაბლა სასახლის მცველს გადასძახა, - ეი, შენ, ერთი ქოჩორას დამიძახე.

რამდენიმე წუთში ქოჩორამ, ლამის სულ კისრისტეხვით აირბინა სამეფო სასახლის კიბეები, ოთახის კარი შეაღო, სახეზე ჩამოშლილი თმები შეისწორა, შესვლის ნებართვა ითხოვა და თანხმობის შემდეგ დივანზე ჩამომჯდარ მეფეს გვერდით მიუჯდა, უფრო მიუსკუპდა.

# 7 თავი

„მაშ, ქვეყანაში, მართალია შიგადაშიგ ჩემ მიერ მართული, მაგრამ, მაინც პროტესტის არასასიამოვნო ტალღა ბობოქრობს, არა? მაშ, მოსახლეობის უდიდესი ნაწილი მეფისა და მისი დამქაშების მმართველობით უკმაყოფილონი ყოფილან, არა? მაშ, დამშეულებმა  გაძღომა მოინდომეს, არა? მაშ, ღარიბებსაც გამდიდრება სდომებიათ, არა? მაშ, ვიღაცებს დასავლეთიდან ათასნაირი იდეოლოგიური თუ მატერიალური სიბინძურე შემოაქვთ და პროგრესი სურთ, არა? მაშ, ზოგიერთებს თავისუფლება და დემოკრატია მოუნდათ, არა? მაშ, ვიღაც მდაბიოებმა თანასწორობა მომინდომეს, არა? მაშ, დასავლეთში გარბიან და ჭორებს მიყრიან, ქვეყანას ვერ მართავსო, არა? მაშ, მთელი მსოფლიოს მასშტაბით თავს მჭრიან და მარცხვენენ, არა? მაშ, ღარიბებს სამეფოს გადატრიალება და მეფის გასამართლება დაუგეგმავთ, არა?

ოი, დედასა, მე გვირგვინა არ ვიყო, თუ მაგათ ცხვირ-პირიდან სულ სისხლი არ ვადინო. რამდენს ბედავენ და ვის უბედავენ ეგ ერთ დღეს გასაწყვეტები, ეგენი. მე, ამხელა სიმდიდრის, ავტორიტეტისა და საახლობლო წრის მქონე კაცი, ვიღაც ძაღლებმა უნდა გადამაგდონ და გამასამართლონ? მერედა, რისთვის, რატომ ჩვენც ისევე კარგად არ გვაცხოვრებ, როგორც თავად შენ და შენი გარემოცვა ცხოვრობთო. მომინდომეს ვიღაც უჯიშო ძაღლებმა საამური ცხოვრება, მაგრამ ვერ მივართმევ, რადგან მე ჩემი ჯიშიანი ძაღლები მყავს და მხოლოდ იმათზე ვზრუნავ. ისე, ბრძენ კაცს უთქვამს, ღორის ტილი ფეხზე რომ დაისვა, თავზე აგაღოღდებაო, მე კი, არავისზე ნაკლები ბრძენი კაცი ვამბობ, ღორის ტილი კი არა, წუწკი ძაღლი, ფეხზე რომ დაისვა, ზედ მოგაშარდავს.

დღეიდანვე ვიწყებ გადამწყვეტ სამოქმედო გეგმაზე გადასვლას - ან ისინი, ან მე. აქამდე კიდევ ბევრი ვითმინე. მორჩა და გათავდა, ამიერიდან ვსჯობ, ვანადგურებ განსხვავებულ აზრს, ყველას და ყველაფერს, ვინც წინ დამიდგება, რადგან მე თუ არ გავანადგურე, თავად ისინი გამანადგურებენ მე. ეს არის ბრძოლა გადარჩენისთვის, გადამწყვეტი ბრძოლა. ოღონდ მნიშვნელოვანია, რომ მხარდამჭერების მოსაზიდად და წამებულის მანტიის მოსასხამად, ამ ბრძოლას არა გადარჩენისთვის, არამედ სამშობლოსთვის ბრძოლა დაერქვას. მასებზე სიტყვა სამშობლო ნარკოტიკივით მოქმედებს და მეც ხშირად, სულ ლოზუნგ-ლოზუნგ უნდა ვიმეორო ეს სიტყვა, რათა მხარდამჭერებს დიდ პატრიოტად წარმოვუჩინო საკუთარი თავი. მჯერა, წარმატება მოვა, თანაც

ძალიან მალე, უბრალოდ, ცოტა მოთმინება და მეტი აგრესია, უფრო ზუსტად, მეტი დაუნდობლობაა საჭირო განსხვავებული აზრის მქონეთა მიმართ. ჰო, დასავლელი ნაგლო-სექსების შთამომავლები რას იტყვიან და როგორ შეფასებას მისცემენ ჩემს სამშობლოში დამყარებულ დიქტატურას? ცხადია, ყოველივეს უარყოფითად შეაფასებენ, დემოკრატიას დაგვიწუნებენ და თითს დაგვიქნევენ, ამას რად უნდა ლაპარაკი, მაგრამ მე რაში მაინტერესებს ვიღაც დასავლელთა მოსაზრებები ან რჩევები ჩემს მამულში მიმდინარე მოვლენების შესახებ? მე ხომ არ ვერევი იმათი ქვეყნების საქმეებში? არ ვერევი. ჰოდა, ნურც ისინი ჩაერევიან ჩვენს შიდა საქმიანობებში. იმათზე ნაკლები არც ქონება მაქვს და არც ავტორიტეტი. თუ არ ვუნდივართ და ჩვენში რამე არ მოსწონთ, სულაც დაგვანებონ თავი და ჩვენს გზას თავად ვიპოვით. მით უმეტეს, რომ ჩრდილოეთიდან გვეხვეწებიან, ოღონდ დაგვიბრუნდით და ცივ ნიავს არ მოგაკარებთო. ვიცი, დარწმუნებული ვარ, არ მოგვაკარებენ და თავისი სიტყვის ერთგულები დარჩებიან. აბა, როდის ყოფილა, ჩვენს ჩრდილოელ მეზობელს ჩვენთვის სიტყვა გაეტეხოს ან რამე შეურაცხყოფა მოეყენებინოს. ან საერთოდ, როდის ყოფილა, რომ ჩრდილოეთიდან სამხრეთში შემოვარდნილ დათვს აქაურებისთვის რამე დაეშავებინოს ან აქ რამე გაეფუჭებინოს?! არასოდეს, არასოდეს, მე პირადად, ვერ ვიხსენებ ასეთ პერიოდს.“

ფიქრობდა გვირგვინა და სიბრაზისგან სახეზე ალმური ასდიოდა. როდის ყოფილა, რომ ჩრდილოეთიდან სამხრეთში შემოვარდნილ დათვს აქაურებისთვის რამე დაეშავებინოს ან აქ რამე გაეფუჭებინოსო, განსაკუთრებით ამ ფრაზას იმეორებდა მეფე და სულაც არ სცხვენოდა, ხოლო ნამუსის გაწყვეტილი ძარღვი მეფეს არაფერს კარნახობდა და არაფერზე მიუთითებდა.

რას იზამ, ცხოვრებაა ასეთი, ვისაც განუსაზღვრელი ძალაუფლება გააჩნია, მასთან ნამუსზე და მორალზე საუბარი ისეთივე დროის კარგვაა, როგორც დამშეულ მგელს სამარხვო პროდუქტების აუცილებლობაზე, ლექცია რომ ჩაუტარო.

ხომ აბსურდია? ცხადია, აბსურდია და გვირგვინას სამეფოც ზუსტად ასეთი, აბსურდის სამეფო იყო.

საბოლოო ჯამში გვირგვინამ მიიღო გადაწყვეტილება უფრო აგრესიული, ქმედითი ნაბიჯები გადაედგა და საკუთარ საძაღლეთში დასავლეთიდან შემოჭრილი, ისედაც მინავლებული ფერადი სინათლე სულ მთლად ჩაემუქებინა ან საერთოდ, ჩაექრო.

მაშ, მიიღო მეფემ ასეთი გადაწყვეტილება და ახლა მხოლოდ თანამოაზრე სჭირდებოდა.

ჰოდა, სხედან ორნი, გვირგვინა და ქოჩორა.

- ნეტავ, რად უნდათ ძაღლებს დასავლური ფერები? - გულუბრყვილოდ კითხულობს გვირგვინა, ისე, რომ ქოჩორასკენ არც იხედება და სადღაც ფანჯრის იქით მიცრეცილ ცას გაჰყურებს.

- მე მეკითხებით, მეფეო? - თავი წამოსწია და სახეზე ჩამოყრილი ქოჩორი გვერდზე გადაიწია ქოჩორამ.

- ჰო, შენც გეკითხები და ჩემს თავსაც ვეკითხები.

- ძაღლს გააჩნია, დიდო მეფეო. - ეყო გამბედაობა ქოჩორას.

- ეგ ვიცი, აბა, ჩემებს და ვიღაც ქუჩის ძაღლებს ერთნაირად როდის მოვპყრობივარ?

ქოჩორას ესიამოვნა მეფის ნთქვამი და ბედნიერებისგან ენა გადმოაგდო, თუმცა დუმილი ამჯობინა და მხოლოდ კმაყოფილი ძაღლის გამომეტყველებით დაკმაყოფილდა.

მაგრამ მეფე არ ცხრებოდა, რადგან საკუთარი ძალაუფლების შენარჩუნების მიზნით მას გადაწყვეტილი ჰქონდა უფრო მკაცრი, აგრესიული ქმედითი ნაბიჯების გადადგმა და ქოჩორასაც ამისთვის უხმო.

- რა ვქნათ, როგორ მოვიქცეთ, რომ ამათი ყეფაც შევაჩეროთ და ძალაუფლებაც შევინარჩუნოთ? - ფანჯრისკენ ხელი გაიშვირა გვირგვინამ, რაც იმას ნიშნავდა, რომ ის საკუთარ სამფლობელოში მცხოვრებთა დადუმებას გულისხმობდა.

- კანონები უნდა გავამკაცროთ, მეფეო. - საქმიანი სახე მიიღო ქოჩორამ.

- მაგალითად?

- მაგალითად, ავკრძალოთ ის, რაც ჩვენს ინტერესებში არ ჯდება და რაც ქვეყნის განვითარებას ხელს უშლის.

მეფეს, ცოტა არ იყოს, გამოცოცხლება დაეტყო და თვალები გაუბრწყინდა, - ძალიან კარგი იქნება, მეც ასე ვფიქრობდი, მაგრამ თანამოაზრე მჭირდებოდა, ერთგული თანამოაზრე, - ღიმილით თქვა მან.

- დიახ, მეფეო, დროა, ბევრი რამ ავკრძალოთ, თორემ, როგორც ვატყობ, ძალიან თავისუფალ და მრავალფეროვან ქვეყანაში ვცხოვრობთ, - მეფის მსგავსად ქოჩორაც ძალიან მკაცრი იყო.

- აბა, შენ ეგა თქვი, ჩემო ქოჩორ, გაგიჟებას ვარ პირდაპირ.

- დიდო მეფეო, სამწუხარო, იცით, რა არის?

- გისმენ, რა არის სამწუხარო? - სმენად იქცა მეფე.

- სამწუხარო ის არის, რომ ჩვენში ძალიან ბევრს თავისუფლება ქაოსი, ხოლო დემოკრატია განუკითხაობა ჰგონია.

- ოჰ, ვიცი, ჩემო კარგო, ვიცი... და შენ ეს მითხარი, რა არის საჭირო, მდგომარეობის შესაცვლელად?

- კანონების გამკაცრება და თუ საჭირო გახდა, მათრახის გამოყენებაც. - სიმკაცრეს არ ღალატობდა ქოჩორა.

- ყოჩაღ, ვაფასებ შენს აზროვნებასა და პოლიტიკურ შეხედულებებს ჩემო ქოჩორ, ამიტომ, აი, შენ დამატებით ეს სასუსნავი. იმედია, მოგეწონება, - თქვა მეფემ და ჯიბიდან ამოღებული ხორცის კანფეტი ქოჩორას პირთან მიუტანა, სხვათა შორის, ნაგლო-სექსების შთამომავალთა ერთ-ერთი ქვეყნიდან, ამერიკიდან თუ ინგლისიდან გამოგზავნილი.

ქოჩორამ ჯერ მორცხვად დასუნა ხორცის კანფეტს, მერე ერთი-ორ-ჯერ ენა აუსვ-ჩამოუსვა, ხოლო, როცა დარწმუნდა, უგემრიელეს ნუგბართან ჰქონდა საქმე, წამიერი გაელვებით ხორცის კანფეტი ყბებში მოიქცია და უცებ, დაუღეჭავად გადაყლაპა.

- მოგეწონა?- ალერსიანად ჰკითხა მეფემ ქოჩორას.

- ძააალიან მომეწონა, მეფეო, - კმაყოფილი იყო ქოჩორა.

- უფრო კონკრეტულად მითხარი, როგორ მოვიქცეთ და კიდევ ერთს მოგცემ.

- უფრო მკაცრები, შეუვალები უნდა გავხდეთ და თუ სამშობლოს ინტერესები მოითხოვს, დიქტატურაც უნდა დავამყაროთ, დიდო მეფეო. - კბილები დაკრიჭა ქოჩორამ.

- ყოჩაღ, აჰა, შენ კიდევ ერთხელ ხორცის კანფეტი, როგორც დაგპირდი. - უთხრა გვირგვინამ და ქოჩორას ცხვირთან ისევ მიუტანა ნუგბარით დამშვენებული ხელი.

ქოჩორამაც, იმის შესამოწმებლად, რომ ნამდვილად იგივე სასუსნავი  იყო, ერთი დასუნვით, თვალის დახამხამებაში უცებ გადასანსლა მეფის ხელიდან გამოწვდილი გემრიელობა.

მეფეც და ქოჩორაც ორთავე კმაყოფილნი იყვნენ - მეფე იმით, რომ მასზე ბევრად ჭკვიანი ქვეშევრდომისგან აშკარად საჭირო რჩევებს იღებდა, ქოჩორა კი იმით, რომ მეფის ხელიდან ტკბილ ნუგბარს მიირ-

თმევდა და სამომავლოდ დიდ კარიერას იკეთებდა.

არადა, ერთი ადამიანი იყო, მეორე კი ძაღლი, ანუ მეფე ადამიანი იყო, ქოჩორა - ძაღლი.

რას არ გაიგებს და რას არ ნახავს ასეთ უსამართლო ქვეყანაში კაცი. შეიძლება გაგიჟდე და გააფრინო.

- ჰო, ახლა უფრო კონკრეტულად მითხარი, დიქტატურა როგორ დავამყაროთ, სამეფოს მკვიდრნი როგორ შევზღუდოთ და მნიშვნელოვანი აკრძალვები როგორ შემოვიღოთ? მითხარი და კიდევ ერთ ცალ ხორცის კანფეტს მოგცემ.

- მაშინ, ამისთვის ორიოდე წუთი მომეცით, აქვე ჩამოვწერ და წაგაკითხებთ. - ნებართვა აიღო ქოჩორამ.

- ძალიან კარგი, მოდი, ჩემს სავარძელში ჩაჯექი და დაწერე, უფრო მოხერხებულად იქნები, - თავისი ადგილი დაუთმო მეფემ ქოჩორას.

ამ უკანასკნელს კი ეუხერხულა მეფე გვირგვინას სავარძელში ჩაჯდომა და მოკრძალებული უარის თქმასაც აპირებდა, მაგრამ მიხვდა, რომ ახლა კეკლუცობის დრო არ იყო და მბრძანებლის სავარძელზე წამოსკუპდა.

წერდა ქოჩორა, გამალებით, გაცხარებით და პირიდან სულ დუჟი სდიოდა, უყურებდა მწერალ ხელქვეითს მეფე გვირგვინა და ცოტა არ იყოს, უკვე შურდა კიდეც მისი გონებამახვილობა. დიახ, შურდა, რადგან მეფე ადამიანად ითვლებოდა, ქოჩორა კი ძაღლად.

და, აი, სულ მალე, უფრო ზუსტად, გვირგვინამ იმ ოთახში გასვლაც რომ ვერ მოასწრო, სადაც მეფეები მარტო დადიან, ბრძანებაც მზად იყო.

- შენს გაზრდა-გახარებას, აბა, ერთი წამიკითხე, რაც დაწერე, ჩემო ქოჩორ!

- ახლავე, მეფეო, - თქვა ქოჩორამ და დაიწყო: - ჩვენს ქვეყანაში მშვიდობის, თანასწორობისა და კეთილდღეობის დასამყარებლად, არაჯანსაღი გარემოს აღსაკვეთად, ეროვნული ტრადიციების შესანარჩუნებლად და საზოგადოებაში სამოქალაქო პასუხისმგებლობის ასამაღლებლად აუცილებელია გატარდეს შემდეგი სახის ღონისძიებები:

აიკრძალოს ისეთი ცეკვები, რომლებიც არ შეეფერება ჩვენს ჯიშსა და ჯილაგს. ეს ცეკვებია ბრეიქ-დანსი, ლამბადა, ჩა-ჩა-ჩა, ფოქსტროტი, პოლკა, მაზურკა.

პირველ ეტაპზე შეიზღუდოს, შემდეგ კი საერთოდ აიკრძალოს ნაგლო-სექსების შთამომავალთა ქვეყანაში შექმნილ კოკა - კოლას ჩვენში რეალიზება და დალევა. ამ მნიშვნელოვანი ნაბიჯისთვის შესამზადებლად საზოგადოებას მიეწოდოს მთელი რიგი ინფორმაციები ზემოხსენებული სასმელის მავნებლობის შესახებ. მაგალითად, ამ სახით, რომ კოკა - კოლა არის სითხე, რომლითაც მშვენივრად იწმინდება უნიტაზი, ირეცხება მანქანის ძრავები და ასე შემდეგ. ბოლოს კი დასკვნა უნდა იყოს ასეთი: სითხე, რომელიც უნიტაზს წმენდს და მანქანის ძრავას რეცხავს, აბა, წარმოიდგინეთ, ცოცხალი არსების ორგანიზმს რას უზამს?

იმ მიზეზით, რომ ძაღლების წინაპრები მგლები იყვნენ, მგლები კი ისეთივე გარეული ცხოველები და ეკოსისტემისთვის ისეთივე მნიშვნელოვანი ფიგურები არიან, როგორც დათვები, აუცილებლობა მოითხოვს, რაც  შეიძლება ფართოდ გავუღოთ კარი ჩრდილოეთიდან ჩვენს ქვეყანაში მიგრირებულ დათვებს.

ჩვენს სტუმართმოყვარე ქვეყანაში ჩრდილოეთიდან შემოსული დათვების ადგილობრივ ძაღლებთან, ანუ მგლების შთამომავლებთან უკეთ ინტეგრაციის მიზნით, გაიხსნას ძაღლურ-დათვური კულტურული ცენტრები.

ვინაიდან და რადგანაც ჩვენი დიდი წინაპრები, ანუ მგლები დალტონიკები არიან, ჩვენც, როგორც ტრადიციებისა და ისტორიის დამფასებლებს ვალდებულება გაგვაჩნია, მათ გზას მივყვეთ. უფრო კონკრეტულად კი, საჭიროა ქვეყანაში ავკრძალოთ ცისარტყელას ნათელი ფერები, მაგალითად, წითელი, მწვანე და ასე შემდეგ.

ფაქტია, რომ ჩვენს ქვეყანაში დემოკრატიის აყვავებამ ოპოზიციის ლპობა და გახრწნა გამოიწვია. აქედან გამომდინარე, საჭიროება მოითხოვს, უკვე ჩამპალ-გახრწნილი ოპოზიციის გადაწვა-გადაბუგვას, რათა მათგან წამოსული ლპობა და გახრწნა მთელ ქვეყანას არ მოედოს.

მაშ ასე, ტექსტი გასალაშინდა და ქოჩორამაც კიდევ ერთხელ მიიღო ძაღლებისთვის განკუთვნილი ხორცის კანფეტი, ძალიან გემრიელი და ნოყიერი. ეს ისეთი ნუგბარი იყო, სამეფო სასახლის გარეთ მყოფ ძაღლებს, არც ცხადში და არც სიზმარში რომ არ უნახავთ და ვერც ვერასოდეს ნახავდნენ, თუ სამეფო მარაქაში არ გაერეოდნენ. ეს იყო ნუგბარი, სახელად „ოცნება.“

# 8 თავი

ასე და ამგვარად, მეფე გვირგვინას უკვე მაგიდაზე ედო ჩამოწიკწიკებული ტექსტი, რომელიც ნებისმიერ დროს შეეძლო მოქმედებაში მოეყვანა და მისთვის უკვე კანონის ძალა მიეცა. ამავე დროს, მას კარგად ესმოდა, რომ ამ კანონის ამოქმედება დასავლელი პარტნიორების (უფრო ნაგლო-სექსებისა და მათ თანამოძმეთა შთამომავალების) თვალში, როგორც ქვეყნის, ისე პირადად მის ისედაც შერცხვენილ იმიჯს სულ მთლად გაანადგურებდა და მიწასთან გაასწორებდა. არადა, დრო არ ითმენდა, უფრო აგრესიული, ქმედითი ნაბიჯების გადადგმა იყო საჭირო, რათა მართვის სადავეები ხელიდან არ გამოსცლოდა და ყველასგან გარიყული, ცივ ქვაზე მარტოდმარტო არ დარჩენილიყო. საჭირო იყო, რაღაც ტაქტიკა, მანევრი, მაგრამ, როგორ? რანაირად? ფიქრობდა მეფე, ფიქრობდა დღისით და ღამით, თუმცა მისი არხეინი ტვინი ასეთი გადაწყვეტილებების გადასამუშავებლად აშკარად მზად არ იყო... ჰო, ადამიანის ტვინი მზად არ იყო გონიერი ნაბიჯის გადასადგმელად და მას დამხმარედ ისევ ძაღლი, უფრო ზუსტად, მისი ქვეშევრდომი ქოჩორა მოევლინა.

არასასიამოვნო მოსასმენია, მაგრამ რა ვქნათ, ფაქტია, რომ იმ ქვეყანაში ძაღლი უფრო გონიერი იყო, ვიდრე მისი პატრონი - ადამიანი მეფე, გვირგვინა.

რამდენიმე დღეში ქოჩორა ისევ გვირგვინასთან იყო დაბარებული, რჩევა-დარიგების მისაცემად. ქოჩორა ძაღლია, მაგრამ, გგონიათ, ვერ ხვდება, რომ მეფე ჭკუისგან დაცლილი და არასერიოზული ვინმეა? ხვდება, ძალიანაც კარგად ხვდება და გვირგვინას ზურთ უკან ჭორაობს კიდეც, თუმცა არანაირად არ განიცდის, ის კი არა, სიამოვნებს კიდეც, როცა საახლობლო წრეში მწოლიარეს, მჯდომიარესა თუ მდგომიარეს, ამჟამად მეფის შიკრიკად გამწესებული, მეფეზე არანაკლებ ჭკუამხიარული მათიკა დაადგება ხოლმე თავზე და დასძახებს, მეფეს ეს შეემთხვა, იმან ეს მოსწერა, ამ საკითხში რაღაც გარკვევა სჭირდება და შენ გეძახის, როგორც გაჭირვების ტალკვესსაო.

ქოჩორაც თუ წევს ან ზის, ამაყად წამოიმართება ოთხზე, თავს ჩამოიბერტყავს, საახლობლო წრეს ზემოდან გადახედავს და სანამ მათ თვალთახედვას არ მიეფარება, დინჯი, დარბაისლური ნაბიჯებით მიაბიჯებს, რათა არავინ იფიქროს, რომ ვინმეს, თუნდაც მეფის დაძახილს

დიდი სიხარულით ეგებება და მონური ერთგულებით პასუხობს, თუმცა, მიეფარება თუ არა მისი საახლობლო წრის თვალთახედვას, ისეთ სიჩქარეს ავითარებს და ისეთი თავქუდმოგლეჯილი გარბის გვირგვინას სასახლისკენ, გეგონებათ, უკანალზე წიწაკა ამოუსვეს და სადმე, მდინარისკენ მიიჩქარის დამწვარი ადგილის გასაგრილებლადო.

ოჰ, ეს მონობა, რასაც ადამიანების მსგავსად ძაღლებიც ალამაზებენ და რატომღაც ერთგულებას ეძახიან.

ორი აზრი არ არსებობს, ადამიანებისგან ისწავლეს ძაღლებმა მონობა, თორემ მათი დიდი წინაპარი სულაც მგელი იყო, მგლისთვის კი მონობა ისეთივე მიუღებელი და წარმოუდგენელია, როგორც ადამიანისთვის ჭეშმარიტი სიმართლით ცხოვრება.

თუმცა, ერთიცაა გასათვალისწინებელი, ძაღლს ადამიანმა ასწავლა მონობა, ადამიანს კი სიმართლით ცხოვრება ვინ უნდა ასწავლოს, როცა არავის ემორჩილება და არავის სიტყვას ყურად არ იღებს?

ააა, ღმერთი გაგახსენდათ?

ადამიანმა ღმერთს უნდა დაუგდოს ყური და მისგან უნდა ისწავლოს სიმართლე და პატიოსნება?

თქვენ გგონიათ, შესაძლებელია, რომ ადამიანმა სამყაროს შემოქმედისგან სიმართლით ცხოვრება ისწავლოს?

მე ასე არ ვფიქრობ, რადგან დარწმუნებული ვარ, ადამიანი ამ საგანში ძალიან ცუდი მოწაფეა და უმალ მკვდრის გაცოცხლებას უფრო ისწავლის, ვიდრე სიმართლესთან ერთად ცხოვრებას.

თუმცა, უმჯობესია, ისევ ქოჩორას დავუბრუნდეთ, გაფურჩქვნის ასაკში მყოფ ქოჩორას, რომელიც სახეგაბადრული მეფის სასახლისკენ მირბოდა, რათა მოესმინა და თუ საჭირო იქნებოდა, მბრძანებლისთვის საკუთარი რჩევებიც მიეცა.

და, აი, ზის ქოჩორა მეფის წინ თავდახრილი, თითქოს მორცხვი, მაგრამ გულში სიამაყის გრძნობით აღვსილი.

- მოკლედ, ჩემო ქოჩორ, გადავწყვიტე, შენი დაწერილი ტექსტი ბრძანებად გამოვცე. თანახმა ხარ? - იწყებს საუბარს მეფე და ჯიბიდან ხორცის კანფეტს იღებს.

ცხადია, უკვე მრავალჯერ გასინჯული, უგემრიელესი ნუგბარის დანახვაზე ქოჩორას პირიდან დორბლი მოსდის და თვალებით მეფეს ეხვეწება, თუ კაცი ხარ, არ მაწვალო და ეგრევე ჩამიდე პირში ეგ გემრიელობაო.

მეფეც თითქოს გუმანით ხვდება ქოჩორას გულისწადილს და თავის გონიერ ძაღლს უხმოდ პირში უდებს უგემრიელეს სასუსნავს.

- ვიცი, რომ შენ ეს კანფეტი ძალიან გიყვარს, ხომ ასეა? - სახე უბრწყინავს მეფეს.

ქოჩორა პასუხად მხოლოდ თავს აქნევს და პირს აღებს, მეფემ იქნებ კიდევ ერთი ცალი გაიმეტოსო, მაგრამ მეფე არ ჩქარობს და ქოჩორას თავზე უსვამს ხელს.

ამ უკანასკნელს თავზე ხელის გადასმის ნაცვლად სასუსნავი ურჩევნია, თუმცა, სხვა რა გზა აქვს, ზის და გვირგვინას თვალებდაელმებული შესცქერის.

- ჰა, რას იტყვი, ჩემო ქოჩორ, შენ აქ მართლა მარტო ჭამისთვის ხომ არ ხარ მოსული? - ამბობს მეფე და ქოჩორას წინ დოინჯშემორტყმული დგება.

- არა, მეფეო, უბრალოდ, უარი ვეღარ გითხარით გემრიელ ნუგბარზე, თორემ ნაჭამი ვარ სახლიდან წამოსული. - თავი იმართლა ქოჩორამ.

- ჩვენს ქვეყანაში ღირსეული ვინც არის, არ შიმშილობს და ეს მსიამოვნებს, - ამაყად მიმოიხედა მეფემ.

- თქვენი წყალობით, მეფეო, თქვენი წყალობით. - ქებად იქცა ქოჩორა და მეფის გაპრიალებულ ფეხსაცმლებს ეცა, რათა დაეკოცნა.

- კაი ახლა, გეყო, ვიცი, რომ გიყვარვარ და პატივს მცემ, - ძალიან თავმდაბლური ეჭირა მეფეს.

- მაშ, რა ვქნა? - თავი ასწია ქოჩორამ.

- რა უნდა ქნა და შეკითხვაზე პასუხი უნდა გამცე, - გაიღიმა გვირგვინამ.

- ااااا, შეკითხვაზე? ახლავე, მეფეო. ესე იგი, იმ ტექსტის ბრძანებად გამოცემა გსურთ?

- დიახ!

- კარგი იქნება, ვფიქრობ, დაწყნარდება და დაისვენებს ქვეყანა, რადგან ყველა მავნებელს საკუთარ ადგილს მივუჩენთ.

- ეგ გასაგებია, ჩემო ქოჩორ, მაგრამ ერთი დიდი პრობლემის წინაშე ვდგავარ და მანდაც შენი რჩევა მჭირდება.

- გისმენთ, მეფეო! - ყურებდაცქვეტილი სავარძელში კარგად მოკალათდა ქოჩორა.

- იცი, რომ ჩრდილოეთის გარდა ყველა მხრიდან გვიტევენ; დასავლეთიდან, აღმოსავლეთიდან და სამხრეთიდან. ყველა მათგანი დემოკრატიისა თუ რაღაც ოხრობის დაცვას გვთხოვს. ამიტომ გაფაციცებით გვითვალთვალებენ და გამადიდებელი შუშიდან გვაკვირდებიან. ასეთ პირობებში კი როგორი საქმეა, რაც გულში გვაქვს, ყველაფრის სააშკარაოზე გამოტანა და გამომზიურება? ამით გადაგვეკიდებიან და დავრჩებით მარტონი. მერე რაღა ვქნათ, მართლა ჩრდილოელი დათვების იმედად ხომ ვერ ვიქნებით? იმათ ჯერჯერობით თავისი პრობლემები აქვთ და ჩვენთვის არ სცალიათ. არადა, ამ ქვეყნიდან, ჩრდილოელი დათვების საამებლად და დასავლელი ნაგლო-სექსების შთამომავალთა გულის გასახეთქად, რაღაცის თქმასთან ერთად, მოქმედებაც საჭიროა, მაგრამ, როგორ? როგორ? როგორ? ორ ცეცხლსშუა ვარ და არ ვიცი, რა ვქნა? - წუხდა მეფე და თან ჯიბიდან სასუსნავს იღებდა, ცხადია, თავისთვის არა, ქოჩორასთვის.

- მერე, ეგ რა პრობლემაა, მეფეო? - თქვა ქოჩორამ და წინასწარ პირი დააღო.

იმედგამოღვიძებულმა მეფემაც ქოჩორას ნაზად ჩასტენა პირში გემრიელი ნუგბარი და თავზე ხელი გადაუსვა.

- იმის თქმა გინდა, რომ ეგ საკითხი პრობლემა არ არის? - დაინტერესდა მეფე.

- არანაირად არ არის პრობლემა, მეფეო.

- აბა, ბრძანე და დიდი ყურადღებით მოგისმენ!

- სათქმელი ბევრიც არაფერია, მეფეო. უბრალოდ, ჩვენი სამეფოდან ორი, სამი ან ოთხი ვინმე თქვენი ერთგული გვჭირდება, რომლებსაც შევღებავთ-გადავღებავთ სულ სხვა ფერებით, გაბრაზებული გამოხედვის დაჭერას ვასწავლით, დაახლოებით ისეთს, მამულზე მზრუნველები რომ იჭერენ ხოლმე, მერე მოსაჩვენებლად, ვითომ გავაგდებთ ჩვენგან (სინამდვილეში ჩვენს გულებში იქნებიან), ჩავსვამთ ჩვენგან ფარულად მართულ მასაში და ვალაპარაკებთ იმას, რასაც ჩვენ აქ, სამეფო კარის სახელით ვერ ვლაპარაკობთ. მოკლედ, ისინი დემონსტრაციულად ჩვენგან ვითომ წავლენ, სინამდვილეში კი ჩვენგან მართულ-ხელდასმულები იქნებიან.

- ანუ, გამოდის, რომ, რასაც ჩვენ სამეფო სასახლის სახელით ვერ ვლაპარაკობთ, ისინი ილაპარაკებენ? - საქმის არსს მშვენივრად ჩასწვდა სახეგაბადრული მეფე.

- დიახ, მეფეო, მათ შეეძლებათ ყველაფერი თქვან და ყველანაირ სიბინძურეში ამხილონ, როგორც ნაგლო-სექსების შთამომავლები, ისე მათი თანამოძმენი. მათ ხომ ბევრი რამე ეცოდინებათ, რისი თქმაც აქედან არ შეიძლება, იქიდან პირის მოღება და დასავლელი თხების მხილება კი ჩრდილოელ დათვებთან საქმეში ჩაგვეთვლება.

- მერე, როგორ ფიქრობ, როდის შეიძლება მაგ საქმის დაწყება? - დაინტერესდა გვირგვინა.

- დაახლოებით ზაფხულის დასაწყისისთვის.

- რატომ მაინც და მაინც ზაფხულის დასაწყისისთვის და არა შემოდგომისთვის, ან ზამთრისთვის?

- იმიტომ, რომ ზაფხული პოლიტიკურად მკვდარი სეზონია, როგორც სიცხისგან, ისე შრომისგან გადახურებულ ძაღლებს ყეფა ეზარებათ და უმეტესობა დასასვენებლად კურორტებზე იმყოფება, ან ზოგი სახლების, ზოგი კი ხეების ჩრდილებშია გაწოლილი და განცხრომას მისცემია. ჰოდა, ასეთ დროს, წინააღმდეგობაც ნაკლები გვექნება და ყეფას ვერ დაგვიწყებენ, ხელს ვერ შეგვიშლიან, ამას რატომ აკეთებთო.

- იმ ზაფხულს რომ შემოდგომა და ზამთარი მოჰყვება, მერე რას ვშვრებით?

- შემოდგომით უკვე საზოგადოება შეგუებული იქნება ყველაფერს და წინააღმდეგობასაც იოლად დავძლევთ. თანაც, მანამდე, მოვიფიქრებთ და რამე ისეთ დიდ სატკივარს გავუჩენთ საზოგადოებას, რომ ჩვენი სამეულის თუ ოთხეულის ანტიდასავლური ყეფა აღარავის ემახსოვრება.

- ვაااااახ! - კმაყოფილმა მბრძანებელმა კიდევ ერთი ხორცის კანფეტი ჩასტენა ქოჩორას პირში.

ქოჩორამ წამებში გადასანსლა გემრიელი ნუგბარი და სიამოვნებისგან თვალები ჭერს მიაპყრო.

- მერე? მერეეეეეეეეეეე? - ვერ ისვენებდა მეფე.

- ნათქვამია, ჭირს მოგცემ და ჭირს დაგავიწყებო. აი, სწორედ ასე უნდა მოვიქცეთ ჩვენც.

- ეგ რაღას ნიშნავს? ჭირს აქ რა უნდა?! რა, ჩემს სასახლეში ჭირი ხომ არ არის მოდებული და რაღაცას მიმალავენ? - კოპები შეჭკრა გვირგვინამ.

- არა, მეფეო, თქვენ ვერ მიმიხვდით, აქ სულ სხვა რამეზეა ლაპარაკი. ისეთი ახალი ჭირი უნდა გავუჩინოთ ჩვენით უკმაყოფილო საზოგადოებას, რომ ძველი ჭირი დაივიწყონ. ჭირი იმათ უნდა ჰქონდეთ, ჩვენ კი ლხინი და დროსტარება არ უნდა მოვიკლოთ.

- გენიოსი ხარ, ჩემო ქოჩორ, ნამდვილი გენიოსი, თუმცა, არ გეწყინოს და ჭკუა-გონებით, ადამიანთან მაინც ვერ მოხვალ. არ მეთანხმები?

- როგორ არ გეთანხმებით ყველა ცოცხალ არსებაში გამორჩეულო, დიდო მეფეო. სად თქვენი გამჭრიახი გონება და სად ჩემი, ანუ ვიღაც უბრალო ძაღლის გონება. თქვენი გონებრივი შესაძლებლობები უსაზღვროა, ჩემი კი მხოლოდ ინსტინქტებზე, უფრო ზუსტად, მხოლოდ საკვების მოპოვებაზეა ორიენტირებული. რა გაეწყობა, მე ხომ ცხოველი ვარ, თქვენ ადამიანი, მე ინსტინქტებით ვმოქმედებ, თქვენ აზროვნებით.

- არა, მაინც რა უცებ მოვიფიქრე და მოვნახე გამოსავალი, თანაც ისე, რომ არავის დახმარება არ დამჭირვებია. გულზე ხელი დაიდე და მითხარი, გეგონა, რომ ასე იოლად მოვნახავდი გამოსავალს? - აღტაცებული იყო მეფე.

- როგორ არ მეგონა, მეფეო, მე ხომ თქვენი უბადლო ნიჭიერების ყოველთვის მჯეროდა. ტყუილად კი არ აღიარებენ, რომ თქვენ უბრალო ადამიანი კი არა, ზეკაცი ხართ, ნამდვილი ზეკაცი, - ამბობდა ქოჩორა, მაგრამ ჭკუიდან გადასული ბელადის გაუმართლებელ ბაქი-ბუქს რომ უყურებდა, რომელმაც სრულიად უნამუსოდ მისი იდეა წამებში მიითვისა, სულ სხვა რამეს ფიქრობდა:

„ეჰ, კიდევ კარგი, ადამიანი რომ არ ვარ, თორემ მეც ასეთი ვიქნებოდი, როგორიც გვირგვინაა. მართლა რა ბედნიერებაა, რომ ძაღლად დამბადა უზენაესმა, დიახ, ძაღლად და, არა ადამიანად. მაგრამ ერთადერთი რამ, რაც შეიძლება გადმოვიღო და გამოვიყენო ამ ჩვენი ჭკუამხიარული მეფისგან, ეს არის უნამუსობა. კაცი თვალებში გიყურებს და ფლიდობს. თავადაც კარგად იცის, რომ ტყუილებს აფრქვევს, თან იმასაც ხვდება, რომ შენ არ ტყუვდები, მაგრამ, მაინც თავისას მიერეკება. ეს უკვე თავისებური ნიჭია და ამას ცხოველი ვერ მოიფიქრებდა, თუმცა გვირგვინა ადამიანია და ალბათ, ამიტომაც ახერხებს. ასეთი თვისება ნამდვილად უნდა გადმოვიღო ჩვენი ბელადისგან, ყოველ შემთხვევაში, უნდა ვეცადო და გადმოვიღო. აბა, სხვა რისი გადმოღება შეიძლება მისგან? განათლება მაგას არა აქვს, ზრდილობა მაგას არ

გააჩნია და სამშობლოს სიყვარული მაგან არ იცის, რა არის. საკუთარ შვილებზე ზრუნვა და კუჭის ამოსავსებად სახრავ-საღეჭის დაგროვება, მაგაზე ნაკლებად არც მე ვიცი, ამიტომ ეს თვისებები გადმოსაღები არ არის, რადგან მეც საკმაოდ მაქვს განვითარებული, ბოლოს და ბოლოს, ცხოველი ვარ და იმიტომ. უნამუსობა და მხოლოდ უნამუსობა, ერთადერთი ეს არის, რაშიც მეფე გვირგვინას ბადალი არ ჰყავს და რითაც ცხოვრებისეულ წარმატებებს აღწევს. ჰოდა, მორჩა, გათავდა, დღეის შემდეგ, ვბაძავ მეფე გვირგვინას - მეც უნამუსო ვარ, მამალი უნამუსო, ზუსტად ისეთი თუ არა, დაახლოებით ისეთი მაინც, როგორიც ის არის. ისე, გმადლობ, უფალო, თვალი რომ ამიხილე და ადამიანების თვისებებიდან ერთადერთი რამ მაინც მომაწონე, თორემ სულ მთლად წარმოდგენა მქონდა მათზე დაკარგული. დღეიდან მეც მეფეს ვბაძავ, ადამიანს ვბაძავ და მეც უნამუსო ცხოვრებას ვიწყებ. ვიცი, ასეთი ცხოვრებით წარმატებულ ადამიანად ვერ გარდავიქმნები (ღმერთო დამიფარე), მაგრამ წარმატებული ძაღლი მაინც ხომ გავხდები? უეჭველი გავხდები და ამაში ორი აზრი არ არსებობს... აააა, აქამდეც უნამუსო ვიყავი? არა, არა და არაااااااა, მე უნამუსოდ არ დავბადებულვარ, მე ძაღლად დავიბადე, მაგრამ რა ეშმაკობებიც შემდეგ შევისწავლე, ყველაფერი ადამიანებისგან, უფრო ზუსტად, ჩემი მბრძანებლისგან, მეფე გვირგვინასგან და მისი ოჯახის წევრებისგან ვისწავლე. იმ გვირგვინაზე მაქვს ლაპარაკი, საკუთარი ოჯახის წევრები და ახლობლები, ზეკაცს რომ ეძახიან. არავინ შემეკამათოს, ცხოველს არ შეუძლია თვალთმაქცობა, ფარისევლობა, ცხოვრებისეული თამაში, საკუთარი ქმედების წინასწარ გათვლა, ვინმესთვის პატივისცემა იმ იმედით, რომ შემდეგ მისგან სანაცვლოდ რაღაცას მიიღებს. ასეთი რამ ნებისმიერი ცხოველისთვის დაბადებიდანვე უცხოა, წარმოუდგენელია, რამეთუ მისი პრიმიტიული გონება დამოუკიდებლად ამდენს ვერ წვდება და მას დამხმარე, უფრო ზუსტად, მაგალითის მიმცემი ან მომთვინიერებელი სჭირდება. და თუ რომელიმე ცხოველი გაეშმაკების გზას ადგას, ყველაზე მეტად, ეს მაინც შინაური ცხოველია, მაგალითად ძაღლი. დიახ, ძაღლი, რომელიც თუ რამე უარყოფითს, ეშმაკობას ან მლიქვნელობას სწავლობს, მხოლოდ პატრონისგან, ანუ ადამიანისგან. ჰო, აბა, რა, მე, პირადად ბევრჯერ მინახავს ადამიანი, რომელიც კამერების წინ პოზირებს, სხვათა დასანახავად პირჯვარს იწერს, ვინმეს ერთ ნაჭერ პურს მხოლოდ იმის გამო აწვდის, რომ ხვალ მისგან ორ იმდენ სიკეთეს მიიღებს, ანუ ადამიანი ბევრჯერ მინახავს, როცა ფარისევლობს და რაღაც საქმეს მოჩვენებით აკეთებს. მაგრამ გარეული ცხოველისგან

ასეთი ფარისევლური გათვლები მე არ მახსოვს, არ მინახავს. და თუ სადმე ნახავთ ცხოველს, რომელიც ეშმაკური ცხოვრებით ცხოვრობს, მერწმუნეთ, ეს ყველაზე მეტად შინაური ცხოველი, უფრო ზუსტად კი ძაღლი იქნება. ძაღლი, რომელსაც ადამიანის ერთგულ მეგობარს ეძახიან. მეც ძაღლი ვარ, შინაური ძაღლი და ვაღიარებ, რომ რა ეშმაკობა თუ ფარისევლობაც ვისწავლე, ყველაფერი ადამიანებმა მასწავლეს, უფრო ზუსტად, როგორც არაერთხელ მითქვამს, მეფე გვირგვინამ მასწავლა, კაცმა, ზეკაცმა.“

## 9 თავი

როგორც უკვე ვნახეთ, ქოჩორას იდეა, რომ სადღაც ზაფხულის დასაწყისისთვის, როცა ჩამოცხებოდა, პოლიტიკური აქტიურობისთვის მკვდარი სეზონი დადგებოდა და მონური შრომით გადაღლილი ძაღლები დასასვენებლად ხეების ან შენობების ჩრდილებში მიწვებოდნენ, ხელოვნურად შეექმნათ განდგომილთა სამეული და შემდეგ პოლიტიკურ ლაბირინთებში გაეშვათ, რათა ნაგლო-სექსების შთამომავალთა და მათ თანამოძმეთა წინააღმდეგ გადამწყვეტი ბრძოლა დაეწყოთ, გვირგვინას ჭკუისდაკარგვამდე მოეწონა. მეტიც, მოეწონა, დათანხმდა და ეს იდეა სასწრაფოდ მიითვისა კიდეც. მითვისება კი იმას ნიშნავდა, რომ სამეფო დარბაზში შეკრებილი ელიტა, როცა აღფრთოვანებით იტყოდა, ვაააა, ეს რა კარგი რაღაცა მოგიფიქრებიათ ქვეყნის მმართველებს, რომ ჩვენი წიაღიდან სამეული უნდა გამოვყოთ, შევღებ-გადავღებოთ, ჩვენგან ფარულად მართულ მასაში ჩავსვათ და ის დასავლური სამეფოები, რომლებიც დემოკრატიული ყეფის ხარისხს გვიწუნებენ, დაუღალავად ვალანძღინოთო, გვირგვინას ჯიბეს გამოკერილ მოხელეებს ერთხმად უნდა დაეჭექათ, მერედა, ვისი იდეაა ეგ ყველაფერი, თუ იცითო? ცხადია, ელიტის წარმომადგენლებს წინასწარ უკვე ეცოდინებოდათ, ეს იდეა ვისი იყო, მაგრამ მეფის გასაბედნიერებლად, მათ მაინც ცნობისმოყვარედ უნდა ეკითხათ, ნეტავ, ვისია ეს ჭკვიანური იდეა, ვისიო? რაზეც გვირგვინას მოხელეები ამაყად უპასუხებდნენ, ვისი და მეფე გვირგვინასიო. მერე ამას მოჰყვებოდა ტაში, ხვევნა-კოცნა, ცაში გაშვებული ბუშტები და სადღეგრძელოები გვირგვინაზე, პატიოსნებაზე, სამშობლოზე, პატრიოტიზმზე, ურთიერ-

თგაგებაზე და ძაღლურ ერთგულებაზე.

ახლა სამეულზე თუ ოთხეულზე ლაპარაკს დროებით შევეშვათ და სამეფოში შექმნილ არასამართლიან გარემოზე ვთქვათ რამდენიმე სიტყვა, იმ არასამართლიან გარემოზე, რომელსაც გვირგვინა და მისი გარემოცვა ქმნიდნენ.

მაშ ასე, მეფის გარემოცვისთვის ცხოვრება დუღდა და გადმოდუღდა. აბა, როგორი საქმეა, გათენებიდან დაღამებამდე, დაღამებიდან გათენებამდე სულ ბანკეტები, წვეულებები, ღრეობები თუ ნადიმები. სამეფო სასახლის მოსამსახურენი სუფრის ალაგებას ვერ ასწრებდნენ, რომ უკვე ახალი სუფრის გასაშლელად მოდიოდა ბრძანება, თან ჩიტის რძესთან ერთად, ნიანგის ცრემლებში ჩაწყობილი სელაპის ხორციც უნდა ყოფილიყო სუფრაზე. უყვარდა, თურმე გვირგვინას ელიტას ეს ძვირადღირებული კერძი და მეფეც არაფერს იშურებდა სამეფოს ელიტარული ნაწილის, სინამდვილეში კი საკუთარი აქტივის ძღომამდე გამოსაკვებად. შინაური ძაღლი ერთგულების სანაცვლოდ პატრონისგან უპირველესად რას ითხოვს? თავისთავად ცხადია, კარგ კვებას, რადგან მას სხვა არაფერი აინტერესებს გაუმაძღარი ფაშვის ამოვსების გარდა. გამოკვებეთ ძაღლი და ის თქვენს სამსახურშია, ანუ თქვენს ნებისმიერ ბრძანებას, თუნდაც სასაცილოს, დაუფიქრებლად შეგისრულებთ. ჰოდა, გვირგვინაც ამიტომ არ აკლებდა სამეფოს კართან უსირცხვილოდ ჩამწკრივებულ, ძაღლადშობილ ელიტას გემრიელ საკვებსა თუ სახრავ-საგლეჯს, რომ შემდეგ ისინი თავის სამსახურში მარტივად ჩაეყენებინა და სასახლის კლოუნებად ექცია. ძაღლადშობილ (და ადამიანადშობილსაც) ელიტას კვება უნდა, თანაც ნოყიერი საკვებით, თორემ თუ გაბრაზდა, შემოგიღრენს, შეიძლება დაგკბინოს კიდეც და მერე სხვას ჩაეხუტოს, ვინც საკვების მხრივ უზრუნველ ცხოვრებას მოუწყობს. მე არ ვიცი, თქვენს ქვეყანაში ამ მხრივ როგორ არის საქმე, მაგრამ იმ ქვეყანაში, ანუ გვირგვინას სამფლობელოში ზუსტად ასე იყო - ძაღლადშობილი ელიტა მეფის ხელიდან (უფრო ხშირად მეფის ნასუფრალიდან) თვალებმინაბული ილუკმებოდა, რათა მთელი თავისი დარჩენილი ცხოვრება სამეფო კარზე დაქირავებულ კლოუნად გაეტარებინა და თუ საჭიროება მოითხოვდა, მეფის ფეხის ნაბანი წყალიც დაელია. საინტერესო კიდევ ის არის, რომ მეფე და მის უძირო ქისას გამოკერილი ელიტა სრულიად მოწყვეტილი იყო იმ ქვეყანაში არსებულ რეალობას, რადგან ისინი მთელ ქვეყანას მხოლოდ სამეფო სარკმელიდან უყურებდნენ, იმ სარკმელიდან, საიდანაც ყვავი ბულბულად, ჭიანჭველა ციცინათელად,

ჭინჭარი დაფნად, ხოლო წუმპე რძის აბაზანად მოჩანდა. რატომ, იცით? როგორც ყველა უსამართლო სამეფოში, იქაც უდიდესი ნაპრალი არსებობდა სამეფო წრესა და დანარჩენ საზოგადოებას შორის. რა ნაპრალზე მაქვს საუბარი? ახლავე მოგახსენებთ. იქ პატიოსნება იჩაგრებოდა და მუდამ შეურაცხყოფილი დაიარებოდა, უწესობა კი ძლიერთა იმა ქვეყნისათა ყოველდღიურ ცხოვრების წესად ჰქონდათ ქცეული. მაგალითად, იქ ასეთი წესი, გნებავთ, მოდა იყო: ყაჩაღობით, მეძავობითა თუ უბრალოდ, კანონის გაუპატიურებით, ვინც ბევრ ფულს იშოვიდა, ყველას მდინარე მტკვიკრიკას (რომელიც ქვეყნის უდიდეს ქალაქს ორ ნაწილად ყოფდა და რომლის გამგებლადაც დრუნჩა ითვლებოდა) მარჯვენა სანაპიროზე ან თავისთვის, ან თავისი ლეკვებისთვის სახლი უნდა ეყიდა, თანაც, სასურველი იყო, რომ ეს სახლი, რაც შეიძლება პრესტიჟულ უბანში ყოფილიყო. სხვაგვარად, მდინარე მტკვიკრიკას მარცხენა სანაპიროზე (აღარაფერს ვამბობ პროვინციაში) მცხოვრებს, რა ტვინის საბადოც არ უნდა ჰქონოდა თავში, არც სამეფო სასახლე და მით უმეტეს, არც სამეფო სასახლის მიერ შექმნილი ელიტა მას არ აღიარებდა, მეტიც, საერთოდ, ახლოსაც არ გაიკარებდა. რას იზამთ, როგორც უკვე გითხარით, წესი თუ მოდა ჰქონდათ ძაღლებს ასეთი ადამიანური, ანუ საკუთარი თანამოძმეების დაყოფა შეძლებულ და ღარიბ, წარმატებულ და წარუმატებელ მოქალაქეებად. ისე, რა ნაცნობი სურათია, არა? რაღაც ძალიან ახლობელი და მშობლიურიც. ჰოდა, ახლა გეკითხებით, ასეთ გულისამრევ ქვეყანაში, სადაც მეფის უკანალის მლოკველ ელიტას მხოლოდ საკუთარი თვალსაწიერი გააჩნდა და სხვაგან ცოცხალი თავით არ იყურებოდა, რა თანასწორობაზე, განვითარებაზე, სამართლიანობაზე ან პატიოსნებაზე შეიძლებოდა ვინმეს კრინტი დაეძრა? არ შეიძლებოდა, ვერავინ გაიგებდა და ვერავინ უთანაგრძნობდა, რადგან სამეფო კარი და მასთან დაახლოვებული ელიტა სულ სხვა სამყაროში ცხოვრობდა, დანარჩენი საზოგადოება კი სულ სხვაში, ხოლო მათ შორის ერთი დიდი ნაპრალი იყო გაჩენილი.

არადა, რა ადვილი იყო იმ უდიდესი ნაპრალის ამოვსება და ქვეყანაში ჩაბუდებული უსამართლობის განადგურება, მაგრამ ვისაც ეს საქმე უნდა გაეკეთებინა, მას საამისოდ სურვილი არ გააჩნდა, ხოლო ვისაც ამ კეთილი საქმის გაკეთების სურვილი ჰქონდა, მას ძალაუფლება არ ეპყრა ხელთ და არავინ არაფერს ეკითხებოდა.

თუმცა, ერთიცაა გასათვალისწინებელი, რომ იმ სამარცხვინო ქვეყანაში მცხოვრებ მდიდრებსა თუ ელიტპერსონებს არანაირად არ

აწყობდათ ღარიბ-ღატაკთა წინ წამოწევა და მათი ამქვეყნიური ჭაობიდან ამოყვანა.

და რატომ, იცით? მერე თავად აღარ გამოჩნდებოდნენ და მდიდართა ოკეანეში შეუმჩნეველ ფიგურებად იქცეოდნენ. გესმით, რა ხდებოდა? ესე იგი, მდიდრებს ღარიბების გამდიდრება არ აწყობდათ, რადგან ქვეყანაში არსებული დოვლათის დაგროვების თვალსაზრისით, მათში თავისებურ კონკურენტებს ხედავდნენ.

არადა, ეს ის მდიდრები იყვნენ, ქუჩებში მიყრილი მათხოვრებისთვის რაღაც მოჭარბებული გროშების ჩაჩხრიალება, არასდროს რომ არ ავიწყდებოდათ, თავის ახალდაბადებულ ლეკვებს, როგორც დიდი მორწმუნეები, ჯერ კიდევ თვალაუხელელს რომ ნათლავდნენ და უფლის სახლადწოდებულ ეკლესიებში პირჯვრის უთავბოლო გადაწერით, მარჯვენა მხარს რომ იტკიებდნენ ხოლმე. მოკლედ, ერთი შეხედვით, იმ ქვეყანაში მცხოვრები მდიდრები ძალიან ამქვეყნიური მორწმუნენი ჩანდნენ, მაგრამ, სამწუხაროდ, მხოლოდ ერთი შეხედვით, რეალობა კი სულ სხვაგვარი იყო.

ისე, რაც ალხანა, ის ჩალხანაო, ხომ გაგიგიათ?! ზუსტად ამგვარად მიდიოდა იქაურთა საქმეც, რადგან რა ხარბი და გაუმაძღარიც მეფე გვირგვინა იყო, ისეთივე ხარბ და გაუმაძღარ ცხოვრებას ეწეოდა მეფის ნებართვით მხოლოდ გარკვეულ ზღვრამდე გამდიდრებულ პერსონათა დასიც.

რატომ? წესი იყო ასეთი.

უფრო კონკრეტულადაც შემიძლია მოგახსენოთ.

აბა, წარმოიდგინეთ, სამეფო სასახლის აივანზე გასული გვირგვინა ბედნიერებანარევი ღიმილით გადაჰყურებს ქალაქს და თავისთვის ფიქრობს, ბჭობს, მსჯელობს. საერთოდ, უყვარდა მას საკუთარ თავთან ლაპარაკი, ხანდახან ხმამაღალიც.

ახლაც, დგას გვირგვინა სასახლის აივანზე და თავისთვის ბუტბუტებს: - „ვაააა, ესენი ვინ არიან, გაგაგიჟებენ კაცს. განა, შეიძლება, ვინმე ასეთ გაბრწყინებულ ქვეყანაში ცხოვრობდეს და რაღაცით უკმაყოფილო იყოს?! არ მესმის, ნამდვილად არ მესმის. აი, მაგალითად, მეც ხომ ამ ქვეყანაში ვცხოვრობ? ნამდვილად ვცხოვრობ. სალამურაც ხომ აქ ცხოვრობს? დიახ, ისიც აქ, ამ ბედნიერ ქვეყანაში ცხოვრობს, ქოჩორა? რა, აქ არ ცხოვრობს? რა თქმა უნდა, აქ ცხოვრობს, ისე, როგორც დრუნჩა და კიდევ ბევრი, ძალიან ბევრი ჩვენებური. ჰოდა, თუ ჩვენ, ასეთი დიდი

პიროვნებები არ ვართ ამ ცხოვრებითა და ქვეყნით უკმაყოფილონი, ვიღაც დრუნჩმოუხოცავ ოპოზიციონერ ძაღლუკას, რა უფლება აქვს აქაურ ცხოვრებაზე რამე აუგი თქვას?! განა ერთ ქვეყანაში არ ვცხოვრობთ, განა ერთ ჰაერს არ ვსუნთქავთ და განა ერთ წყალს არ ვსვამთ? მერე რა, რომ მე მეფე ვარ და ისინი უბრალო მოქალაქენი არიან, ერთ ქვეყანას ვაშენებთ, ერთი ცა გვახურავს თავზე და ერთ მიწაზე გვიდგამს ფეხები. შენ და შენი ხელქვეითები ბევრს ჭამთო, ჩვენთვის კი არაფერი გემეტებათო, ზოგიერთები ამასაც კადრულობენ. იკადრონ რაც უნდათ, მე ხომ ვიცი, რომ ეგენი ნაგლო-სექსების შთამომავალთა და მათ თანამოძმეთა მიერ ჩვენს საამურ ქვეყანაში შემოგზავნილი აგენტები არიან. მათ შურთ ჩვენი სამეფოს წინსვლა და ყველანაირად ცდილობენ, შეგვაჩერონ, უკან დაგვხიონ და განვითარების ყველანაირი პერსპექტივა მოგვისპონ, მაგრამ ამას ვერ ეღირსებიან, სანამ მე ცოცხალი ვარ. არა, ამას მაინც როგორ ბედავენ და ამბობენ, თქვენს სამეფოში მატერიალური დოვლათი არათანაბრად ნაწილდება და მოსახლეობის უმეტესობა შიმშილობს, ხოლო სახელისუფლებო ნავში მსხდარი გვამები კარგად ნაჭამ-ნასუქები დაიარებიანო. სულელებო, სად, რომელ ქვეყანაში გინახავთ, ან გაგიგონიათ, რომ ხელისუფალი დამშეული იყოს? გეკითხებით და გამეცით პასუხი. როგორ შეიძლება ხელისუფლების დამშევა და უბრალო მოქალაქეების პირობებში მათი ჩაყენება?! ღმერთმა დაგვიფაროს, ამის გაფიქრებაც კი არ შეიძლება, თორემ დავიღუპებით. აბა, წარმოიდგინეთ, მე, ამხელა პიროვნებას, რომ მშიოდეს, ან სალამურას, ქოჩორას, დრუნჩას და ჩვენი ერთიანი გუნდის სხვა წევრებსაც რომ შიოდეთ, რა მოხდება მერე? მოხდება ის, რომ საშინელ დღეში ჩავვარდებით, რადგან ყოველ დღე უამრავი სტუმარი მოდის ჩვენთან შეხვედრაზე და იმათმა სახელისუფლებო გუნდის წევრები დამშეულნი და დრუნჩზე ნერწყვმომდგარნი რომ დაინახონ, მერე წავიდნენ თავის ქვეყნებში და მთელ მსოფლიოს მოსდონ, რომ მეფე გვირგვინას სამფლობელოში ხელისუფლების წარმომადგენლები სიღატაკისგან შიმშილობენო, ხომ წარმოგიდგენიათ, ჩვენი მტრები, რას იფიქრებენ ჩვენზე? შევრცხვებით და დავიღუპებით. ამიტომ, არც ერთი დამშეული და გაძვალტყავებული სახე ხელისუფლებაში არ უნდა იყოს. ეს ჩვენი ქვეყნის პრესტიჟის საქმეც არის. ამასწინათ, ერთი სტუმარი მყავდა ჩრდილოეთიდან, ჩემგან განსხვავებით, მეფე არ არის, მაგრამ ისიც ჩემნაირი პატიოსანი პიროვნებაა, პატარა საქმოსანია, თავისი ბიზნესი აქვს, ქათმის კურტუმოები შეაქვს თავის ქვეყანაში და ყიდის. მოკლედ, კარგი ჩალიჩა ვინმეა. ჰოდა, იმას ვამბობდი, მესტუმრა ეს

დიდი პიროვნება და საზეიმო ბანკეტის დროს, ყურში ჩურჩულით მეუბნება, აი, ის, თქვენი გუნდის წევრი, რატომ არის ასეთი გამხდარი, არ აჭმევთ თუ რაშია საქმეო? ჩემს ერთ-ერთ ვეზირზე მეუბნებოდა, კენჭის გავლით მთელი ერთი თვე, ლოგინად რომ იყო ჩავარდნილი და რომ ჩამოდნა, ჩამოხმა. მერე მე კი ავუხსენი ჩემი ვეზირის სიგამხდრის მიზეზი რაც იყო და როგორც იქნა, დავამშვიდე, მაგრამ ერთი წამით წარმოვიდგინე, მართლა დამშეული ვეზირი რომ მყოლოდა და ჩემთან მოწვეულ სტუმარს ეს ენახა, როგორ შევრცხვებოდი. მერედა, ვინ? მე, ადამიანი, რომელიც მთელი ქვეყნის გამოკვებაზე ზრუნავს, ღამეებს თეთრად ათენებს და ამ დროს, ჩემი ვეზირი სიმშილისგან გამხმარ-ჩამომდნარი ენახათ. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ჩრდილოელი მეზობლები ჩვენი ძმები არიან და ისინი არ შეგვარცხვენდნენ, ჩვენს პრობლემას მთელ მსოფლიოს არ მოსდებდნენ, უბრალოდ, მხოლოდ ძმურ რჩევას მოგვცემდნენ, მაგრამ, იმ ჩრდილოელი საქმოსნის ადგილას, ვინმე გათახსირებული დასავლელი თხა რომ ყოფილიყო და აქაური სამეფოს რომელიმე ვეზირი დამშეული ენახა, ხომ სულ მთლად აგვიმხედრებდა, ისედაც ჩვენ წინააღმდეგ ამხედრებულ დასავლურ სამყაროს? ნამდვილად აგვიმხედრებდა და ხელახალ შარში გაგვხვევდა. კიდევ, რა მიკვირს, იცით? ზოგიერთებს რომ დაუჩემებიათ, ჩვენთვის სამუშაო ადგილები არ არისო, რას მიქვია, სამუშაო ადგილები არ არის? ვისაც მუშაობა უნდა, მშვენივრად მონახავს სამუშაოს. მაგალითად, ნებისმიერი სამუშაოს მძებნელი გავიდეს ქუჩაში და უამრავ ნაგავსა და ლეშს იპოვის მიწაზე დაყრილს. ჰოდა, მიხედონ საქმეს, ჩაყონ დრუნჩი ნაგავში და ჭამონ ლეში, ამით ქალაქსაც დაასუფთავებენ და საკვებსაც იშოვნიან. ბოლოს და ბოლოს, ძაღლები ხომ მგლების შთამომავლები არიან, მგელი კი გარემოს სანიტრად ითვლება?! დიახ, ითვლება! ზოგიერთებს კი, რომ დაუჩემებიათ, ჩვენი დიდი წინაპრების ნაკვალევზე უნდა ვიაროთო, ა, ბატონო, იარონ მგლების, ანუ საკუთარი დიდი წინაპრების ნაკვალევზე, ჭამონ ქუჩაში დაყრილი ლეში, ასუფთაონ გარემო და ამაზე მეტი, რაღა დასაქმება და დიდი წინაპრების ნაკვალევზე სიარული უნდათ? ااااا, სუფთა და დაფასებული სამსახურები მომინდომეს? ვერ მივართვი. მაგათმა უნდა იცოდნენ, რომ სუფთა და დაფასებული სამსახურები მხოლოდ მეფის ინტერესებში მყოფი რჩეული ძაღლებისთვის არის და არა ქუჩის ძაღლებისთვის. ამ ქვეყანაში ყველა პროფესორი ვერ იქნება... და თუ ვინმეს, მაინც და მაინც, პროფესორობა მოუნდა, ამ ხარისხსაც მე ვანიჭებ, და არა რომელიმე დაწესებულება. ეს დავამთავრეთ, ის დავამთავრეთ და ადგილი ვერ გვიპოვნია ცხოვრება-

შიო. სულელებო, ჯერ ერთი, რაც არ უნდა დაამთავროთ, მთავარი ეგ არ არის, მთავარი ჩემთან და ჩემ მიერ მართულ ელიტასთან სიახლოვეა და მეორეც, ვინ გავალდებულებდათ, რომ რამე დაგემთავრებინათ? მე არავისთვის არაფრის სწავლა არ დამივალდებულებია და ვინც დაგავალდებულათ, თბილი და ტკბილი სამსახურებიც იმან გიშოვოთ. ასე ვფიქრობ მე, მთელი სამეფოს მბრძანებელი და ვინც არ მეთანხმება, შეუძლია, სადაც უნდა, იქ წავიდეს, თუნდაც ჯანდაბის იქით. ჰო, წამსვლელი წავიდეს, მოგვშორდეს და იმათ გარეშე უკეთესად ვიცხოვრებთ. ქვეყანა მაინც განიტვირთება და ჰაერი გასუფთავდება. ვიცი, ესენი ნამდვილად იმ ნაგლო-სექსების შთამომავალთა და მათ თანამოძმეთა მიერ არიან გათავხედებულები და ამიტომ, ამ საქმეს მე მივხედავ. ვინც წინ დამიდგება, ყველას ისეთ დღეს დავაყრი, რომ მისი ცოდვით ქვასაც ცრემლები სცვიოდეს.“

ასე ფიქრობდა, იმუქრებოდა და ბუღს აყენებდა მეფე - კაცი ცხოველივით აგრესიული, უსამართლო და მხოლოდ საკუთარ მუცელს აყოლილი. კაცი, რომელიც ძაღლების სამეფოს მართავდა, მაგარამ ძაღლებისგან მხოლოდ იმით განსხვავდებოდა, რომ თავად ორ ფეხზე იდგა, ისინი კი ოთხ ფეხზე შემდგარნი დაჰყურებდნენ მიწას.

## 10 თავი

დადგა ცხელი ზაფხულიც, წელიწადის დრო, როცა ცოცხალი ორგანიზმის აქტიურობა, ფაქტობრივად, ნულს უტოლდება, მოძრაობასთან ერთად სუნთქვაც ჭირს და ჩვენი ნახევარსფეროს სამხრეთში მცხოვრები ყველა არსება სიცხისგან ძლივს დაბობღავს.

ასეა სამხრეთულ ქვეყნებში და ბუნებრივია, რომ გამონაკლისი არც გვირგვინას სამეფო იქნებოდა. კალენდარზე აინთო თუ არა ივნისი, ელიტადწოდებული შეძლებულები მთებსა თუ ზღვების სანაპიროებს შეესივნენ (ჯერ მთა, მერე ზღვა ან პირიქით, ჯერ ზღვა, შემდეგ მთა), მწირი შესაძლებლობების მქონენი კი, რომლებიც ასეთ აძაღლებულ ქვეყანაში უმრავლესობაში იყვნენ, თუმცა, არანაირ ძალაუფლება-პრივილეგიებს არ ფლობდნენ, ადგილზე დარჩნენ და ხეების ან შენობების ჩრდილებს შეეფარნენ. რას იზამთ, გვირგვინას სამეფო ძალიან ჰგავდა ადამიანთა სამეფოს და იქაც, ისევე, როგორც ადამიანთა სამე-

ფოებში, მხოლოდ ყაჩაღები, მეძავები ან სამეფო კართან გაშინაურებული მლიქვნელები ცხოვრობდნენ ამქვეყნიური განცხრომით, სხვები კი, რომელთაც პატიოსანი ცხოვრების გზა აირჩიეს, სიმშილითა და უპერსპექტივობით სულს ღაფავდნენ.

აი, ეს იყო იქაური სამართალი, გვირგვინას სამართალი, ძაღლების სამეფოში ადამიანისგან გადმოღებული და დამკვიდრებული მახინჯი სამართალი.

მოკლედ, დადგა ზაფხული, დადგა ივნისი და გვირგვინამაც ქოჩორასგან ჩაწვეთებული, ხოლო შემდეგ თავისად მითვისებული იდეის ხორცშესხმა დაიწყო. თან აქეთ-იქიდან ქოჩორა და სალამურა კარნახობდნენ, დიდო მბრძანებელო, ახლა ზუსტად მაგის დროა, რომ შევქმნათ სამეული, სულ სხვა ფერებით, უფრო ზუსტად, შავ-თეთრად შევღებ-გადავღებოთ, გაბრაზებული გამოხედვის დაჭერა ვასწავლოთ, დაახლოებით ისეთი, მამულზე მზრუნველები რომ იჭერენ ხოლმე, მერე მოსაჩვენებლად, ვითომ გავაგდოთ ჩვენგან (სინამდვილეში კი, მაინც ჩვენს გულებში დავტოვოთ), ჩავსვათ ჩვენგან ფარულად მართულ მასაში და ვალაპარაკოთ ის, რასაც აქ, სამეფო კარის სახელით ვერ ვლაპარაკობთო. მოკლედ, ჩვენივე ხელით გამოძერწილი სამეული გავაგდოთ ქუჩაში და ჩვენს დაკრულზე ისე ვაყეფოთ, რომ ნაგლო-სექსების შთამომავლებსა და მათ თანამოძმეებს ღამით ძილი, დღისით კი სიმყუდროვე დაეფრთხოთო.

მართლაც ასე მოხდა: მეფემ და მისმა მრჩევლებმა საკუთარი წიაღიდან გამოარჩიეს სუნის აღების მხრივ განსაკუთრებული ნიჭის მქონე ძაღლები; ხუნდიკა, სონდიკა და ყანდიკა, მერე ჩრდილოეთში მდებარე დათვების სამეფოდან მოწვეულ ინსტრუქტორს ეს სამეული შავ-თეთრად გადააღებინეს, აზიარებინეს იმ ტექნიკას, თუ როგორ უნდა დაეჭირათ მამულზე მზრუნველი ძაღლების გამოხედვა, დაუწერეს კონკრეტული სამოქმედო გეგმა და ჰაიდაა�ა, განრისხებულთა მასაში პოლიტდესანტად ჩასვეს. თუმცა, სიმართლე რომ ითქვას, ეს რაღაც პოლიტსამეული კლოუნთა გაერთიანებას უფრო წააგავდა, ვიდრე პოლიტიკოსების მიერ დაარსებულ მოძრაობას, მაგრამ, ამისდა მიუხედავად, მაინც ვერავინ იტყვის, რომ მათ ახალ გარემოში ადაპტირება გაუჭირდათო. პირიქით, ხანდახან ისეთი სახით და ისე ომახიანად ისროდნენ დეკლარაციებს, რომ ვინმე გაუთვითცნობიერებელს ეგონებოდა, გვირგვინას სამეფოს ყველა დიდი და სახელოვანი წინაპრის სული ამ სამეულში ჩასახლდაო.

წარმოიდგინეთ, საღამოს საქმიანი პრესკონფერენცია, სადაც ზემოხსენებული სამეული ტრიბუნასთან ყელყელაობს, პოზირებს, ყეფს, თვალებს აბრიალებს და ენაგადმოგდებული რაღაც განცხადებას აკეთებს. თავისთავად ცხადია, იქვეა მედიაც, მიკროფონებითა და ტელეკამერებით.

განცხადების შინაარსი კი დაახლოებით ასეთია: მეგობრებო, მოქალაქენო, კეთილებო და კარგებო, ესაო, ისაო და ნაგლო-სექსების შთამომავალთა და მათ თანამოძმეთა მონები ჩვენ არასოდეს გავხდებითო, რადგან ჩვენში სულ სხვა სიყვარული და გაგებააო, დასავლეთში კი სულ სხვა ამბავი და რამე-რუმე ტრიალებსო. ჩვენი მამული უნდა გადავარჩინოთო, ძირძველ ტრადიციებს უნდა დავუბრუნდეთ და შევქმნათ ისეთი სამეფო, სადაც ჩვენ, სამხრეთელი ძაღლები და ისინი, ანუ ჩრდილოელი დათვები ერთ გალიაში ვიცხოვრებთ, ხოლო დასავლელი თხებისგან წამოსული ნებისმიერი იდეა დაბლოკილი იქნებაო. რა ჭრელა-ჭრულა ფერები და რის ჭრელა-ჭრულა ფერები, გაუმარჯოს შავ-თეთრ ქვეყანას და შავ-თეთრ ღამესო.

- რაო? რაოოოოო? რა ბრძანეთ? - დაინტერესდა ერთ-ერთი ჟურნალისტი.

- გაუგებარი რა ვთქვი, მეგობარო? - გაოცებული ამბობს სონდიკა და აგრძელებს, - ქვეყანაში ძალიან მომრავლდა ნათელი ფერები, ჩვენი ეროვნული ტრადიციები კი პირიქით, გვავალდებულებს, რომ ამ საკითხში უფრო თავდაჭერილები ვიყოთ და ქვეყანა შავ-თეთრ ფერებზე გადავიყვანოთ.

- ესე იგი, რა ფერის სამოსი ჩაიცვას საზოგადოებამ და საერთოდ, რა ფერად შევღებოთ სახლის შიდა ინტერიერი თუ გარე ფასადი, თქვენ უნდა გკითხოთ? - უკმაყოფილო იყო იგივე ჟურნალისტი.

- თქვენ, უკაცრავად, რომელი საინფორმაციო საშუალებიდან ხართ? - სონდიკას მხარს უჭერს ყანდიკა, მერე კარგად აკვირდება ჟურნალისტის გულზე ჩამოკიდებულ მოწმობას და პასუხს აღარ ელოდება, ყეფა-ღრენით ამბობს, - თქვენ არაკომპეტენტური, სიცრუეზე დაყრდნობილი საინფორმაციო საშუალება ხართ და ჯობია, საერთოდ გაჩუმდეთ. ისე, ჯობია, ეს ვიღაც ჟურნალისტისმაგვარი გაათრიოთ დარბაზიდან.

დაცვა ჟურნალისტს დარბაზიდან გარეთ ყეფა-ყეფით მიათრევს, ეს უკანასკნელიც უძალიანდება, მაგრამ ერთი ოთხთან ვერაფერს ახერხებს.

- პატივცემულო სონდიკ, გვესმის, რომ შავ-თეთრი ცხოვრება ფერად ცხოვრებას ბევრად სჯობია, ამაში ორი აზრი არ არსებობს და მე პირადად, გეთანხმებით კიდეც, უბრალოდ, იქნებ საზოგადოებას მოკლედ აუხსნათ ძაღლისთვის შავ-თეთრი ცხოვრების უპირატესობა, ჭრელა-ჭრულა ცხოვრებასთან შედარებით. - ამას უკვე სხვა ჟურნალისტი ამბობს, სამეულისთვის საყვარელი და ლამის მშობლიური საინფორმაციო საშუალებიდან.

- დიდი მადლობა ასეთი აზრიანი და მნიშვნელოვანი საკითხის წამოჭრისთვის! - თვალები უციმციმებს სონდიკას და ცდილობს მოკლედ ისაუბროს, - რაც შეეხება ძაღლისთვის შავ-თეთრი ცხოვრების უპირატესობას ჭრელა-ჭრულა ცხოვრებასთან შედარებით, ამ საკითხში უკეთ გარკვევის მიზნით, ჩვენი სამეფოს ისტორიიდან საუკუნეების წინანდელი მოვლენების გახსენება სულაც არ არის საჭირო. მაგალითად, გავიხსენოთ, თუნდაც ოცი-ოცდაორი წლის წინანდელი ჩვენი ცხოვრება, იმ ჩვენს ცხოვრებაში ჩადებული სიბნელე და ტალახი, გავიხსენოთ და ვაღიაროთ, ჩვენთვის, როგორც ძაღლებისთვის, რომელია უკეთესი, სიბნელე, სადაც ყველაფრის შოვნა უფრო ადვილად შეიძლება, თუ სინათლე, სადაც ძაღლი ვერაფერს მოიპარავს და შიმშილით, შეიძლება  სადმე გულწასული დაეცეს? ბოლოს და ბოლოს, ჩვენ თუ ვამაყობთ იმით, რომ მგლების შთამომავლები ვართ, მაშინ ჩვენთვის მგლურად სიბნელეში ნადირობა და საკვების მოპოვებაც არ უნდა იყოს მიუღებელი.

- რა ჭკვიანია, რა საოცრებაა, არა? - მეფე გვირგვინას მიერ დარბაზში შეგზავნილმა ერთმა აგენტმა მეორე აგენტს ჩუმად გადაულაპარაკა.

- ბაჯაღლოა! - იყო მეორის პასუხი.

დარბაზში ჩოჩქოლი ატყდა, ზოგი ყეფდა, ზოგი წკმუტუნებდა, ზოგი კი საერთოდ გულგრილად უყურებდა შექმნილ ვითარებას და მხოლოდ ოცნებობდა... ოცნებობდა ხორცზე და ბნელ ღამეზე.

- პატივცემულებო, მას შემდეგ, რაც სამეულის სახით მეფე გვირგვინას გამოეყავით, თქვენ ძალიან ბევრს ლაპარაკობთ სიბნელის აუცილებლობაზე, ეროვნულ ტრადიციებზე, მაგრამ ერთი სიტყვითაც კი არ ახსენებთ იმ უმძიმეს სოციალურ მდგომარეობას, რომელიც ჩვენს სამეფოშია. გეკითხებით, რატომ? - დამაჯერებლად ამბობს მედიის წარმომადგენელი და ხუნდიკასკენ იყურება, რაც იმას ნიშნავს, რომ ეს შეკითხვა მას ეკუთვნის.

- თავის დროზე მეფე გვირგვინამ  არაერთხელ განმარტა, ძაღლს იმისთვის აქვს გამჭრიახი გონება, ბასრი კლანჭები და ალესილი კბილები, რომ დამოუკიდებლად საკვების მოპოვება არ გაუჭირდეს. რა, ყველაფერში სახელმწიფომ უნდა გაგიწიოთ დახმარება? თქვენით ირჩინეთ თავი და ხელმწიფისგან ბევრს ნუ ითხოვთ. ბოლოს და ბოლოს, ძაღლები ვართ, უსუსური კურდღლები ხომ არა?  - ძალიან აგრესიული იყო ხუნდიკა.

- ესე იგი, ქურდობა დავიწყოთ? - აღშფოთდა ჟურნალისტი.

- თქვენ პროვოკატორი ხართ, ვიღაცა. მე ქურდობა როდის ვთქვი? ძაღლები ვართ და ჩვენი თავის რჩენა, თავად უნდა შეგვეძლოს - მეთქი, მხოლოდ ეს ვთქვი. გესმით?

- საქმეც მაგაშია, ძაღლს თუ პატრონი ჰყავს ხელმწიფის სახით, მაგრამ მშიერია, მან თავად როგორ უნდა ირჩინოს თავი? იწუწკოს? მოიპაროს? აგვიხსენით ერთი.

- დაცვა, სად ხართ? როგორც ვატყობ, ესეც დასავლეთის აგენტია, მოგზავნილია და გააგდეთ ეს უნამუსო აქედან, - ყანდიკა კვლავ შეუპოვარი იყო.

კართან ატუზული დაცვა, ისევ ყეფა-ყეფით ჩაერთო საქმეში და კიდევ ერთი ჟურნალისტი გაათრიეს დარბაზიდან.

- რა წაიღეთ ტვინი, გვაცალეთ მუშაობა, რაااااااااااა, - კოლეგების წინააღმდეგ წინასწარ დაგეგმილ დროს აღშფოთდნენ გვირგვინას მიერ დაქირავებული ჟურნალისტები.

- თქვენს ყოველდღიურ რიტორიკაში ყოველთვის შეიგრძნობა დასავლურ ღირებულებებზე თავდასხმა, ყეფა და ღრენა, სამაგიეროდ ლოიალურად ხართ განწყობილი ჩრდილოელი დათვების მიმართ. აქედან გამომდინარე, გვინმტკიცება აზრი, რომ თქვენ მეფე გვირგვინას ინტერესებს ემსახურებით, რომელიც ჩრდილოელ დათვებთან საიდუმლო კავშირებში არაერთგზის გვყავს შემჩნეული. რას იტყვით, რით გაიმართლებთ თავს? - ეს შეკითხვა დარბაზიდან ყანდიკას მისამართით დაისვა.

სანამ შეკითხვაზე პასუხს გასცემდა, ყანდიკამ მოხერხებულად გადაუჩურჩულა სონდიკას, - რიტორიკა რა არის?

ხოლო, როცა პასუხად, ასევე ჩურჩულით მიიღო, რომ რიტორიკა ქაქანის, ყეფის, ორატორობის ხელოვნებაა, ჯერ მოხერხებულადვე ჩაახველა, შემდეგ მინერალური წყალი ბოთლიდანვე გამოსცალა და

საქმიანი სახით, როგორც იქნა ამოღერღა, - რაო, რა ბრძანეთ? ჩვენს რიტორიკაში დასავლურ ღირებულებებზე თავდასხმა შეიგრძნობა და გვირგვინა მბრძანებელი ჩრდილოელ დათვებთან კავშირში გყავთ შემჩნეული?

- დიახ!

- ახლა არ დამაგინებინოთ! - აპილპილდა ყანდიკა.

- დაგინება კი არ გვინდა, პასუხი გაეცით შეკითხვას, - ცნობისმოყვარე ჟურნალისტი არ დუმდებოდა.

ამასაც თუ დაატოვებინებთ დარბაზს, კარგი იქნება, მართლა წაიღეს ტვინი, მუშაობას აღარ გვაცლიან, - ამჯერად კოლეგებს თავად კოლეგები დაუპირისპირდნენ, ანუ გვირგვინას მიერ მართული მედია ოპოზიციური მედიის დარბაზიდან გაძევებას ითხოვდა.

რა გასაკვირია, რომ საქმეში ისევ დაცვა ჩაერთო და პროტესტანტი ჟურნალისტი სხვების მსგავსად სულ კინწისკვრით გააგდეს გარეთ. შედეგად დარბაზში გულისამაჩუყებელმა სიმშვიდემ დაისადგურა. ადგილზე დარჩენილი ჟურნალისტები და „დიდი სამეულის“ წევრები, კი აღარ საუბრობდნენ, არამედ უფრო ღუღუნებდნენ, სიყვარულის ვარდისფერ სხივებს აფრქვევდნენ ბაგეებიდან და ერთმანეთს სახეში აყრიდნენ. არადა, ზოგიერთებისთვის რომ გეკითხათ, ქვეყანაში ნათელი ფერები უნდა აიკრძალოს და მხოლოდ შავ-თეთრი ფერი უნდა დამკვიდრდესო, მაგრამ, ხომ ვიცით, რომ შავ-თეთრი ფერი მათ მხოლოდ სხვებისთვის, ანუ ჩაგრულთა კლასისთვის ემეტებოდათ, თავად კი მრავალფეროვანი და ლაღი ცხოვრებით ტკბობას აპირებდნენ. მოკლედ, დარბაზში ენითაუწერელმა ჰარმონიამ დაისადგურა. აღარ იყო განსხვავებული აზრი და შესაბამისად აღარ იყო კბენა, ღრენა, ყეფა. ყველას ერთმანეთი უყვარდა, ყველა ერთმანეთს ლოკავდა და ეფერებოდა.

- აი, ქვეყანა, აი, სახელმწიფო, აი, სამეფო, ღირსეული და წარმატებული. ამ დარბაზში მყოფი საზოგადოებასავით მორჩილი, ერთ ჭკუაზე მყოფი და ერთ მუშტად შეკრული ქვეყანა მინდა მე. მინდა და ამას აუცილებლად მივაღწევ. დარბაზში რამდენიმე შეგზავნილი არამზადა იჯდა და ისინი გააგდეს თუ არა, ედემის ბაღს დაემსგავსა იქაურობა. ერთი ბულბული აკლიათ და სამოთხეც სახეზე გვექნება. დიახ, ბულბული აკლიათ, მაგრამ მე, ამხელა შესაძლებლობების მქონე მეფეს, ერთი მომღერალი ბულბულის ყიდვა გამიჭირდება? რა თქმა უნდა, არ გამიჭირდება. ჰოდა, ხვალვე ვყიდულობ ბულბულს, მო-

რჩა და გათავდა. მერე ამ ბულბულს დარბაზში კი არა, ჩემი სამეფოს ერთ-ერთ ქონგურზე შემოვსვამ და დილიდან დაღამებამდე გულისამაჩუყებლად ვამღერებ. ჰო, აბა, რა, ბულბული იმღერებს და ქვეყანაც სამოთხეს დაემსგავსება. თუმცა, სანამ ბულბულს ვიყიდი, მომიწევს ქვეყნის გაწმენდა მავნე ელემენტებისაგან, ზუსტად ისე, როგორც ეს დარბაზი გაიწმინდა. ნამდვილად, ჯერ ქვეყანა უნდა გავწმინდო ამ განსხვავებული აზრის მქონე არამზადებისგან, თორემ ასეთ პირობებში ხარჯი რომ გავწიო და ძვირადღირებული ბულბული ვიყიდო, ხომ გაგიჟდება საწყალი ფრინველი, ეს რა ჯოჯოხეთში მოვხვდიო? უეჭველი გაგიჟდება. ამიტომაც, ჯერ ვწმენდ ქვეყანას, ხოლო მერე იმ საოცნებო ბულბულს ვყიდულობ, ლამაზი ედემის მოსაწყობად. მანამდე კი რას ვაკეთებ? სანამ სამეფოს გავწმენდ და ბულბულს ვიყიდი, მანამ ამ დარბაზში დარჩენილი ღირსეული საზოგადოებით მინდა დავტკბე. ნამდვილად ვტკბები და ემოციებისგან მბურძგლავს, ვტირი. მაინც რა ბედნიერებაა ამათი ყურება. რა საყვარლად ღუღუნებენ და როგორ ესმით ერთმანეთისა, არავითარი განსხვავებული აზრი, თითქოს ყველა ერთი თიხით არის მოზელილი. ეს რა საყვარლობაა. გაუმარჯოს ურთიერთგაგებას და ძირს აზრთა სხვადასხვაობა. ნამდვილად ასეთ სახელმწიფოში მინდა ცხოვრება, ნამდვილად ასეთი სამეფო მინდა მე. - ბედნიერებანარევი ხმით საკუთარ თავს ელაპარაკებოდა ტელევიზორთან მიმჯდარი მეფე გვირგვინა, რომელიც სამეულის პრესკონფერენციას პირდაპირ ეთერში უყურებდა.

- ასეთი სახელმწიფოს შექმნა, ჯერ დედაქალაქიდან უნდა დავიწყოთ, დიდო მეფეო! - გაბედა რამდენიმე სიტყვის ჩაგდება დრუნჩამ, რომელიც ბელადის ოთახში იჯდა და მისი ხელიდან ხორცის კანფეტს მიირთმევდა. ქოჩორასი და სალამურასი არ იყოს, დრუნჩასაც ძალიან უყვარდა ხორცის კანფეტი, თანაც მეფის ხელიდან მირთმეული.

- მერე რას მიკეთებ, დედაქალაქი შენ გაბარია, სხვას კი არა. - თვალები დააბრიალა მეფემ და წინასწარ გამზადებული კიდევ ერთი ნუგბარი მაგიდაზე დააგდო.

- რაც შემიძლია, ყველაფერს ვაკეთებ.

- სახელისუფლებო კრიზისის დროს მაინც რა გაქვს დედაქალაქისთვის გაკეთებული?

- საზოგადოებრივი ბორბლებიანი ტრანსპორტით მგზავრობა გავაძვირე, უფრო ზუსტად რომ ვთქვა, გავაორმაგე.

- და ამით რა იცვლება?

- პროტესტანტები სახლებიდან ვეღარ გამოდიან და შესაბამისად, ანტისახელისუფლებო აქციებზე ვეღარ დადიან.

- კიდევ სად ვერ დადიან?

- ვერსად ვერ დადიან, ვერც მაღაზიაში, ვერც სანადიროდ, ვერც საშოვარზე და ვერც სასეირნოდ.

- მერე?

- სხედან სახლებში და იღრინებიან.

- კიდევ რა დადებითი სამუშაოები ტარდება?

- როგორც დედაქალაქში, ისე მთლიანად ქვეყნის მასშტაბით ხარკის აკრეფა და გადასახადების გადახდა კიდევ უფრო გამკაცრდა, ყველაფერი გაძვირდა, გაორმაგდა, გასამმაგდა და გაათმაგდა. აქამდე ზოგიერთი გაჭირვებული, მაინც თავს რომ იძვრენდა და საარსებო საშუალებას ნახულობდა, ახლა ასე აღარ არის, მოსახლეობის უმეტესობას ყელზე ყულფი აქვს მოჭერილი და სულს ღაფავს.

- ესე იგი, სიტუაციას აკონტროლებთ?!

- ხელ-კეტებით ვაკონტროლებთ სიტუაციას, - დიდო მეფეო და მბრძანებელო.

- რას ამბობენ?

- მაგინებენ!

- ხომ იცი, ჩემო დრუნჩა, მთავარია, ძაღლი პატრონის მიმართ იყოს ერთგული, თორემ ძაღლი ძაღლს დედას შეაგინებს თუ მამა-პაპის პორტრეტზე მიუშარდავს, ამას ყურადღება არ უნდა მიექცეს, რადგან ძაღლია და სხვა არაფერი შეუძლია. ასე რომ, ნუ გეშინია თუ გაგინებენ, მთავარია, მე არ შემაგინონ. ისე, რას იტყვი, მეც ხომ არ მაგინებენ? არ დამიმალო, მითხარი. ან რატომ უნდა შემაგინონ? მე ხომ საკუთარი უფლებები კონსტიტუციით შევიზღუდე და სხვებს გადავეცი?!

- ნამდვილად, მეფეო, თქვენ რატომ უნდა გაგინონ, როცა ჩვენ აქ ვართ?

- მართალი ხარ, ჩემო დრუნჩა, მე რატომ უნდა მაგინონ, როცა შენ, სალამურა და ქოჩორა ამ ქვეყანაზე დაიარებით?

- თქვენ კარგად იყავით მბრძანებელო და ყველანაირ გინებას ჩვენ მივიღებთ საკუთარ თავზე და ტანზე, - გმირობის ხასიათზე დადგა დრუნჩა, მერე წამოდგა, მაგიდასთან მივიდა, რამდენიმე წუთის წინ მეფის მიერ დაგდებული ხორცის კანფეტი დაუკითხავად აიღო და გა-

უფცქვნელად პირში ჩაიტენა.

- რას შვრები, შე წუწკო, შენა, კანფეტს ქაღალდიანად ვინ ჭამს? - მკაცრად დატუქსა მეფემ დრუნჩა.

- მიყვარს ხორცის კანფეტი, მეფეო. - თავი იმართლა დრუნჩამ.

- ჰო, კარგი, ამჯერად გაპატიებ, მაგრამ სხვა დროსაც თუ იგივეს გაიმეორებ და დაუკითხავად, თანაც ქაღალდიანად გადასანსლავ რამე ნუგბარს, იცოდე, სასჯელის სახით, სამი თვით მხოლოდ ძვლის ლოკვას გამოგიწერ და მშიერს დაგტოვებ.

დრუნჩამ რომ წარმოიდგინა, წუწკობის გამო, სამი თვით შეიძლება ზუსტად იმ ღარიბ-ღატაკული საკვების ამარა დარჩენილიყო, რითიც მისი თანამოძმეების აბსოლუტური უმრავლესობა მთელი ცხოვრება იკვებებოდა, გული კინაღამ შეეკუმშა და გვირგვინას მუდარით სავსე თვალებით შეხედა, რაც იმას ნიშნავდა, რომ ეხვეწებოდა, არ დამღუპოთ მბრძანებელო, თორემ ჩემისთანა სათამაშო ძაღლს, სხვას ვერ იშოვითო.

მეფეც თითქოს მიხვდა ძაღლის გულისნადებს და უცებ ლმობიერი გახდა, - ახლა ეს მითხარი, ჩემო დრუნჩა, შენი თანამოძმენი კი გაგინებენ, მაგრამ, მაინც რას ამბობენ, როგორ ვგრნობთ თავსო და საერთოდ, რას აპირებენ? - ჰკითხა მან დრუნჩას.

- ასეთ სკვარამში და შიმშილში ცხოვრებას, ამ ქვეყნიდან სამუდამოდ წასვლა გვირჩევნიაო, ამას ამბობენ.

- და მიდიან?

- ძალიან ბევრი მიდის, მეფეო. მარტო ჩემი ქალაქიდან, ამ წელს, დაახლოებით ორმოცდაათი ათასი ოთხფეხა გაიქცა.

- დედაქალაქიდან წელიწადში ორმოცდაათი ათასი მაცხოვრებლის გადახვეწა, საოცარი რიცხვია. ესე იგი, ამ ქვეყნის მაცხოვრებლებზე მიმდინარე ექსპერიმენტი მოსალოდნელზე ბევრად წარმატებით ტარდება, - თავისთვის ჩაილაპარაკა კმაყოფილმა გვირგვინამ, მაგრამ ყურებდაცქვეტილ დრუნჩას მეფის მოგუდულად ნათქვამი არ გამოპარვია და მანაც, გულუბრყვილოდ იკითხა, - რა ექსპერიმენტი, მეფეო?

- უჰ, არაფერი ისეთი, წუხელის სახლში ექსპერიმენტს ვატარებდი, აივნიდან ტუალეტამდე უფრო მალე მივიდოდი თუ საძინებელ ოთახამდე. ჰოდა, ეტყობა, ეს სიტყვაც ამიტომ ჩამრჩა გონებაში. - არ დაიბნა მეფე.

დრუნჩას რაღაც ეჭვებმა კი გაჰკრა გულში, მაგრამ რა უფლება ჰქონდა მეფისთვის სიტყვა შეებრუნებინა და დადუმდა.

- იმას გეუბნებოდი, ჩემო დრუნჩა, ჩავატარე ექსპერიმენტი, აივნიდან სად უფრო მალე მივიდოდი, ტუალეტამდე თუ საძინებელ ოთახამდე და რამდენჯერაც ვცადე, სულ მუდამ ტუალეტამდე უფრო მალე მივდიოდი. არადა, მანძილი აივნიდან ტუალეტამდე და საძინებელ ოთახამდე, ერთი და იგივეა. საოცრებაა პირდაპირ, არა?

- ნამდვილად საოცრებაა, დიდო მეფეო.

- და იცი, რატომ მივდიოდი ტუალეტამდე უფრო ადრე?

- არ ვიცი.

- შარვალში რომ არ გამპარვოდა. - ახარხარდა გვირგვინა. ხარხარებდა დრუნჩაც, მაგრამ ამ უკანასკნელის ხარხარი უფრო ნაძალადევი იყო, ვიდრე გულიდან ამოსული. არ ეცინებოდა დრუნჩას, რადგან გვირგვინას სიტყვები ამ ქვეყნის მაცხოვრებლებზე მიმდინარე ექსპერიმენტის შესახებ, ძალიან ცუდად მოხვდა გულში.

- კარგია, ვიცინეთ და ახლა ის მითხარი ჩემო დრუნჩიკო, ამ ქვეყნიდან გაქცეულები, ძირითადად მაინც სად მიილტვიან?

- ძირითადად ოკეანის გადაღმა, ნაგლო-სექსების გარყვნილ შთამომავალთა მიერ შექმნილ ქვეყანაში გარბიან.

- ძალიან კარგი, რაც მეტი გაიქცევა, მით უკეთესი. მაგათ ადგილზე კი სამეფო სასახლის მიერ ხელდასმული მდიდრები და ჩრდილოეთიდან ჩამოსული დათვები დასახლდებიან.

- მეც ხომ მანდ ვიქნები, მეფეო?

- რა თქმა უნდა. აბა, შენ გარეშე ამ ქვეყნის ახალი ცა და ახალი მიწა როგორ აშენდება?

- მადლობელი ვარ, დიდო მეფეო, - ბედნიერებისგან თვალებაციმციმებული იდგა დრუნჩა, რომელსაც მომავლის განახლებულ ქვეყანაში საოცნებო კარიერის პერსპექტივამ სულ მთლად დაავიწყა, რომ რადენიმე წუთის წინ, მეფის ჩუმად ნათქვამში რაღაც საეჭვო ექსპერიმენტს მოჰკრა ყური და გული გახეთქვაზე ჰქონდა.

ეჰ, დრუნჩა, დრუნჩა, შენ ძაღლი ხარ, თანაც მეფის მარიონეტადქცეული, გასართობი ძაღლი და ამიტომ არ მიკვირს, მარტო საკუთარ ტყავზე და კუჭზე რომ ზრუნავ, სამშობლოსა და თანამემამულეთა ინტერესების დაცვა კი მხოლოდ ბაგეებიდან წამოსული ლამაზი

სიტყვები რომ გგონია. თუმცა, შენი როგორ უნდა გამიკვირდეს, როცა უსამართლობით დამძიმებულ დედამიწაზე ადამიანები უარესად კნინდებიან და დეგრადირდებიან, ვიდრე ცხოველები, თანაც ბევრად უარესად. ამის ნათელი მაგალითი, შენი და მთლიანად მაგ სამეფოს მბრძანებელი გვირგვინაა.

- უკვე დიდი ხანია, ტრადიციებზე დაფუძნებული ქვეყნის აშენება მინდა, ქვეყნის, სადაც დომინანტი ფერი შავ-თეთრი იქნება, მაგრამ დასავლეთიდან შემოგზავნილი ეს ვიღაც დემოკრატები თუ ცისარტყელას ფერებს ამოფარებული ჭრელა-ჭრულა არსებები ხელს მიშლიან. - მთქნარებით თქვა გვირგვინამ და დამშვიდობების ნიშნად დრუნჩას ხელი დაუქნია, რაც იმის ნიშანი იყო, რომ მეფეს ეძინებოდა და დედაქალაქის თავიც სასახლიდან ფეხაკრეფით უნდა გაპარულიყო.

## 11 თავი

დრო დაუნდობლად, უკანმოუხედავად გარბოდა, გვირგვინას სამეფოში წვიმას თოვლი ცვლიდა, თოვლს ქარი, ქარს მზე, მზეს მთვარე, მაგრამ ერთადერთი რამ, რაც არ იცვლებოდა, ადგილობრივთა გაძაღლებული ყოფა იყო, თუმცა ძაღლების სამეფოში სხვაგვარად არც შეიძლებოდა ყოფილიყო. ქვეყანაში იბადებოდნენ და იზრდებოდნენ თაობები, რომელთაც შიმშილის გამო კბენა-ღრენის თავიც აღარ ჰქონდათ და მხოლოდ საკუთარ გაჩენის დღეს წყევლიდნენ. წარმოიდგინეთ, ძაღლი რომ კბენა-ღრენას შეელევა, გამოდის, რომ ის უკვე ბედს შეგუებულია და ცალი ფეხით საიქიოს იმყოფება. თუმცა, საიქიო იქით იყოს და სააქაოდ თავის გადარჩენისთვის რჩებოდა ერთადერთი გამოსავალი - სამშობლოდან რაც შეიძლება შორს გაქცევა და სადღაც ცხრა მთას იქით სამუდამოდ გადახვეწა. იცოდნენ საბრალოებმა, რომ იქ მათ ხელისგულზე არავინ ატარებდა და საერთოდ, უშორეს გზაზე მიმავლები, შეიძლება, სულაც უღრან ტყეში ან მზისგან გადაბუგულ უდაბნოში, რომელიმე მტაცებელი ცხოველის ლუკმად ქცეულიყვნენ, მაგრამ ამას არავინ დაეძებდა, რამეთუ მხოლოდ რისკიან ნაბიჯებს თუ შეეძლოთ მათი მიწიერი ჯოჯოხეთიდან დახსნა და სამშვიდობოს გაყვანა.

მიდიოდა შეურაცხყოფილი ძაღლების ქარავანი, მიდიოდა ცრემლითა და დარდით სავსე... ისინი მშობლიურ მიწას, სახლსა და საახლობლოს ტოვებდნენ, ადამიანადშობილ პატრონს კი გაურბოდნენ. მათგან ყველას კარგად მოეხსენებოდა, რომ უცხო მიწა-წყალზე ლტოლვილად გადახვეწილთ, დღეში ის ერთი ძვალი ან მიწაზე მათხოვრულად დაყრილი სალაფავიც, რომელსაც სამშობლოში მიირთმევდნენ, შეიძლება სანატრელი გახდენოდათ, მაგრამ მეფედქცეული პატრონისგან და განსაკუთრებით საკუთარი თანამოძმეებისგან შეურაცხყოფილებს, სამშობლოში თავზე ლაფის დასხმას, ისევ უცხო სამყაროში გლოვა და სიკვდილი ერჩივნათ. ნაგლო-სექსების შთამომავალთა და მათი თანამოძმეების მიერ შექმნილ თავისუფალ და სამართლიან სახელმწიფოში მაინც დავიღუპებითო, ამბობნენ ისინი. თუმცა, გვირგვინას სამეფოდან აყრილთა უმეტესობა, მაინც ბედნიერი მომავლის იმედით ადგებოდა შორეულ გზას.

შორეული სამეფოებისკენ ბევრი მიდიოდა, მაგრამ უკან აღარავინ ბრუნდებოდა ან რატომ უნდა დაბრუნებულიყვნენ? მიდიოდნენ იქ, სადაც, ყველა ცხოველისთვის და მათ შორის ძაღლთა მოდგმისთვის ხორცი და რძე თავზესაყრელი ყოფილა. ჰო, მიდიოდნენ... ჩადიოდნენ და ზოგი ბედნიერებას პოულობდა, ზოგი ბედნიერების პოვნას ვინ ჩივის, საკუთარ სიცოცხლესაც კარგავდა. ხოლო ის, ვინც ჯოჯოხეთადქცეულ სამშობლოდან გაქცევას ვერ ახერხებდა, დღენიადაგ ბედნიერი ორშაბათის დადგომის მოლოდინში ათენებდა და აღამებდა.

ამასობაში მეფისგან ვითომ განდევნილმა, სინამდვილეში კი თავად მეფის დაკრულზე მოცეკვავე „დიდმა სამეულმა“ ჯერ სახელად „ძაღლის ძალა“ დაირქვა, ხოლო შემდეგ სახელმწიფოსგან კატეგორიულად მოითხოვა ქვეყანაში გამოეყვანათ ძაღლის ახალი ჯიში, უფრო ზუსტად, შეექმნათ ვეგეტარიანელი, ბალახისმჭამელი ძაღლი, რომელსაც ერთნაირი წარმატებით შეეძლებოდა, როგორც ნაყოფის მოსაკრეფად ხეზე ცოცვა, ისე წყალმცენარეების მოსაპოვებლად ზღვის ფსკერზე ჩასვლა და იქ დიდი ხნით დარჩენა.

როგორც ხედავთ, მეფეს სურდა, რომ საკუთარ სამეფოში მცხოვრებნი, რაც შეიძლება მინიმალური ხარჯებით გამოეკვება. ჰოდა, ამ სამეულსაც სხვა რა უნდა ექნა, გარდა კუდის ქიცინისა, სისულელეების კეთებისა ან იგივე სისულელეების დარეხვებისა? არც არაფერი.

ცხადია, გვირგვინასგან მიწოდებულ და სამეულის პირით გაჟღერე-

ბულ იდეას, რომ ბალახისმჭამელი ძაღლის ჯიში გამოეყვანათ, საზოგადოება დაცინვითა და ყეფით შეხვდა, ამათმაც, დაცინვა და ყეფა ეგრე არ უნდაო და, დამატებით კიდევ რამდენიმე, არანაკლებ სულელური მოთხოვნა მიაყოლეს. თუმცა, ამ სამეულისგან, ალბათ ძველი მოთხოვნებიც გვახსოვს, რომლებიც გვირგვინას მაგიდაზე იდო და გამომზიურებას ელოდა.

ჰოდა, დადგა დრო, როცა ფურცელზე დაწერილ ძველ მოთხოვნებს ახალი მოთხოვნებიც დაემატა, ხელახლა გადამუშავდა, რაღაცები გადაკეთდა-გადმოკეთდა და ყველაფერი ერთად გამოცხადდა, ბუნებრივია, სამეულის ბაგეებიდან.

აი, ეს მოთხოვნებიც:

ქვეყანაში შექმნილი მდგომარეობიდან გამომდინარე, კატეგორიულად მოვითხოვთ:

აიკრძალოს ისეთი ცეკვები, რომლებიც არ შეეფერება ჩვენს ჯიშსა და ჯილაგს. ეს ცეკვებია ბრეიქ-დანსი, ლამბადა, ჩა-ჩა-ჩა, ფოქსტროტი, პოლკა, მაზურკა.

ჯერ შეიზღუდოს, შემდეგ კი საერთოდ აიკრძალოს ნაგლო-სექსების შთამომავალთა ქვეყანაში შექმნილი კოკა - კოლას ჩვენში რეალიზება და დალევა.

იმ მიზეზით, რომ ძაღლების წინაპრები მგლები იყვნენ, მგლები კი ისეთივე გარეული ცხოველები არიან, როგორც დათვები, მოვითხოვთ, ძაღლებსა და ჩრდილოურ დათვებს შორის დამყარდეს ნათესავური კავშირი, რაც საუკუნის ზავით დადასტურდება.

ფაქტია, რომ ჩვენს ქვეყანაში დემოკრატიის აყვავებამ ოპოზიციის ლპობა და გახრწნა გამოიწვია. აქედან გამომდინარე, ეს ლპობა და გახრწნა, სამეფოს ყველა კუთხე-კუნჭულს რომ არ მოედოს, აუცილებელ ნაბიჯად მიგვაჩნია, თუნდაც გარემოს სანიტრების მისიით ჩვენს ქვეყანაში მოხდეს ჩრდილოური დათვების მიგრირება.

ჩვენს სტუმართმოყვარე ქვეყანაში ჩრდილოეთიდან მიგრირებული დათვების ადგილობრივ ძაღლებთან, ანუ მგლების შთამომავლებთან უკეთ ინტეგრაციის მიზნით, გაიხსნას ძაღლურ-დათვური კულტურული ცენტრები.

ვინაიდან და რადგანაც ჩვენი დიდი წინაპრები, ანუ მგლები დალტონიკები არიან, ჩვენც, როგორც ტრადიციებისა და ისტორიის დამფასებლებს ვალდებულება გაგვაჩნია, მათ გზას მივყვეთ. უფრო

კონკრეტულად კი, საჭიროა ქვეყანაში ავკრძალოთ ცისარტყელას ნათელი ფერები, მაგალითად, წითელი, მწვანე და ასე შემდეგ.

ეს ძველი მოთხოვნები, ახლა ამას დაუმატეთ ახალი მოთხოვნებიც:

1) სახელმწიფო დროშიდან ამოღებული იქნეს წითელი ფერი და მისი ადგილი დაიკავოს შავმა ფერმა.

2) ქვეყნის მოქალაქეებს ყველანაირად შეეწყოთ ხელი საკუთარ სამმობლოდან უკანმოუხედავად გაქცევის საქმეში, რადგან სახელმწიფოში ცოტა მოქალაქის ყოფნა, ცოტა პრობლემის საწინდარია, ბევრი მოქალაქე კი, შესაბამისად ბევრ პრობლემას ქმნის.

3) ოპოზიციას ღამით დედაქალაქში აეკრძალოს დაყეფება, რეგიონებში კი, თუნდაც კისერი უტეხიათ, იქიდან მეფეს და მის გარემოცვას ვერ შეაწუხებენ.

4) ქვეყნის მოსახლეობას აეკრძალოს დასავლური სატელევიზიო არხებისა და სოციალური ქსელების ყურება-გამოყენება. ამ აკრძალვისგან უნდა გათავისუფლდნენ მხოლოდ სამეფო სასახლის წევრები, მეფის მიერ ხელდასმული ელიტპერსონები, ხელისუფლების წარმომადგენლები და მათი სატელიტები, რადგან ისინი ზემოხსენებულ არხებსა თუ სოცქსელებს საქმიანი მიზნებისთვის იყენებენ, მოსახლეობა კი მხოლოდ გართობისთვის იყენებს.

5) ჩრდილოური დათვების სამეფოსთან მეგობრულ-ძმური ურთიერთობების განმტკიცების მიზნით, ჩვენს ქვეყანაში მრავლად გაიხსნას დათვის ღმუილის ხმის ჩამწერი სტუდიები.

6) ვინც ჩვენს ქვეყანაში ჩრდილოეთიდან შემოვარდნილ დათვს დაუყეფს, სამი დღით ყველანაირი საკვები პროდუქტის მიღება აეკრძალოს, ხოლო ვინც ჩრდილოეთიდან შემოვარდნილ დათვს უკბენს, სამი დღით წყლის დალევაც აეკრძალოს.

7) ჩვენი სამეფო კარის სახელოვან მეცნიერ-მუშაკებს დაევალოთ სასწრაფოდ გამოიყვანონ ძაღლის ახალი ჯიში, უფრო ზუსტად, შექმნან ვეგეტარიანელი, ბალახისმჭამელი ძაღლი, რომელსაც ერთნაირი წარმატებით შეეძლება, როგორც ნაყოფის მოსაკრეფად ხეზე ცოცვა, ისე წყალმცენარეების მოსაპოვებლად ზღვის ფსკერზე ჩასვლა და იქ დიდი ხნით დარჩენა.

ამ განცხადების გამოქვეყნების შემდეგ, ზემოხსენებულ სამეფულთან დაახლოვებული და გვირგვინას ოჯახის თამადა, პატივცემული

დალდო ექიმი მთლად შორს გაიჭრა და გამოვიდა წინადადებით, დაბადების პროცესში მყოფი ყველა ლეკვისთვის ეკითხათ, სურდა თუ არა ამ გაფურჩქნულ ქვეყანაში ცხოვრება და მეფის სამსახურში ყოფნა? თუ ლეკვი თანახმა იქნებოდა, მიეცათ დაბადების უფლება, თუ არა და, უკან დაებრუნებინათ.

მოიცა, მოიცა, თუ ლეკვი ამ ქვეყანაში ცხოვრებაზე უარს იტყვის, უკან სად დავაბრუნოთო? ჰკითხა ერთმა დაკვირვებულმა ინტელიგენტმა დალდოს. სად დავაბრუნოთ და, დედის უკანალშიო, იყო სამედიცინო საკითხებით გადაღლილი დალდო ექიმის პასუხი.

ამის გაგონებაზე, გვირგვინამ ბრძანა, ეტყობა, დალდო ექიმი ძალიან გადაიღალა და გარკვეული დროით დასვენებას საჭიროებსო. მართლაც, საამაყო ექიმი და თამადა რაღაც დამაწყნარებელი საშუალებებით გაჭყიპეს, დააძინეს და ასე ლამაზად დაადუმეს, ამიტომ ჩემს მონათხრობში დალდო ექიმზე საუბარი აღარ მექნება. მეტი აღარ გამოჩენილა და იმიტომ.

## 12 თავი

ერთხელ გვირგვინასთვის აქლემების სამეფოდან ჩამოსულ რომელიღაც მბრძანებელს თუ მბრძანებლობაზე მეოცნებე მეგობარს მორიდებით უკითხავს, ძალიან მაინტერესებს, როგორ ახერხებ ასეთ გაძაღლებულ ქვეყანაში სიტუაციის ისეთნაირად გაკონტროლებას, რომ საზოგადოების საკმაოდ მოზრდილი ნაწილი ინერტულია, ფაქტობრივად არაფერზე არ რეაგირებს და შენზე გმირულ ლეგენდებს თხზავსო? ამაზე გვირგვინას გასცინებია და უპასუხია, ძალიან მარტივადო. მაინც როგორ, კაცო, როგორ, მე, მაგალითად, გადავყევი მთელ ჩემს ქვეყანას, მაგრამ წლები ისე გადის, ლეგენდების შეთხზვა კი არა, საერთოდ არავის ვახსენდები და კარზეც არავინ მიკაკუნებსო, დამწუხრებული სახით უთქვამს სამხრეთიდან ჩამოსულ სტუმარს. როგორ ვახერხებ, ჩემო კარგო და, საზოგადოება რომ მართო, დიდი შესაძლებლობები, ანუ ფული უნდა გქონდეს, მაგრამ სულაც არ არის აუცილებელი ეს დიდი ფული დახარჯო, დიდი ფული მხოლოდ უნდა გქონდესო, რაღაც ბუნდოვნად უთქვამს გვირგვინას. ამგვარ პასუხზე სამხრეთიდან ჩამოსული მბრძანებელი თუ მბრძანებლობაზე მეოცნებე სტუმარი სულ მთლად დაბნე-

ულა და გაოცებულს უთქვამს, მეგობარო, ფული მეც ყელამდე მაქვს, ის კი არა, მომიტევე და, შენზე ბევრად მდიდარი ვარ, მაგრამ ჩემი აქლემების ჯოგის ისეთ ერთ მასად გადაქცევა, რომ მთელი ქვეყანა თვალებში შემციცინებდეს, ხელში მყავდეს აყვანილი და ჩემზე ლეგენდებს თხზავდეს, ვერანაირად ვერ მოვახერხეო. მერე, რას აკეთებ იმისთვის, რომ მთელი ეგ შენი აქლემების ქვეყანა თვალებში შეგციცინებდეს, ხელში გყავდეს აყვანილი და შენზე ლეგენდებს თხზავდნენო? უკითხავს გვირგვინას სამხრეთიდან სტუმრად ჩამოსული მეგობრისთვის, რაზეც სამხრეთელ მბრძანებელს თუ მბრძანებლობაზე მეოცნებეს ასეთი პასუხი გაუცია: რას ვაკეთებ, ჩემო მეგობარო და ყველა ოჯახს ოქროს სასახლე ავუშენე, ყველა ოჯახის თითო წევრს ოთხმოცი წლის მარაგი პროდუქტები (თივა, ფოთლები, ყლორტები) დაკონსერვებული სახით გადავეცი, თითოეულ აქლემს საბანკო ანგარიში გავუხსენი და საკმაოდ მსუყე თანხები ჩავურიცხე, სამეფოში ხარკის გადახდა მინიმუმამდე დავიყვანე, უფასო მკურნალობა შემოვიღე, უფასო განათლება დავნერგე, უდაბნოში ონკანები დავაყენე, საიდანაც შემდეგი ოთხმოცი წლის მანძილზე წყალი, თაფლი და რძე უფასოდ ითქრიალებს. ჰოდა, ახლა გეკითხები, ამაზე მეტი, კიდევ რა სიკეთე უნდა ვაკეთო, რომ ჩემმა აქლემებმა პირდაღებულებმა მიყურონო?

ჰო, აბა, მეტი რაღა უნდა გაეკეთებინა კაცს, რომ ცხოველთა ჯოგი, სამარის კარამდე მისი ერთგული ყოფილიყო? ერთი შეხედვით, მეტი არაფერი, რადგან აუყვავებია და გაუბედნიერებია საკუთარი ქვეყანა ვიღაც სამხრეთელს, მაგრამ გაძაღლებული ქვეყნის მეფე სულ სხვაგვარად ფიქრობდა:

- მაპატიე და ძალიან მიამიტურად მოქცეულხარ! - იყო გვირგვინას პასუხი.

- იქნებ უფრო კონკრეტულად ამიხსნა, ჩემს ქვეყანაში გაჭირვება რომ ამოვძირკვე და სამათხოვროდ რომ აღარავის ხელი გაშვერილი აღარ აქვს, ეს არის მიამიტობა? - გაოცებული იყო სტუმარი.

- მიამიტობაა, მეგობარო, მიამიტობა, ამიტომ, გეკითხები და გამეცი პასუხი, აქლემი რამდენი წელი ცოცხლობს? - ჰკითხა გვირგვინამ.

- მაქსიმუმ ორმოცი წელი შეიძლება იცოცხლოს, ისიც ძალიან იშვიათ შემთხვევაში, მაგრამ აქლემის ასაკი აქ რა შუაშია? - დაინტერესდა სამხრეთიდან ჩამოსული.

- ჰოდა, ჩემო კეთილო მეგობარო, არსებას, რომელსაც მხოლოდ ორმოცი წლის სიცოცხლე აქვს გამოწერილი და შენ მას ყველანაირ

ამქვეყნიურ სიკეთესა თუ კომფორტს ოთხმოცი წლით ჩუქნი, მიამიტობაა, აბა, რა არის?

- მაინც ვერ მივხვდი.

- რა კეთილი და მიამიტი ხარ, მეგობარო. - გაეცინა გვირგვინას.

- იქნებ უფრო კონკრეტულად ამიხსნა, რას ვაკეთებ ცუდს ამ დახმარებებით?

- კარგი, აგიხსნი. მაშ ასე, შენ შენსავე ქვეყანაში ვიღაცებს დიდძალ ქონებასა და უზრუნველ ცხოვრებას ჩუქნი, თანაც, ისე და იმგვარად, რომ მათ შეუძლიათ მთელი დარჩენილი ცხოვრება უზრუნველად გაატარონ. არადა, როგორც შენგან გავიგე, აქლემი თურმე ორმოც წელს ცოცხლობს, შენ კი მას ოთხმოცი წლით აბედნიერებ. სასაცილოა, არა? ნამდვილად სასაცილოა, რადგან შენგან წყალობამიღებულმა ცოცხალმა არსებამ მთელი დარჩენილი ცხოვრება სიამ-ტკბილობაში უნდა გაატაროს, მაგრამ შენ ეს გაწყობს? არანაირად არ უნდა გაწყობდეს, ვინაიდან, თუ ვინმე მონად გჭირდება, მას არასდროს იმდენი არ უნდა მისცე, რომ მან მთელი დარჩენილი ცხოვრება მოიწყოს ან დიდი ხნით უზრუნველი გახდეს და მერე შენ აღარაფერში დასჭირდე. დამიჯერე, თუ ცოცხალ არსებას გააძღობ და უზრუნველ ცხოვრებას აჩუქებ, მას აღარასოდეს აღარ გაახსენდები და შესაბამისად საკუთარი უკანალის მლოკველ მონადაც ვეღარ დაიყენებ. აი, ვიღაცების სანახევროდ გაძღომა კი სულ სხვა საქმეა, გადაუგდებ მათ პურის მცირე ნაჭერს, რომ სიმშილით გული არ წაუვიდეთ და ისინიც შენი მონები არიან. ჰო, აბა, რა, დღეს ცოტას აჭმევ, ოღონდ არ გააძღობ და ხვალ, ისევ შენთან მოვლენ, მერე ისევ მცირედს გადაუგდებ და ცოტა ხნის შემდეგ კიდევ მოვლენ, კიდევ მცირედს გადაუგდებ, რომ შიმშილით სული არ გაეპაროთ და მალე ისევ მოგიბრუნდებიან სამათხოვროდ... ასეა ცოცხალი ორგანიზმი მოწყობილი, ჭამა ყველას უნდა, შენ კი ისეთი მასა გჭირდება, რომლის წევრებიც ყოველ დღე თუ არა, ყოველ თვე მაინც შენს კართან იქნებიან ატუზულები შენგან წყალობის მისაღებად. ამიტომ, ჩემი რჩევაა, შენ, უმდიდრესმა ადამიანმა მიწაზე გართხმული ცოცხალი არსება არასოდეს ფეხზე სრულად არ წამოაყენო, მხოლოდ მუხლებზე დააყენე, რომ შენს პირად მონად და მათხოვრად აქციო. თუ ასე იცხოვრებ, ყველა ღარიბ-ღატაკის სული მუჭში გექნება მოქცეული. ხომ გამიგე, მეგობარო, შენი ძალიან ახლობლების გარდა, არავის უზრუნველი ცხოვრება არ მოუწყო, მხოლოდ ცოტ-ცოტა გადაუგდე ხოლმე, რომ მუდამ ხელგაწვდილი მონები გყავდეს.

- გენიალურია! რაც შენ ახლა მითხარი, ეგ უკვე ფსიქოლოგიაა, ცოცხალ არსებებთან ქცევის წესების სიბრძნეა, - აღფრთოვანებით ამბობდა სამხრეთელი სტუმარი, გულში კი ფიქრობდა, რა გაიძვერა აფერისტია ეს არაკაცი, ესაო.

- ვიცოდი, რომ მოგეწონებოდა. - ამაყი იყო გვირგვინა.

- მერედა, საიდან ეგ ყველაფერი? სად გაქვს ეგ სიბრძნე წაკითხული?

- არა, წაკითხული არ მაქვს, ჩრდილოური დათვების ხელმწიფემ მასწავლა. ჭკვიანი კაცია, ჩემი მეგობარია.

- ااااا, ჩრდილოური დათვების ხელმწიფე? დიდ სისხლისმსმელს რომ ეძახიან, იმაზე ამბობ?

- ცდები, მეგობარო. როგორ შეიძლება, ადამიანი სისხლს სვამდეს? აბა, ერთი გასინჯე, რა გემო აქვს სისხლს, წარმოუდგენელია მისი დალევა. ეგეც რომ არა, საიდან მოგაქვს, რომ ეგ კაცი სისხლისმსმელია? იცნობ მას? - ჩრდილოური დათვების ხელმწიფეს ადვოკატად დაუდგა გვირგვინა.

- არა, არ ვიცნობ და მასთან არასდროს არანაირი შეხება არ მქონია. უბრალოდ, დასავლეთ ევროპაში ასე ლაპარაკობენ და იქაური პრესაც ასე წერს.

- ოჰ, ისევ დასავლეთი! ეგ თხები, ეგენი. ჭკვიანი კაცი ხარ და დასავლეთიდან გავრცელებულ რაღაც ჭორებს, ყურს როგორ უგდებ? შენი გამკვირვებია, მეგობარო.

- ჰო, შეიძლება არც არის სისხლისმსმელი და ყველაფერი გაზვიადებულია. თუმცა, მაგ საკითხს ახლა თავი დავანებოთ და უმთავრესზე გადავიდეთ, წუხელის რომ დამიწყე ლაპარაკი და რომ ვერ დავამთავრეთ. ესე იგი, რაღაც ექსპერიმენტზეა ლაპარაკი, ჰო? - იკითხა სტუმარმა.

- სალაპარაკო რაღაა? ჩათვალე, რომ შენც ექსპერიმენტის მონაწილე ხარ.

- ვინ იქნებიან მაგ საქმეში ჩართულნი?

- ჩრდილოური დათვების ხელმწიფე, აღმოსავლური ვეფხვების იმპერატორი, შენ, ანუ სამხრეთული აქლემების მბრძანებელი და მე, საძაღლეთის მეფე-განმგებელი.

- დიდებული კამპანიაა, - გაეღიმა სამხრეთელ მბრძანებელს.

- კიდევ ერთ რაღაცას გეტყვი, უფრო ზუსტად, საკუთარ დაკვირვებაზე მოგახსენებ. მაგალითად, ამასწინათ, ჩემს სამეფოში მცხოვრები ორი დაბეჩავებული ძაღლის ფარული ჩანაწერი მომიტანეს და ძალიან კმაყოფილი დავრჩი. რითი დავრჩი კმაყოფილი, იცი? მოგეხსენება, ძაღლებიც ისევე ჭამენ, სვამენ, ქეფობენ და დროს ატარებენ, როგორც შენი აქლემები და როგორც ჩვენ, ადამიანები. ჰოდა, ჩემს სამეფოში მცხოვრები ერთი დაბეჩავებული ძაღლი მეორე დაბეჩავებულ ძაღლს ეუბნებოდა, წუხელის მაგრად შევუბერეთ, ანუ ვიქეიფეთო. სად იქეიფეთო? ჰკითხა მეორემ. სად და, ოცნების გორაზე ნაგვის ბუნკერთან მე და ჩემმა ერთმა ძმობილმა საკმაოდ მოზრდილი ძვალი დავითრიეთ, მერე ერთმა სპირტი მოიტანა, რომელიც წყალში გავურიეთ, იქვე შავი პურის ყუაც ვიპოვეთ და მაგარად ჩავსიყვარულდით, კარგი დრო გავატერეთო...

- მერე, რა არის მანდ კარგი, რაღაც მათხოვრული სუფრა ჰქონიათ! - ცხვირი აიბზუა სტუმარმა.

- ჯერ არ დამისრულებია მოყოლა. ჰოდა, ის ერთი მეორეს ეუბნება, იცი, რას გეტყვი, ძმობილო? მე ასეთი ცხოვრება უფრო მომწონს; ძვალი, პური, დასალევი და კეთილი გული, სულ არ მინდა და არც მჭირდება მდიდრული სუფრები, აქ, მშობლიურ უბანში, ნაგვის ბუნკერთან უფრო ლაღად ვგრძნობ თავს და უფრო მიყვარს დროსტარებაო. გესმის? ნაგვის ბუნკერთან მირჩევნია ქეიფიო. ესე იგი, გამოდის, რომ ტყუილად არ მიწვალია ამდენი წელი. ჩემი დაუღალავი გარჯის შედეგად, საზოგადოება ისე გამიღატაკებია, რომ მისთვის ბედნიერება არა სადმე მდიდრულ კამპანიაში მოხვედრა, არამედ მხოლოდ ერთი ძვალზე, შავი პურზე და წყალგარეულ სპირტზე ძღომა-თრობა ყოფილა. და კიდევ, რატომ ვარ ამით ბედნიერი, იცი?

- არ ვიცი.

- ასეთ ღარიბ-ღატაკებსა და დაბეჩავებულ საზოგადოებას ძალიან ადვილად, სულ რაღაც რამდენიმე ძვლის გადაგდებით ვიყიდი. აი, გამაძღარისა და მდიდრის ყიდვა კი ძვალზე გაცილებით ძვირი დამიჯდება და ამიტომაც არ მჭირდება მდიდრები. ჩემს სამეფოში გამაძღარი და მდიდარი მხოლოდ ჩემი საახლობლო და ჩემგანვე ხელდასმული მცირერიცხოვანი ელიტა უნდა იყოს, სხვა დანარჩენი კი სიმშილისგან სულს უნდა ღაფავდეს, რომ იაფად ვიყიდო და შემდეგ გამოვიყენო.

- შენს დაქვემდებარებაში მყოფი საზოგადოების გაღატაკება-დაბეჩავება, ეგეც იმ საქმის ნაწილია, რისთვისაც ოთხეული უნდა შევიკრიბოთ? - ყოველ შემთხვევისთვის იკითხა სამხრეთელმა.

- ცხადია!

- მაშ, ექსპერიმენტი?! - ჩაილაპარაკა სტუმარმა.

- ექსპერიმენტი № 41, - თქვა გვირგვინამ და მეგობარი გაშლილ სუფრასთან მიიპატიჟა, თან დააყოლა, დროს ნუ ვკარგავთ, დროზე დავსხდეთ, თორემ სელაპის ხაშლამა თუ გაცივდა, თავის გემოსა და არომატს დაკარგავსო.

## 13 თავი

ჩვენ ვცხოვრობთ სტაბილურ ქვეყანაშიო, ერთხმად იმეორებდნენ მეფის ჯიბეს გამოკერილი ელიტპერსონები და სულაც არ დარდობდნენ, რომ მათ ქვეყანაში სტაბილური მხოლოდ დეტაბილიზაცია და ადგილობრივი მოსახლეობის გაღატაკება-გადაგვარება იყო.

დიახ, გვირგვინას სამეფო იყო სტაბილური დესტაბილიზაციის სამეფო.

აბა, რა, შიმშილისგან დაოსებული ძაღლები, ხმას რომ ვერ იღებდნენ და მიწაზე დაბობღავდნენ, ამას თუ სტაბილიზაცია ერქვა, მაშინ, კი, ბატონო, ნამდვილად სტაბილური ქვეყანა ჰქონია გვირგვინა მბრძანებელს.

გვირგვინას სასახლიდან არც თუ ისე მოშორებით, მდინარე მტკვიკრიკას მარჯვენა სანაპიროზე ქალაქის ცენტრალური გამზირი მდებარეობდა, თავისი მიმდებარე ქუჩებითა თუ პატარ-პატარა სკვერებით. ეს ადგილი სხვა ყველაფერთან ერთად იმითაც იყო ცნობილი, რომ პროტესტანტთა მასა ძირითადად აქ იკრიბებოდა და თავსგასულ ხელისუფალს აქედან უტევდა. ყოველივე ათწლეულების ტრადიცია იყო და რა გასაკვირია, რომ მეფე გვირგვინას წინააღმდეგ აზვირთებული ტალღაც ძირითადად სწორედ აქედან იღებდა ხოლმე სათავეს.

წარმოიდგინეთ, ცენტრალური გამზირი სავსეა პროტესტანტი ძაღლებით, რომლებიც საკუთარი ქვეყნის მბრძანებლის, ანუ ადამიანადწოდებული არსების, მეფე გვირგვინას გადადგომასა და საარსებო პირობების გაუმჯობესებას მოითხოვენ. საარსებო პირობების გაუმჯობესებაში კი დიდი არაფერი იგულისხმება, უბრალოდ, ძაღლები მეფისგან მოითხოვენ, ხანდახან, გამოხრილი ძვლის მაგივრად ხორციც გადმოგვიგდე ხოლმეო, მაგრამ ჭკუანაკლული გვირგვინა იმის ჩიტი არ იყო, რომ საკუთარი გარემოცვის გარდა, ვინმესთვის ხორცის მსუყე ნაჭერი გადაეგდო და ძაღლური ბედნიერება ეჩუქებინა. ამისთვის ძირითადად მაინც სამი მიზეზი არსებობდა: პირველი მიზეზი ის იყო, რომ უბოროტესი არსება გახლდათ გვირგვინა მბრძანებელი. მეორე მიზეზი ის იყო, რომ დოვლათსა და სიკეთეს ყველას თუ თანაბრად გაუნაწილებდა, მაშინ საკუთარ საახლობლოსა და გარემოცვას სახრავ-საღეჭი მოაკლდებოდა, რაც არანაირად არ აწყობდა გვირგვინა მბრძანებელს. ხოლო მესამე მიზეზი ის იყო, რომ ჩრდილოური დათვების მბრძანებელთან ახლობლობდა გვირგვინა მეფე, რომლისგანაც, ბუნებრივია, სიკეთისა და მატერიალური დოვლათის მასებში თანაბრად გადანაწილება აკრძალული ჰქონდა.

ითხოვე და მოგეცემაო, ნათქვამია, მაგრამ გვირგვინას უკუღმართ სამეფოში, მეფის მიერ შექმნილი ელიტისა თუ აქტივის გარდა, არავის ახსოვდა, რომ რამე მოეთხოვოს და მერე მიეღოს. არა და არა, გვირგვინას გაძაღლებულ სამეფოში ასეთი რამ გამორიცხული იყო. იცოდნენ ძაღლებმა, საკუთარ მოთხოვნებს ასრულება არ ეწერათ, თუმცა, მაინც ითხოვდნენ, პროტესტს გამოთქვამდნენ, ბრძოლობდნენ. თან საინტერესო ის არის, რომ ყველა ბრძოლის წინ ამბობდნენ, დღეს გადამწყვეტ ბრძოლას ვიწყებთო, და გრძელდებოდა ეს გადამწყვეტი ბრძოლები ასე უსასრულოდ, უსაშველოდ თვეებისა და წლების განმავლობაში.

ეს ამბავი კი უფრო ადრე მოხდა. მოკლედ, კიდევ ერთხელ შეიკრიბა აღშფოთებული საზოგადოება, ოღონდ უკვე მერამდენედ, ამას ვერანაირი ჟამთაღმრიცხველი ვერ მოსთვლის. დიახ, შეიკრიბა განაწყენებული საზოგადოება იქ, სადაც მანამდე  მრავლად შეკრებილა.

ლიდერი? თუ მას ლიდერი ერქვა, რა თქმა უნდა, ჰყავდათ ხოტორას სახით. ძაღლი ერთი შეხედვით კუნთმაგარი და მებრძოლი, თუმცა, ნაკლებად რისკიანი. ამიტომ საკუთარი გარემოცვაც კი ხოტორას საყვედურებით ავსებდა, თუ ლიდერი ხარ, გაგვიძეხი წინ და იყეფე ისე, რომ

არე-მარე გაყრუვდეს, ხოლო მთებმა ჩამოფშვნა დაიწყონო. მაგრამ ძაღლის კუდის გასწორებასავით ურთულესი საქმე ყოფილა ხოტორასგან ლიდერის გამოძერწვა. არადა არ დაადგა ამ საქმეს საშველი. თავად წარმოიდგინეთ: როგორია, მიდის ბრძოლა, ყეფა, ღრენა და ამ დროს ბრძოლის ცენტრიდან ინფორმაცია მოდის, რომ თუმე ხოტორა თანაგუნდელებს ამშვიდებდა, არ აღელდეთ, არ აჩქარდეთ და ცოტა მეტი სიდარბაისლე შეინარჩუნეთო. რა სიდარბაისლე, შენ ხომ არ გაგიჟდი, ძაღლები ვართ, გედები კი არაო, უთქვამს ძალიან აქტიურ ხლაბეს, რაზეც ხოტორა გაბრაზებულა და მისთვის სულ მტრისგან შეგზავნილი აგენტი უძახია. შდეგად, ხოტორას ერთგულ გარემოცვას ხლაბე მკაცრად გაუკიცხია, თავად ხოტორას კი ამაყად უთქვამს გარშემომყოფელებისთვის, საკმარისი რაოდენობის თანამებრძოლი არ მყავს, თორემ ბრძოლას მე ნურავინ მასწავლისო.

ჰო, აბა, რა, ყოველთვის ასე იყო და ამჯერადაც ასეა, თანამებრძოლთა სიმცირეს იწუნებს ხოტორა, თორემ ის იქ ამბებს დაატრიალებს, მტრისას. თუმცა, მაინც იბრძვის, შიგადაშიგ, ვითომ ყეფს, მაგრამ ბოროტი ენები ამბობენ, ხოტორა კი არ ყეფს, კნავისო. განსაკუთრებით გუმლიკა იქაჩება და ამბობს, პასიური აქტივის დრო დამთავრდა, ვისაც სიმშვიდე გინდათ, წადით სახლში და დაიძინეთო.

კი, მაგრამ, ამით რისი თქმა გინდაო? შეუძახეს აქეთ-იქიდან გუმლიკას.

რისი თქმა უნდა და, გუმლიკა ძაღლია, თანაც საკმაოდ მრავალბრძოლაგამოვლილი და საკუთარი მოდგმის ჭეშმარიტად პატრიოტი ძაღლი, ამიტომ ვერ იტანს უსამართლობას, გაუტანლობასა და ღალატს, განსაკუთრებით ლდერი თანამებრძოლის მხრიდან. ჰოდა, ყველაფერს იტყვის გუმლიკა... იტყვის, რომ ჩვენს გადამწყვეტ ბრძოლას ასეთი ლაჩარი ლიდერი, როგორიც ხოტორაა, არ შეეფერება და სასწრაფოდ სხვა ლიდერი უნდა გამოვძებნოთ, თორემ გვირგვინა და მისი ჭკუამხიარული გარემოცვა ჩვენს დანახვაზე უკვე სიცილს ვერ იკავებენო. ცხადია, გუმლიკას ამ ნათქვამს თანამებრძოლთა ერთი ნაწილი თავის დაკვრით შეხვდება, ხოლო მეორე ნაწილი განსხვავებული აზრის მქონე თანამოძმეებს შეგზავნილებს დაუძახებს და ატყდება ერთი ვაი-უშველებელი. შედეგად, ბრძოლის ცენტრი აქეთ, პროტესტანტთა რიგებშიც გადმოვა და წავა ყეფა-ღრენა მამა-პაპური. გვირგვინას და მის ჭკუამხიარულ გარემოცვასაც მეტი რა უნდათ, იცინიან, დასცინიან, იფხორებიან, იმუქრებიან. ამასობაში ეს დაწყე-

ვლილი საძაღლეთი სულ მთლად პარტახდება, მიწასთან სწორდება, მაგრამ მშველელი არ არის, ქვეყანა უფსკრულისკენ მიექანება.

...და, აჰა, უკვე უფსკრულშია.

ხოლო ბრძოლა მიდის ორ ფრონტზე, გვირგვინას სასახლესთან და თავად პროტესტანტთა რიგებში. კვამლი აქეთ, კვამლი იქით, სისხლი აქეთ, სისხლი იქით. გარეთ გამოსულია თითქმის  მთელი ქვეყანა, გვირგვინას გარემოცვა კი თბილად საკუთარ სასახლეებში მოკალათებულა და გეგმას გეგმაზე ადგენს, როგორ დაშალოს, უფრო ზუსტად, როგორ გაანადგუროს პროტესტანტთა მძლავრი ტალღა.

და, აი, გვირგვინას სასახლიდან ბრძანება მოდის - თვალები, თვალები დასთხარეთ მაგ არამზადებს.

თუმცა, პირდაპირ თვალების დათხრა, მაინც სადისტურად ჟღერს და ამაზე, შეიძლება დასავლეთმა გვირგვინას სამეფოში გემრიელი სასუსნავების შემოტანა აკრძალოს. არადა, გვირგვინას მიერ ნაკურთხი ელიტა თუ მისი გარემოცვა შეჩვეულია დასავლურ გემრიელობებს, განსაკუთრებით ხორცის კანფეტებს და ამიტომ, ასე პირდაპირ დასავლეთთან სიტუაციის გამწვავება არ  ღირს, ჰო, არ ღირს მანამ, სანამ ჩრდილოური დათვების სამეფო თავის პრობლემებს არ მოაგვარებს. მერე კი, ჩრდილოეთიდან გვირგვინას გარემოცვისთვის ხორცის კანფეტიც მრავლად შემოვა, ძვლის ნახარშის ლიმონათიც და დასავლეთს ისე კოხტად დაიკიდებენ თათებზე, როგორც ჩრდილოური დათვების ხელმწიფეს დაუბარებია. თუმცა, ეს მაინც მომავლის საქმეა, დღეს კი ორმაგ თამაშში ჩართვა უწევს გვირგვინა მბრძანებელს. ისიც თამაშობს, მართალია, ძალიან უნიჭოდ, მაგრამ მთავარია, რომ ეს თამაში ჩრდილოელი მეზობლის სასარგებლოდ მიდის.

მოკლედ, თვალების დათხრის ბრძანება შეიცვალა, უფრო ლმობიერი გახდა და ასეთნაირად ჩამოყალიბდა - ესროლეთ ჩვენი ქვეყნის ამწიოკებელ პროტესტანტებს და თუ ვინმეს რამე დაუშავდება, ჯერ ერთი, ძაღლი კოჭლობით არ მოკვდება, და მეორეც, ჩვენ რა შუაში ვართ, ასეთ მეთოდებს ხომ დასავლეთში იქაური თხების დასარბევადაც იყენებენ?

- დიახ, გვირგვინა მბრძანებელო, დასავლეთში ასეთ მეთოდებს კი არა, უფრო უარეს მეთოდებსაც იყენებენ ადგილობრივი თხების დასარბევად, მაგრამ, ერთი რამ უნდა იცოდე, რომ ყველანაირად აწყობილ-დალაგებულ დასავლეთში, რამე რომ არ მოგწონდეს, თხა კი არა, ინტრიგანი ვირი უნდა იყო. აი, შენს უსამართლო და გულისა-

მრევ სამეფოში კი, პირიქით, თუ რამე მოგწონს, უეჭველი ინტრიგანი ვირი გამოდიხარ, რადგან წარმოუდგენელია, ვინმე ჭკუადმყოფელს შენს სამეფოში დამკვიდრებული უსამართლობა მოსწონდეს, - სრულ სიმართლეს ამბობს აქტივისტი კომბლე და... ჰოი, საოცრებავ, დამიზნებით ნასროლი რეზინის ტყვია პირდაპირ თვალში ხვდება.

თვალის ჩინის დაკარგვა ნებისმიერი ცოცხალი ორგანიზმისთვის, ფაქტობრივად, ერთი ლამაზი ცხოვრების დასასრულსა და მეორე, ამჯერად უკვე განახევრებული ცხოვრების დაწყებას ნიშნავს. ასე იყო კომბლეს შემთხვევაში და ბუნებრივია, ასე იქნებოდა სრულიად ახალგაზრდა მაკგოგოს შემთხვევაშიც, რომელსაც იმავე ღამეს, კომბლეს მსგავსად ერთი თვალის ჩინი წაართვეს, ისიც, ვითომ შემთხვევით გასროლილი რეზინის ტყვიით.

ასეა გვირგვინას სამეფო მოწყობილი, სიმართლის თქმისთვის, უბედურება სად დაგეწევა, არავინ იცის.

- რას ამბობთ, შემთხვევით ისროლეს, თორემ ტყვიას თვალში რა უნდაო? ეგეც რომ არა, გადავრჩით, რადგან ეგ ნაძირლები, დასავლელი თხების დახმარებით ჩვენი მშვენიერი საძაღლეთის გადატრიალებას აპირებდნენ და მერე რაღა გვეშველებოდა? - თავს იმართლებდნენ გვირგვინისტები.

- კი, მაგრამ, დასავლელ თხებს აქ რა ხელი აქვთ და რა უნდა უნდოდეთ? - კითხულობდნენ ზოგიერთები და გვირგვინისტებისგან ყეფა-ყეფით ასეთ პასუხს იღებდნენ:

- რა უნდა უნდოდეთ და ჩვენი კარგი ცხოვრება შურთ მაგ თხებს, მაგათ, და ცდილობენ, ჩვენც ისეთივე ბინძური, ნათელი ფერებით გაგვანათონ, როგორითაც თავად ნათდებიან.

როგორც ხედავთ, ისევ ნათელი ფერების სიძულვილსა და ისევ დასავლეთის წინააღმდეგ დარაზმვას აქვს ადგილი, იმ იმედით, რომ ჩრდილოური დათვების ხელმწიფე საკუთარ პრობლემებს მოაგვარებს და მერე სამხრეთულ საძაღლეთსაც მიხედავს.

ასე და ამგვარად, სამეფოს სათავეში მყოფი ძაღლები ოცნებობდნენ, იბრძოდნენ, მაგრამ მათი ოცნება და ბრძოლა არა იმდენად სამეფოში მცხოვრები ყველა ძაღლისთვის, არამედ უფრო საკუთარი საახლობლოსა და ჩრდილოური დათვების საკეთილდღეოდ იყო მიმართული. სამშობლო და თანამოძმენი კი ჭირსაც წაუღია. ეს გახლდათ გვირგვინას საძაღლეთში მცხოვრებთა უმთავრესი საზრუნავი.

ამიტომაც იყო, რომ იქ პატიოსნებასა და პატრიოტიზმს არანაირად არ დაედგომებოდა. ადგილობრივები გარბოდნენ, გარბოდნენ უკანმოუხედავად, ცხრა მთას იქით, თუმცა, მათ ადგილს სხვები იკავებდნენ, სხვა მოდგმისა და ჯიშის არსებები.

აი, ახლა, შემოდგომის ქარვისფერი კოცონია დანთებული დედამიწაზე. რის შედეგადაც სიყვითლე სჭარბობს ყველგან და ყველაფერში. თუმცა, შემოდგომა რამდენიმე თვეში მაინც დაიღლება, გაიცრიცება, გაიბზარება და წარსულს ჩაბარდება, ხოლო მის ადგილს ზამთარი დაიკავებს. მერე ზამთარი ფერადი გაზაფხულით შეიცვლება. ჰო, დადგება გაზაფხული და ბუნებაც ისევ გამოიღვიძებს, აყვავილდება, გაფერადდება. გაზაფხულის შემდგომ ზაფხული კიდევ უფრო ფერადი და სხივნათელი იქნება. რაც შეეხება შემოდგომას, ის განახლებული ენერგიით ისევ მოგვიბრუნდება, ოღონდ მას შემდეგ, რაც დაისვენებს და ძალებს აღიდგენს. ამას წელიწადის დროთა ცვლას ეძახიან, რომლის ძალასაც ვერც ადამიანი და ვერც ცხოველი წინ ვერ აღუდგება, ვერ დაუპირისპირდება. სამყაროს უზენაესისგან დადგენილი წესია ასეთი, წელიწადის ნებისმიერი დრო, როგორც არ უნდა მოგვწონდეს ან არ მოგვწონდეს, მაინც უნდა შეიცვალოს, დროებით თვალს მიეფაროს და თავის ხელახლა შემობრძანების ნებართვას დაელოდოს. ანუ დაღლილი მიდის, დასვენებული მოდის, ასეა ცხოვრება მოწყობილი. ალბათ იმიტომ, რომ ადამიანებს ერთფეროვნება არ მოგვბეზრდეს.

თორემ, რა, სამყაროს შემოქმედს განა გაუჭირდებოდა, მხოლოდ წელიწადის ერთი დრო, გაზაფხული ან ზაფხული რომ იდგეს დედამიწაზე და ყვავილები თუ ნებისმიერი მცენარეებიც ამ ერთ სეზონშივე რომ ითესებოდნენ, იზრდებოდნენ, იფოთლებოდნენ და ნაყოფს იძლეოდნენ?

ნამდვილად არ გაუჭირდებოდა, მაგრამ ზუსტად ამაშია ბუნების გენიალურობა ჩადებული, რომ სამყაროში მარადიული არაფერია, ნებისმიერი რამ იცვლება, ახლდება, ანუ ყველაფერი დრომოჭმული მიდის და შემდეგ უკვე სხვა, უფრო განახლებული სახით უკანვე გვიბრუნდება.

დიახ, შემოდგომა მიდის, ზამთარი მოდის, მერე ზამთარიც წავა და გაზაფხული მოვა, გაზაფხულის შემდეგ ზაფხული დადგება, ხოლო, როცა ზაფხული დაგვემშვიდობება, ისევ შემოდგომა მოგვიბრუნდება, მონატრებული, და რაც მთავარია, უფრო დასვენებული, ძალააღდგენილი...

და ასე იქნება მუდამ, უსასრულოდ, თითქმის მარადიულად.

სამყარო ამგვარადაა მოწყობილი და ცხადია, გვირგვინას სამეფოშიც ასე იყო, გაზაფხულს ზაფხული, ზაფხულს შემოდგომა, შემოდგომას ზამთარი, ხოლო ზამთარს ისევ გაზაფხული ცვლიდა. ბევრი რომ არ გავაგრძელოთ, იცვლებოდა წელიწადის დროები, მასთან ერთად ყველა ცოცხალი არსების განწყობაც, მაგრამ ერთადერთი, რაც იმ ქვეყანაში, წლებია არ იცვლებოდა, გაძაღლებულ ყოფაში ჩავარდნილთა ოცნება იყო: ოცნებობდა ყველა, დიდი თუ პატარა, ოღონდ საარსებო პირობების მსგავსად, მათი ოცნებებიც განსხვავდებოდა ერთმანეთისგან. მაგალითად, მეფის ნასუფრალით კარგად გამაძღარი და ჯამბაზადქცეული ადგილობრივი ელიტა ჩრდილოელ დათვთან ჩახუტებაზე ოცნებობდა, ღარიბ-ღატაკთა ოცნება კი მხოლოდ ხორციანი გემრიელობების ჭამა ან ნაგლო-სექსების შთამომავალთა რომელიმე ქვეყანაში გაქცევა  იყო.

გადიოდა დრო ასეთ ოცნებებში, სამარცხვინო ქვეყანა კი დღითიდღე მეფის გამონაცვალ ნიფხავს ემსგავსებოდა.

## 14 თავი

- დიდო მეფეო, ჩემი თანამოძმენი ამ ბედნიერი ქვეყნიდან გარბიან და ადგილზე, ფაქტობრივად, აღარავინ რჩება, სულ დაცარიელდა ქალაქები, სოფლები, ვენახები, ბაღები, სკვერები, - გულგახეთქილი შემოვარდა გვირგვინას ოთახში სალამურა.

- ჩემო სალამურა, ერთი ეს მითხარი, ამ უბედნიერეს ქვეყანაში შენ ხომ კარგად გეცხოვრება და არაფერი გიჭირს? - ჰკითხა გვირგვინამ სალამურას.

- თქვენი წყალობით, დიდო მეფეო, მართლა არაფერი არ მიჭირს და უბედნიერესი ვარ.

- ჰოდა, მაშინ, რაში გადარდებს შენი თანამოძმენი სად გადაიხვეწებიან? ჯანდაბის იქითაც გზა ჰქონიათ, - თქვა მეფემ და ჯიბიდან ყველა ძაღლისთვის საოცნებო, ხორცის კანფეტი ამოიღო.

- დიახ, დიდო მეფეო, ჯანდაბის იქითაც გზა ჰქონიათ, მთავარია, მე ხომ კარგად ვარ?! - ხორცის კანფეტის დანახვაზე მხიარულად აკუნტ-

რუშდა სალამურა.

- ეს უკვე მომწონს. ისე, გახსოვდეს, სალამურა, ძაღლი ადამიანს ჰგავს და ისიც მხოლოდ იმის ერთგულია, ვინც მას აჭმევს, ხოლო თანამოძმეთა გვერდში დგომა და მათი გულისთვის თავის გადადება, მერწმუნე, უფრო ზღაპარია, მონაგონია. ამიტომ, შენც ნურასოდეს ეცდები, ვიღაცისთვის თავი შეიწუხო. იცხოვრე მხოლოდ საკუთარი კარიერისთვის, ოჯახისთვის და ყოველთვის ბედნიერი იქნები.

- თქვენს ხელში ბედნიერი ვარ, მეფეო, - თქვა სალამურამ და მეფის ხელიდან გამოწვდილ ხორცის კანფეტს ხარბად ეცა.

- ასე არ ჯობია, ჩემო სალამურა? ჭამე, სვი, გაიხარე, ოღონდ, როცა რამეს ჭამ, ქაღალდი მოაცილე და ისე ჭამე ხოლმე. ამ კანფეტსაც თუ მოაცლი ქაღალდს, კარგი იქნება... ეჰ, უკვე გადაგისანსლავს და რაღა დროსია. არაუშავს, სხვა დროს გაითვალისწინე. ისე, რა გჭირთ ჩემი გარემოცვის ძაღლებს, ერთმანეთს როგორ ჰგავხართ და როგორ გიყვართ ქაღალდიანად ხორცის კანფეტის გადასანსვლა. თუმცა, იმედს ვიტოვებ, მალე გამოსწორდებით, ჩრდილოეთიდან ჩამოსულ რომელიმე სტუმრებთან არ შემარცხვენთ და სუფრაზე დადებულ რამე ნუგბარს, ასე ქაღალდიანად არ შეახრამუნებთ. მოკლედ, ჩემო კარგო, იმის თქმა მინდა, რომ შენ არანაირად არ უნდა გადარდებდეს, სხვები როგორ ცხოვრობენ.

- არ მადარდებს, მეფეო, არა. გამოსწორებით კი უეჭველი გამოვსწორდები და ჩრდილოელ დათვთან არასდროს არ შეგარცხვენთ! - სიამოვნებისგან წკმუტუნებდა სალამურა.

- ესე იგი, ქვეყანა ცარიელდება? გამოდის, რომ მე, შენ და მთლიანად ჩვენს გუნდს კარგად გვიმუშავია. ასე მალე ამგვარ შედეგს ნამდვილად არ  ველოდი. სალამურა, ჩემო უმცროსო მეგობარო, ისე, ჩვენში დარჩეს და, რა მნიშვნელობა აქვს დაცარიელებულ ქალაქებში, სოფლებში, ვენახებში, ბაღებში თუ სკვერებში ვინ მოშარდავს და ვინ მოკუკავს? ძაღლები არ იქნებიან? ჩრდილოელი დათვები, სამხრეთელი აქლემები და აღმოსავლელი ვეფხვები იზამენ მაგ საქმეს. შენ ეგ ნუ გადარდებს, გპირდები, ქვეყანას არ დავაცარიელებ და ძაღლების ნაცვლად სხვა ჯიშიან ცხოველებს შემოვყრი. შენ კი ყოველთვის გვერდში მეყოლები.

- მერე, მე და ჩემი შთამომავლები სულ ძაღლებად დავრჩებით?

- სალამურა, ჩემო ერთგულო მეგობარო, რა ყრია მაგ ძაღლობაში?

არც არაფერი. ყველა თავში გირტყამთ და მონა ცხოველებს გეძახიან. ამიტომ, ვინც აქ დარჩებით, დიდი სიყვარულით აითქვიფებით შემოსახლებულ დათვებთან, აქლემებთან, ვეფხვებთან და მრავალი წლის შემდეგ, რაღაც ახალი ჯიშის ცხოველს დაუდებთ სათავეს, ოღონდ მას ძაღლი არ ერქმევა.

- უი, რა კარგია, ახალი ჯიშის ცხოველი ვიქნებიიიი! - ბედნიერებისგან ტაში შემოჰკრა სალამურამ.

- არა, სალამურა, შენ მაგას ვერ მოესწრები, ეგ ექსპერიმენტი ათწლეულებზეა გათვლილი, ანუ რაღაც ახალი ჯიშის ცხოველი ათწლეულების შემდეგ გამოვა, უბრალოდ, ახლა საფუძველს ვუყრით.

- და ვინც აქედან გარბის, იმათგან რა გამოვა?

- ისინი იქაურებს შეერევიან, სადაც დასახლდებიან და იქაც, რაღაც ახალი ჯიშის ცხოველი გამოვა.

- ეგეც ათწლეულების შემდეგ იქნება?

- რა თქმა უნდა, ჩემო სალამურა, ეგეც ათწლეულების შემდეგ იქნება.

- მანამდე, ისევ ძაღლი გვერქმევა?

- ცხადია, მანამდე ისევ ძაღლი გერქმევათ! - ჩააზუსტა გვირგვინამ.

- თქვენთან რა კარგია  და მართლა რა საინტერესოა ცხოვრება, დიდო მეფეო!

- ჰოდა, ამიტომაც ვამბობ, ჩემო სალამურა, ვინც აქედან გაასწრებს, გაასწროს, ხელი არ შევუშალოთ.

- ხოლო, ისინი, ვინც ვერსად ვერ წავლენ? - საქმიანი გამომეტყველებით ახედა სალამურამ მბრძანებელს.

- ეყარნონ აქ, ასე ჩამწვარნი, ჩაფერფლილნი და ჩანახშირებულნი, ხოლო მომავალში რაც მოხდება, უკვე გითხარი.

- დიდი მადლობა ამომწურავი პასუხისთვის, მბრძანებელო.

- ჰო, აბა, რა, ამ საკითხზე დიდი სერიოზულობით ვმუშაობ. ხომ იცი, სალამურა, ჩემი აქაური გარემოცვიდან ჯერჯერობით არავისთვის გამიმხელია და მარტო შენთან მაქვს ნათქვამი, რომ მე და ჩემი ჩრდილოელი მეგობარი ერთ მნიშვნელოვან ექსპერიმენტს ვატარებთ. ეს ის ექსპერიმენტია, აქედან გადასახლებული ძაღლების ადგილზე სხვა ჯიშისა და ჯილაგის ცხოველების ჩამოსახლებას რომ ვაპირებთ. დაე, განადგურდეს ყველა, ვისაც ჩვენ არ ვუყვარვართ, განადგურდეს

და მათ ადგილზე სხვა მოდგმა აღმოცენდეს. ამით არაფერი არ დაშავდება. - ამბობდა გვირგვინა და სალამურას თავზე ხელს უსვამდა.

მაგრამ მეფის კალთაში მხიარულად ჩასკუპებულ სალამურას მბრძანებლის ეს ბოლო სიტყვები აღარ გაუგია და არც ადარდებდა, რადგან ლამაზი ოცნებებით გაბრუებული ხორცის კანფეტს მიირთმევდა, თან სიამოვნებისგან კრუსუნებდა. მას არც თანამოძმეთა ბედი ანაღვლებდა და არც ქვეყნის ხვალინდელი დღე. ცხოველი იყო სალამურა, ადამიანთან დამეგობრებული ცხოველი და ამიტომაც, ადამის მოდგმის მსგავსად, მასაც არაფერი ადარდებდა საკუთარი კუჭის ამოყორვის გარდა.

* * *

აი, ახლა კი მივხვდი, რას ნიშნავდა ექსპერიმენტი № 41.

მე მგონი, თქვენც მიხვდით.

საკუთარი მიწა-წყლიდან ერთი მოდგმის განდევნა და იმ ადგილზე სხვა მოდგმის ჩამოსახლება.

და ტარდებოდა ექსპერიმენტი...

თქვენ, ალბათ მკითხავთ, კი, მაგრამ, კონკრეტულად თქვი, სად იყავი ან საერთოდ, ვინ ხარო?

სად ვიყავი და მანდ ვიყავი, მეტიც, მე ახლაც მანდ ვარ, უფრო ზუსტად, ერთ-ერთი იმ შევიწროვებულ-გულმოკლულთაგანი ვარ, ვისზეც ამ მონათხრობში მაქვს ლაპარაკი.

ჰო, მეც მანდ ვარ, სადაც ჩემები არიან ჩაფერფლილნი და ჩანახშირებულნი.

თუმცა, არ არის გამორიცხული, პირადად ვერ მიცნოთ, მაგრამ თუ სადმე ჩემი მოდგმის არსებას სახეწაშლილ მდგომარეობაში ჩაფერფლილსა და ჩანახშირებულს ნახავთ, იცოდეთ, შეიძლება, ეს მე ვიყო, რამეთუ უზენაესის უხილავმა ძალამ, მე, ერთხელ უკვე მკვდარი, მითოლოგიური ფენიქსივით საკუთარი ფერფლიდან აღმადგინა, ოღონდ არც ისე დიდი ხნით, მერე მიბრძანა, მიდი, აბა, ალაგ-ალაგ თვალი გადაავლე გაუბედურებულ-ფერფლადქცეულ ქვეყანას და რასაც იხილავ, ერთი ამოსუნთქვით წიგნად დაწერეო.

მეც დავწერე, უფრო ზუსტად რომ ვთქვა, ზემოხსენებულ ქვეყანაში წლობით დაგროვილი უკუღმართობა წიგნის რამდენიმე გვერდში ჩავტიე და თქვენამდე მოვიტანე.

შემდეგ კი იგივე უზენაესის უხილავმა ძალამ ისევ სასიკვდილედ გამიმეტა და ფერფლად მაქცია.

ახლა მე კვლავ ფერფლი ვარ, ოღონდ მეორედ გაცოცხლებამდე და ისევ სიკვდილამდე, ანუ ისევ ფერფლად გადაქცევამდე.

ამიტომ, ნუ გიკვირთ, ნუ გეწყინებათ, უცხო არ ვარ, მეც მანდ ვარ, სადაც ჩემები არიან, ჩაფერფლილნი და ჩანახშირებულნი.

არც ის თქვათ, რა უზენაესის უხილავი ძალისგან ბრძანების მიღება და რა მითოლოგიური ფენიქსივით საკუთარი ფერფლიდან აღდგენა, ნეტავ, რა ცაში დაფრინავ და რას ფანტაზიორობო.

ფრენა-ფანტაზიორობა გვერდზე რომ გადავდოთ, მე მაინც მგონია, დედამიწაზე რასაც ადამიანის გონება ქმნის, უზენაესის უხილავი ძალებისგან წამოსული კარნახით, მითითებითა და დახმარებით ხდება, თორემ ადამის მოდგმა არც ისეთი გონიერია, რომ დამოუკიდებლად რაღაც სერიოზულ განვითარებამდე მივიდეს და სამყაროს მბრძანებლად იქცეს.

მოკლედ, მოგიყევით ის, რაც მოხდა და რაც დამანახეს, გინდ დამიჯერეთ, გინდ არა, ნება თქვენია.

**დაიბეჭდა შპს „მწიგნობარის“ სტამბაში**

**0102, ქ. თბილისი, კიევის ქ. №10; ტელ.: 294 05 71**

**www.mtsignobari.ge**